

ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

## „ეკონომიკა და ფინანსები“

Institute of Economic Research and Development  
Georgian Technical University

## „Economics and Finance“

სპეციალური გამოცემა / Special Issue

თბილისი / Tbilisi

2021

UDC(უაკ)050:[33+336] ე-491

ISSN – 2587 - 5000

საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“. გამოდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტისა და ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტის გადაწყვეტილებით

International refereed and reviewed scientific journal „Ecinimics and Finance“ published by the decision of Georgian Technical University’s Faculty of Business Technologie and Institute of Economic Research and Development

**ჟურნალი გამოდის 2018 წლიდან, წელიწადში ოთხჯერ**

**The magazine has been published since 2018, four times a year**

გამომცემლობა: „დანო“

---

## საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი “ეკონომიკა და ფინანსები”

---

სპეციალური გამოცემა „არაჯანსაღი კვება – დანაზოგი თუ ორმაგი ტვირთი ქვეყნის ეკონომიკისთვის“

---

ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის თავჯდომარე: გიორგი ცაავა  
ჟურნალის მთავარი რედაქტორი: დავით ჩახვაშვილი  
ჟურნალის სარედაქციო კოლეგია:

ლ. ბახტაძე (ოსუ), რ. ბურდიაშვილი (სტუ), ნ. გრიგოლაია (თბილისის ღია უნივერსიტეტი), ს. გოგჩე (ავიონის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თურქეთი), მ. ვანიშვილი (სტუ), ნ. ვდოვენკო (უკრაინა), კ. ჯ. კარლოვიტო (უნგრეთი), რ. მარკს-ბიელსკა (ვორმის და მაზურის უნივერსიტეტი, პოლონეთი), ტ. ლიპაი (განათლების ეროვნული უნივერსიტეტი, ბელორუსი), ი. მაზური (უკრაინა), ვ. მოსიაშვილი (სეუ), მ. ნარსია (სეუ), ჯ. რედელშეიმერი (რობინსდეილ ამსტრონგის უმაღლესი სკოლა, აშშ), ნ. სამჭკუაშვილი (სეუ), მ. ტროჯაკი (იაგელონიის უნივერსიტეტი, პოლონეთი), ა. ქუთათელაძე (სტუ), რ. ქუთათელაძე (სტუ), მ. ჭელიძე (სტუ), ნ. ჭიკაიძე (სტუ), ო. ზუმბურიძე (სტუ)

**სპეციალური გამოცემის მოწვეული რედაქტორები:**

ნ. ადამაშვილი (ფოჯას უნივერსიტეტი, იტალია), ფ. პ. სალვატორე (ფოჯას უნივერსიტეტი, იტალია), დ. სეხნიანიშვილი (სტუ, საქართველო)

---

სპეციალური გამოცემა, 2021

---

---

## International Scientific Journal “Economics and Finance”

---

Special Issue “Malnutrition – Saving or Double Burden for the Economics Sector of the Countries”

---

Head of the editorial board of Journal: Giorgi Tsaava  
Editor-in-Chief of Journal: Davit Chakhvashvili  
Editorial board of Journal:

L. Bakhtadze (TSU), R. Burdiashvili (GTU), N. Grigolaia (TOU), C. Gokce (Afyon Kocatepe University, Turkey), M. Vanishvili (GTU), N. Vdovenko (Ukraine), T.J. Karlovitz (Hungary), R. Marks-Bielska (University of Warmia and Mazury in Olsztyn, Poland), T. Lipai (National Institute of Education, Belarus), I. Mazur (Ukraine), V. Mosiashvili (SEU), M. Narsia (SEU), J. Redelsheimer (Robbinsdale Armstrong High School, USA), N. Samchkuashvili, M. Trojak (Jagiellonian University, Poland), A. Kutateladze (GTU), R. Kutateladz(GTU), M. Chelidze (GTU), N. Chikaidze (GTU), O. Zumburidze (GTU)

**Special Issue guest editors:**

N. Adamashvili (University of Foggia, Italy), F.P. Salvatore (University of Foggia, Italy), D. Sekhniashvili (GTU, Georgia)

---

Special Issue, 2021

---

## ჟურნალი “ეკონომიკა და ფინანსები” - სპეციალური გამოცემა არაჯანსაღი კვება – დანაზოგი თუ ორმაგი ტვირთი ქვეყნის ეკონომიკისთვის

მოწვეული რედაქტორები:

**ნინო ადამაშვილი** და **ფიორელა პია სალვატორე**, ფოჯას უნივერსიტეტი  
**დალი სეხნიაშვილი**, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქვეყნის მხრიდან ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების ზრდა აუმჯობესებს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობას (Bein *et al.*, 2017). თუმცა, მათ შორის არ არის პირდაპირპროპორციული კავშირი. ჯანდაცვაზე დანახარჯებსაც აქვს ზღვრული სარგებელი. გარკვეული დონის ზევით დანახარჯების ზრდას არანაირი გავლენა არ აქვს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე (Laba *et al.*, 2015; Verulava, 2006).

გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა აქვს, პრიორიტეტების განსაზღვრასა და ფინანსების სწორად განაწილებას, ჯანდაცვასთან დაკავშირებული რომელი ხარჯები დაიფაროს რა ოდენობის თანხით (Chalkidou & Appleby, 2017). ხშირად შეცდომით ჯანდაცვის ხარჯებთან აიგივებენ მხოლოდ ჯანმრთელობის პრობლემების გადაჭრის ხარჯებს. რეალურად, პრევენციისთვის ჩატარებული ნებისმიერი აქტივობაც ჯანდაცვის ხარჯებს მიეკუთვნება, როგორცაა მაგალითად, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ჯანსაღი კვების სტიმულაცია ან საკვები პროდუქტების ხარისხიანობის ზრდა. ამასთან, პრევენციაზე დახარჯული ფინანსებს მეტად ეფექტური გამოსავლიანობა აქვს, ვიდრე დაავადების მკურნალობას (Nguyen *et al.*, 2015).

იმისათვის, რომ მოსახლეობა დავანტერესოთ ჯანსაღი გადაწყვეტილებების მიღებაში, ჯერ მათი შესწავლაა საჭირო. სხვა სიტყვებით, საჭიროა საშუალებების მოძებნა, რაც გაზომავს მათ ემოციებსა და აღქმებს შესყიდვის გადაწყვეტილების მიღებისას (Dimara & Skuras, 2015). როდესაც მოსახლეობა კარგად ინფორმირებულია და გათავისებული აქვს შედეგები, რაც მათ დააწყვეტილებას მოჰყვება, უფრო მარტივია, მათი ყურადღება მიიმართოს ყოველდღიური ჩვევებისკენ, შესყიდვის გადაწყვეტილების ფაქტორებისკენ, საკვების უსაფრთხოებისა და

სერთიფიცირების სტანდარტებისკენ (World Economic Forum, 2017; Belletti & Marescotti, 2007; Grunert & Ramus, 2005).

როდესაც საუბარია საკვების ხარისხზე, გენეტიკურ მრავალფეროვნებაზე, კვებით გამოწვეული დაავადებების დანახარჯებსა და მსგავს საკითხებზე, მნიშვნელოვანია წარმოების მთელი ციკლის მხედველობაში მიღება “from farms to forks” (Heller & Keoleian, 2003). საკვები პროდუქტი მრავალი კომპონენტისგან შედგება, ორგანული და არაორგანული ნივთიერებებისგან, რომელსაც იღებს ორგანიზმი. სასურსათო ნედლეული და სურსათი შეიძლება დაბინძურდეს საღებავების, კონსერვანტების, ანტიოქსიდანტების გამოყენებით ან ნორმებზე გადამეტებით; პესტიციდებით; ჭურჭლიდან, ინვენტარიდან, ტარიდან და შესაფუთი მასალიდან სურსათში მოხვედრილი მავნე ნივთიერებებით; სითბური ზემოქმედების ან სხვა ტექნოლოგიური დამუშავების შედეგად წარმოქმნილი ენდოგენური ტოქსიკური ნაერთებით; სურსათის წარმოების მთელ ჯაჭვში შენახვისა და წარმოების სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების დაუცველობით. შესაბამისად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება წარმოების მთელი ციკლის კონტროლს (Gaghokidze & Tabatadze, 2016).

გარდა ამისა, სურსათის, როგორც პოტენციური საფრთხის მატარებლის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს ფალსიფიკაციისა და გენმოდირიცირებული პროდუქტებისგან წარმოების საკითხებს. ამ პრობლემის მოგვარების ეფექტური გზა არის გამჭვირვალობისა და მიკველევალობის მიღწევა (Xiaojun & Dong, 2006), რაც შესაძლებელია ტრადიციული მეთოდებითაც იყოს დაცული, თუმცა თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორცაა მაგალითად, ბლოკჩეინი, საგრძნობლად ამარტივებს და უფრო ეფექტურს ხდის ამ პროცესს (Caro *et al.*, 2018).

ხშირ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე ფუნქციურ საკვებს (functional food, FF). ის მიიღება საწყისი საკვების მოდიფიკაციით ან ახალი კომპონენტის დამატებით, რაც ადამიანის ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა; ანდაც, არსებული კომპონენტების გაძლიერებით ან უარყოფითი გავლენის მქონე ელემენტების გამოყოფით (Joshi *et al.*, 2018). FF-ის მისაღებად, ანუ საკვებისა და მისი ინგრედიენტების ფუნქციური ასპექტების გასაუმჯობესებლად, ბოლო დროს ბიოტექნოლოგია გახდა

მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. ის ხშირად გამოიყენება ჯანდაცვის ახლანდელი და მოსალოდნელი გამოწვევებთან გასამკლავებლად (Grajek *et al.*, 2005). თუმცა, ხშირ შემთხვევაში მომხმარებლები სკეპტიკურად უყურებენ მოდიფიცირებულ საკვებს. ბოლო რამდენიმე ათწლეულია მსოფლიო მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდამ ჯანმთელი ცხოვრების წესზე მზარდი ყურადღება გამოიწვია, მაგრამ ბევრ რეგიონში ჯერ კიდევ დიდ პრობლემად რჩება მომხმარებლების გაცნობიერების დონე და არა მხოლოდ ფუნქციური საკვების შესახებ, არამედ, საკვების სწორად მიღების, ფიზიკური აქტივობის და, ზოგადად, ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ (Salvatore *et al.*, 2018).

საკვებით გამოწვეული დაავადებების პრევენცია საგრძნობლად ამცირებს შემდგომში მკურნალობის ხარჯებს, თუმცა პრევენციული აქტივობებიც (მაგალითად, შემეცნებითი კამპანიები, საკვების ხარისხის გაუმჯობესება და ა.შ.) თავის მხრივ, ხარჯებთანაა დაკავშირებული. ჟურნალის „ეკონომია და ფინანსები“ ამ სპეციალური გამოცემის მიზანია, უკეთესად იქნეს შესწავლილი თანამედროვე ჯანდაცვის გამოწვევები და მათი მოგვარების გზები, ძირითადი ხარჯები და ამ დანახარჯების ეფექტიანობა.

## **Journal “Economics and Finance” - Special Issue** **Malnutrition – Saving or Double Burden for the Economics Sector of the Countries**

Guest editors:

*Dr. Nino Adamashvili and Dr. Fiorella Pia Salvatore, University of Foggia*  
*Prof. Dali Sekhniashvili, Georgian Technical University*

Increased spending on resources for healthcare improves the health status of the population (Bein *et al.*, 2017). However, there is no such simple link between healthcare spending and its direct outcomes. Healthcare costs have marginal benefits as well thus increasing expenditures to a certain level, does not necessarily have effect on health outcomes (Laba *et al.*, 2015; Verulava, 2016).

It is important to set priorities and allocate finances correctly, to define which healthcare costs will be covered and what amounts (Chalkidou & Appleby, 2017).

The idea that healthcare costs are simply considered to be expenditures that are needed to solve disease related issues, is widespread but often wrong. Other prevention activities are associated with healthcare costs, such as stimulating healthy lifestyles and healthy eating or increasing the quality of food. Besides, prevention activities and the funds allocated to this specific purpose, offer a much more effective solution rather than treating the disease once it presents itself (Nguyen *et al.*, 2015).

In order to interest the population in making healthier choices, it is necessary to understand their perceptions. In the other words, there is a need to identify tools that measure emotional content of individuals when they find themselves having to make their own choices (Dimara & Skuras, 2015). It contributes positively if people are well informed and aware of the consequences that follow their choices, and it is additionally beneficial to drive people towards paying more attention to their daily habits, purchasing behavior, food safety and food certification standards (World Economic Forum, 2017; Belletti & Marescotti, 2007; Grunert & Ramus, 2005).

As for the food quality, genetic diversity, diet-related diseases costs, and similar aspects, it is important to keep in mind the elements of the whole production cycle “from farms to forks” (Heller & Keoleian, 2003). The food product is a multi-component system. Food is a complex set of organic and inorganic substances that the body receives from the outside world. Food raw materials and food itself may be contaminated by the use of dyes, preservatives, antioxidants or excessive standards; With pesticides; From dishes, inventory, tarra and packaging materials containing harmful substances in food; Endogenous toxic compounds produced by heat exposure or other technological processes; Failure to comply with the sanitary-hygienic requirements of storage and production throughout the food supply chain (Gaghokidze & Tabatadze, 2016). Consequently, control over the entire production cycle is crucial.

In addition, when considering food as a potential hazard train, attention should be paid to counterfeiting and production of genetically modified products. Transparency and traceability of the entire supply chain is an effective way to solve this problem (Xiaojun & Dong, 2006). It can also be protected by traditional

methods, but modern technologies such as Blockchain greatly simplify this process and make it more efficient (Caro *et al.*, 2018).

In many cases, Functional Food (FF) is important for avoiding diet-related diseases. FF is food, which is obtained after modifying the initial one by adding a new component beneficial to human health, either enhancing the existing one, or eliminating the one with harmful effects (Joshi *et al.*, 2018). In order to obtain FF, that is, to improve the functional aspects of food and food ingredients, biotechnology is an important tool. It is often used to address current and future healthcare challenges (Grajek *et al.*, 2005). However, in many cases consumers are skeptical about modified foods. Even if the attention in the world has increased towards healthy lifestyles for well-being in later years, in many regions there is still a major problem of consumers' awareness about functional food and not only, also about the role of nutrition intake, physical activities and, in general, healthy lifestyle (Salvatore *et al.*, 2018).

Prevention of diet-related diseases significantly reduces further treatment costs, but preventive activities (e.g. educational campaigns, increasing the food quality, etc.) are also costly. This special issue seeks to gain insight into current healthcare challenges, ways to address them, basic costs, and cost effectiveness.

### გამოყენებული ლიტერატურა:

#### **The works cited:**

- Bein, M. A., Unlucan, D., Olowu, G., & Kalifa, W. (2017). Healthcare spending and health outcomes: Evidence from selected east african countries. *African Health Sciences*, 17(1), 247-254. doi:10.4314/ahs.v17i1.30
- Belletti, G., Marescotti, A. (2007). Costi e benefici delle denominazioni geografiche (DOP e IGP). *Agriregionieuropa anno 3 n°8, Mar 2007*
- Caro, M. P., Ali, M. S., Vecchio, M., & Giaffreda, R. (2018). Blockchain-based traceability in agri-food supply chain management: A practical implementation. Paper presented at the *2018 IoT Vertical and Topical Summit on Agriculture - Tuscany, IOT Tuscany 2018*, 1-4. doi:10.1109/IOT-TUSCANY.2018.8373021
- Chalkidou, K., & Appleby, J. (2017). Eliminating waste in healthcare spending. *BMJ (Online)*, 356 doi:10.1136/bmj.j570
- Dimara, E., Skuras, D. (2005). Consumer demand for informative labeling of quality food and drink products: a European Union case study. *Journal of Consumer Marketing*, 22(2):90-100. doi: 10.1108/07363760510589253



- Gaghokidze R., & Tabatadze L. (2016). კვებისპროდუქტთაქიმია / *Food Chemistry*. Publisher “Universal”, Tbilisi.
- Grajek, W., Olejnik, A., & Sip, A. (2005). Probiotics, prebiotics and antioxidants as functional foods. *Acta Biochimica Polonica*, 52(3), 665-671.
- Grunert, K. G., & Ramus, K. (2005, Giugno 1). Consumers' willingness to buy food through the internet. *British Food Journal*, 107(6), 381-403.
- Heller, M. C., & Keoleian, G. A. (2003). Assessing the sustainability of the US food system: A life cycle perspective. *Agricultural Systems*, 76(3), 1007-1041. doi:10.1016/S0308-521X(02)00027-6
- Joshi, D., Roy, S., & Banerjee, S. (2018). Prebiotics: A Functional Food in Health and Disease. *In Natural Products and Drug Discovery*. 507–523. Elsevier.
- Laba, T. -, Usherwood, T., Leeder, S., Yusuf, F., Gillespie, J., Perkovic, V., . . . Essue, B. (2015). Co-payments for health care: What is their real cost? *Australian Health Review*, 39(1), 33-36. doi:10.1071/AH14087
- Nguyen, K. -, Chaboyer, W., & Whitty, J. A. (2015). Pressure injury in australian public hospitals: A cost-of-illness study. *Australian Health Review*, 39(3), 329-336. doi:10.1071/AH14088
- Salvatore F.P., Adamashvili N., Chiara F., & Conto F. (2018). The Awareness of the People of Their Nutrition Intake: Comparison of Developed and Developing Countries (abstract), *Global Business Conference 2018 Proceedings: Developing New Value-Creating Paradigms*, 208-209.
- Verulava T. (2016). Healthcare Cost Containment Mechanisms and Georgia's Healthcare System. Institute for Development of Freedom of Information. www.idfi.ge. Retrieved from: <https://idfi.ge/en/healthcare-cost-containment-mechanisms-and-georgias-healthcare-system>. Last access 23.11.2019.
- World Economic Forum. (2017). Global Shapers Survey - Annual Survey 2017. From “World Economic Forum”: [http://www.shaperssurvey2017.org/static/data/WEF\\_GSC\\_Annual\\_Survey\\_2017.pdf](http://www.shaperssurvey2017.org/static/data/WEF_GSC_Annual_Survey_2017.pdf)
- Xiaojun, W., & Dong, L. (2006). Value added on food traceability: A supply chain management approach. Paper presented at the 2006 IEEE International Conference on Service Operations and Logistics, and Informatics, SOLI 2006, 493-498. doi:10.1109/SOLI.2006.236713

**საკონტაქტო ინფორმაცია:**

ტელ.: +995 599 78 90 03  
 E-mail: [ierd.science@gmail.com](mailto:ierd.science@gmail.com)  
[www.bpengi.com](http://www.bpengi.com)  
[www.facebook.com/economics.finance.ge](https://www.facebook.com/economics.finance.ge)

**Contact:**

Tel.: +995 599 78 90 03  
 E-mail: [ierd.science@gmail.com](mailto:ierd.science@gmail.com)  
[www.bpengi.com](http://www.bpengi.com)  
[www.facebook.com/economics.finance](https://www.facebook.com/economics.finance)

## ს ა რ ჩ ე ვ ი

<b>დომიტრი მასხარაშვილი, ტარიელ მასხარაშვილი</b> - მწვანე ეკონომიკა - მსოფლიო „ინდუსტრიული ნარჩენების“ გარეშე .....	12
<b>მალვინა ჯობლაძე, ირაკლი მანველიძე</b> - საქართველოში მოქმედი კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობა: ტენდენციები და შეუსაბამობები .....	18
<b>ნინო ჩხარტიშვილი, ანა ღარიბაშვილი</b> - ქართული ღვინო და ჯანმრთელობა: მიმოხილვა და პერსპექტივები .....	29
<b>დალი სილაგაძე</b> - კორონა ვირუსის პანდემიის გავლენა აგრობიზნესზე .....	41
<b>დავით ჩახვაშვილი, სოფიკო ცერცვაძე</b> - მწვანე მენეჯმენტი და მისი გამოწვევები ქართული კომპანიებისთვის .....	50
<b>ნინო ჩხარტიშვილი, თამთა ჩხარტიშვილი</b> - ქართული ღვინო და მსოფლიო ბაზარი .....	65
<b>ლიორ ნამატი შნაიდერი</b> - ისრაელში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის არასაკმარისი დაფინანსება - წარმატების პარადოქსი .....	78
<b>ანტონიო სკროკო</b> - ჯანმრთელობის მდგომარეობა და საკვებ პროდუქტებზე მსყიდველობითუნარიანობა .....	85
<b>ანა რობერტა გაგლიარდი, ნიკოლა ფასილინგო</b> - როგორ შეიძლება ძირეული მიზეზების ანალიზმა გააუმჯობესოს პაციენტის უსაფრთხოება საოპერაციო განყოფილებებში? .....	109
<b>რუსუდან კვარაცხელია, ნოდარ სამხარაძე, ლევან კიკილაშვილი</b> - ბიომეურნეობაზე დაფუძნებული აგროტურიზმის უპირატესობები და მისი როლი ჯანდაცვის პრომოციაში .....	125
<b>ზურაბ გარაყანიძე, გიორგი ხვიჩია</b> - ქართული ღვინის ექსპორტის დივერსიფიკაციის ამოცანის გადაჭრისათვის .....	140

## Contents

<b>Dimitri Maskharashvili, Tariel Maskharashvili</b> - Green economy - a world without "industrial waste" .....	12
<b>Malvina Jibladze, Irakli Manvelidze</b> - Social responsibility of companies operating in Georgia: Trends and Inconsistencies .....	18
<b>Nino Chkhartishvili, Ana Gharibashvili</b> - Georgian wine and health: overview and perspectives .....	29
<b>Dali Silagadze</b> - Impact of the Corona Virus Pandemic on Agribusiness .....	41
<b>Davit Chakhvashvili, Sopiko Tsertsvadze</b> - Green management and its challenges for Georgian companies .....	50
<b>Nino Chkhartishvili, Tamta Chkhartishvili</b> – Georgian wine and world market .....	65
<b>Lior Naamati Schneider</b> - Under-funding of Public Health and Health Promotion in Israel - The Paradox of Success .....	78
<b>Antonio Scrocco</b> - Perceived health and Purchas intentions of food products .....	85
<b>Anna Roberta Gagliardi, Nicola Faccilongo</b> - How can root cause analysis improve patient safety in operating units? Insights from a systematic literature review .....	109
<b>Rusudan Kvaratskhelia, Nodar Samkharadze, Levan Kikilashvili</b> - Bio agritourism based advantages and its role in health promotion .....	125
<b>Zurab Garakanidze, Giorgi Khvichia</b> - To solve the problem of diversification of Georgian wine exports .....	140

## მწვანე ეკონომიკა - მსოფლიო „ინდუსტრიული ნარჩენების“ გარეშე Green economy - a world without "industrial waste"

**დიმიტრი მასხარაშვილი** - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

**Dimitri Maskharashvili** - Georgian National University

d.masxarashvili@seu.edu.ge

**ტარიელ მასხარაშვილი** - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**Tariel Maskharashvili** - Tbilisi state university

tatomasxarashvili@gmail.com

**აბსტრაქტი.** თანამედროვე პირობებში, მსოფლიო სამეცნიერო და სამეწარმეო სფეროში საკმაოდ აქტუალური საკითხი ე.წ. „მწვანე ეკონომიკის“ შესახებ. არაერთი მკვლევარი აქტიურად მიუთითებს, რომ დროა მსოფლიო თანამეგობრობა დაფიქრდეს, მაქსიმალურად შეზღუდოს მსოფლიო „სამრეწველო ნარჩენებისაგან“ და როგორც ზოგადად მსოფლიო წარმოება, ასევე ცალკეული ქვეყნების ეკონომიკა ორიენტირებული იყოს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებაზე. მართალია დღესდღეობით ასეთი მიდგომა არა თუ აღარ იძლევა მოგების მიღების გარანტიას, არამედ აღიზიანებს მომხმარებელს ეს ცვლილებები გამოწვეულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინიციატივებით, რაც საკანონმდებლო ბაზის გამკაცრებას გულისხმობს განვითარებულ ქვეყნებში და გამიზნულია მწვანე ტექნოლოგიების, ნახშირორჟანგის შემცირების, მწვანე ეკონომიკის დანერგვის ხელშესაწყობად. თანამედროვე მომხმარებელი ყურადღებას აქცევს არა მხოლოდ პროდუქციის ფასს არამედ ფირმის რეპუტაციას და მის მიერ გამოყენებულ ეკოლოგიურ ინიციატივებს.

**საკვანძო სიტყვები:** მწვანე ეკონომიკა, სამრეწველო ნარჩენი, უნარჩენო წარმოება, მდგრადი განვითარება.

**Abstract.** In modern conditions, a rather topical issue in the world of science and entrepreneurship is "Green Economy". Numerous researchers are actively pointing out that it is time for the world community to think, limit as much world's "industrial waste" as possible and focus on world production in general, as well as the economies of individual countries to produce environmentally friendly products. It is true that nowadays such an approach not only no longer guarantees profit but also provokes the consumers. These changes are initiated by the United

Nations, which provides for a tightening of the legal framework in developed countries and is aimed at promoting green technologies, carbon dioxide reduction, the introduction of a green economy. Modern consumers pay attention not only to the price of products but also to the reputation of the firm and the environmental initiatives used by them


**Keywords:** green economy, industrial waste, waste generation, sustainable development.

მსოფლიოში წამყვანი კომპანიების პრაქტიკაში არც თუ ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც „დაუდევრად“ ეპყრობიან, ე.წ. „გაუყიდავ/ძველ“ პროდუქტს. 2018 წელს Burberry-მა დაწვა 32 მილიონ ევროზე მეტი ჩაწოლილი (გაუყიდავი) საქონელი. ფირმის მენეჯერებმა არ ჩათვალეს მიზანშეწონილად „ძველი“ კოლექციის ტანსაცმელი და პარფიუმერია გაეყიდათ ფასდაკლებით და გადაწყვიტეს ამ გზით განთავისუფლებულიყვნენ ჩაწოლილი პროდუქციისგან. მენეჯერების ასეთმა გადაწყვეტილებამ აღშფოთება ეკოლოგისტები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ბრენდი ჯეროვნად არ აფასებს პროდუქციის შექმნაზე დახარჯულ რესურსს. რაზეც კომპანიამ რეაგირების სახით გასცა პასუხი, რომ ბრენდი fashion - ინდუსტრიაში ორიენტირებულია წრფივ ეკონომიკის ღირებულებებზე, „ვერ გაყიდე? ესე იგი დაკარგე“.

დღესდღეობით ასეთი მიდგომა მოძველდა და არა თუ აღარ იძლევა მოგების მიღების გარანტიას, არამედ უწვევს მომხმარებლების გაღიზიანების მაპროვოცირებელია. მოდის და სხვა საწარმო სექტორში მომუშავე დიდი კომპანიები უფრო ხშირად ცვლიან თავიანთ მოდელებს და უბრუნდებიან ციკლური ეკონომიკის პრინციპებს. ეს ცვლილებები გამოწვეულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინიციატივებით, რაც საკანონმდებლო ბაზის გამკაცრებას გულისხმობს განვითარებულ ქვეყნებში და გამიზნულია მწვანე ტექნოლოგიების, ნახშირორჟანგის შემცირების, მწვანე ეკონომიკის დანერგვის ხელშესაწყობად. თანამედროვე მომხმარებელი ყურადღებას აქცევს არა მხოლოდ პროდუქციის ფასს არამედ ფირმის რეპუტაციას და მის მიერ გამოყენებულ ეკოლოგიურ ინიციატივებს.

წრფივი ეკონომიკა (მოპოვება - წარმოება - განაწილება - მოხმარება - ნარჩენების გადაყრა) მოძველდა და ტრადიციული მიდგომა გახდა საშიში. მოსახლეობა სულ უფრო ზრდის ნარჩენის მოცულობას, რაც ნეგატიურად

აისახება გარემოზე. მსოფლიო ბანკის პროგნოზით 2050 წლისთვის ყოველდღიური ნარჩენების მოცულობა გაიზრდება 70%-ით.




**ნახ. 1** ნარჩენების მოცულობის ზრდის პროგნოზი რეგიონების მიხედვით (მილ. ტონა/წელიწადში)

ჩაკეტილი ციკლის ეკონომიკა, ციკლური ეკონომიკა, ცირკულარული ეკონომიკა - ყველა ეს მოდელი განკუთვნილია საწარმო მოდელისთვის, რომელიც დაფუძნებულია ნარჩენების მეორად გამოყენებაზე. ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა საგრძნობლად შემცირდეს საწარმოს ნეგატიური გავლენა გარემოზე, დაინერგოს ეკოლოგიური წარმოების პრინციპები და შემცირდეს ნახშირბადის შემცველობა. ასეთი ჩაკეტილი ციკლური წარმოება განსხვავდება წრფივი ეკონომიკისგან და საშუალებას იძლევა ავირიდოთ გაუარესებული პროგნოზი. ცირკულარული ეკონომიკა დაკავშირებულია მდგრადი განვითარების პრინციპებთან და zero-waste (ნარჩენების შემცირება და მისი ნულოვან დონეზე დაყვანის მცდელობა) სტილში ცხოვრების სტრატეგიასთან. ციკლური ეკონომიკის პრინციპებზე მომუშავე მწარმოებელი დაგეგმარების სტადიაზე ითვალისწინებს თუ რამდენად მარტივად გადაამუშავებს მის მიერ გამოშვებულ პროდუქციას მომხმარებელი. ამასთან საკმაოდ მნიშვნელოვანია მომხმარებლის თვისებების გათვალისწინება და რამდენად გამძლეა წარმოებული პროდუქცია.

საზღვარგარეთის უმსხვილესი ფირმები აქტიურად ერთვებიან ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებში და ნერგავენ ციკლური ეკონომიკის პრინციპებს წარმოებაში. მაგალითად რამდენიმე მსხვილმა მწარმოებელმა

ფირმამ აიღო კურსი პოლიმერული შეფუთვის (მაგ. პლასტიკური ბოთლები) მეორად გადამუშავებაზე. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეამჩნია, რომ განვითარებულ ქვეყნებში ნედლეულის რეციკლინგი გახდა ბაზრის მომგებიანი სეგმენტი, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოს, საზოგადოების და ბიზნესის ინტერესებს.



**ნახ. 2** შედგენილია nipon.com მიერ. პოლიეთილენის ბოთლების გადამუშავების საბჭოს მიერ გამოქვეყნებულ მასალაზე დაყრდნობით.

ციკლური ეკონომიკის ფარგლებში მრეწველობის მდგრადი განვითარების პრინციპები გახდა ქიმიური ტექნოლოგიების რეციკლირების მასტიმულირებელი ძალა. გადამუშავების ერთ-ერთი მეთოდი გულისხმობს პოლიმერის დაშლას მოლეკულების დონეზე და შემდეგ ამ პოლიმერული ნედლეულით ახალი განახლებული პროდუქტის მიღება მრავალჯერადად.

Unilever - კორპორაცია, რომელიც სპეციალიზირებულია ფართო მოხმარების საქონლის წარმოებაზე, ვალდებულება აიღო გადასულიყო, პლასტიკური შეფუთვის სეგმენტში, ციკლური ეკონომიკის პრინციპებზე. 2017 წელს კომპანიამ ჩაატარა საერთაშორისო გამოკვლევა და დაადგინა, რომ მომხმარებლების 33% უპირატესობას ანიჭებს მდგრად ბრენდებს, რაც

ასევე, მედებული შედეგი, დაადასტურა კომპანიის ფინანსურმა ანალიზმაც. ციკლური ეკონომიკის ფარგლებში, სწორედ ეს გამოკვლევა გახდა კომპანიის საწარმო და მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავების საფუძვლი. 2050 წლისთვის ტრანსნაციონალურმა კომპანია Unilever ვალდებულებას იღებს, გაზარდოს შესაფუთი პლასტიკის გადამუშავების ხვედრითი წილი 25%-მდე და გაანახევროს ამ მასალის პირველადი გამოყენება.

Coca-Cola აიღო ვალდებულებად 2025 წლისთვის, მთლიანი პროდუქციის შესაფუთ მასალად გამოიყენოს გადასამუშავებლად ვარგისი ნედლეული, ხოლო 2030 წლისთვის კი კომპანია გეგმავა გადასამუშავოს ასეთი კომპონენტების 100%. კომპანია ატარებს ეკოლოგიზაციის პოლიტიკას არა მხოლოდ წარმოებაში, არამედ მომხმარებლების აზროვნებაშიც და ეკო მოძრაობასთან ერთად აამუშავა უფასო ონლაინ კურსები „ციკლური ეკონომიკა“. ამ კურსების 6 მოდული ხსნის ციკლური ეკონომიკის ძირითად პრინციპებს, მათ უპირატესობას და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას.

კომპანიის ეკოლოგიურ ინიციატივები არა მხოლოდ კარგი მარკეტინგული სვლაა, არამედ მომგებიანი ინვესტიციაა „მწვანე“ მომავალში. კომპანიის საქმიანობას აკონტროლებენ საერთაშორისო ორგანიზაციები სახელმწიფოსთან ერთად. ეკონომიკური რეგულირების მეთოდი ავალდებულებს მწარმოებლებს და იმპორტიორებს მოახდინონ ვადაგასული პროდუქციის უტილიზაცია. ამ ინსტრუმენტის გამოყენების გლობალური მიზანია მწარმოებლების ცტიმულირება ციკლურ ეკონომიკაზე გადასასვლელად და ნარჩენების თავიდან (მეორედ) გამოყენება.

ნარჩენების დამუშავება (დახარისხება) და გარემოს გადარჩენა შეძლია ყველას და თვითოეული პიროვნების ვალია. შესაძლებელია უარი ვთქვათ პლასტიკური პაკეტების ყიდვაზე, ვიყიდოთ პასუხისმგებლიანი მეწარმის პროდუქცია და ასე შემდეგ. თუ ასეთი მიდგომა თქვენთვის მოსაწყენია ან მარტო ვერ ძლევთ ნარჩენების სორტირების საკითხებს შეგიძლიათ გაერთიანდეთ ეკოლოგიურ-საგანმანათლებლო მოძრაობაში და იქ იპოვოთ თანამოაზრეები. უმნიშვნელო ნაბიჯებიც კი ამ მიმართულებით საკმაოდ მნიშვნელოვანია და შეუძლია მომავალი გახადოს უკეთესი.



## გამოყენებული ლიტერატურა

1. <https://greeneconomy.minpriroda.gov.by/ru/zelenaya-economika/>  
[გადამოწმებულია 05.02.2021];
2. <https://www.elibrary.ru/item.asp?id=23369304> [გადამოწმებულია  
05.02.2021];
3. <http://greeneconomy.kg/theory/ponyatie-i-sushhnost-zelenoy-ekonomiki/> [გადამოწმებულია 09.02.2021];
4. <https://www.unep.org/regions/asia-and-pacific/regional-initiatives/supporting-resource-efficiency/green-economy>  
[გადამოწმებულია 22.02.2021];
5. <https://globalcad.org/en/expertise/green-economy-climate-change/>  
[გადამოწმებულია 23.02.2021];
6. [http://www.unep.org/greeneconomy/Portals/88/documents/research\\_products/briefingpapers/Ru\\_GE\\_HEALTH.pdf](http://www.unep.org/greeneconomy/Portals/88/documents/research_products/briefingpapers/Ru_GE_HEALTH.pdf) [გადამოწმებულია  
11.02.2021];
7. [http://www.beroc.by/webroot/delivery/files/GE\\_1.pdf](http://www.beroc.by/webroot/delivery/files/GE_1.pdf)  
[გადამოწმებულია 11.02.2021].

საქართველოში მოქმედი კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობა:  
ტენდენციები და შეუსაბამობები  
Social responsibility of companies operating in Georgia: Trends and  
Inconsistencies

**მალვინა ჯიბლაძე** - დოქტორანტი,  
ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
**Malvina Jibladze** - PHD Student in Business Administration  
Batumi State University  
malvina.jibladze@gmail.com

**ირაკლი მანველიძე** - ასოცირებული პროფესორი  
ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
**Irakli Manvelidze** - Associate Professor  
Batumi State University,  
manvelidze.irakli@gmail.com

**აბსტრაქტი:** დღევანდელ მსოფლიოში სულ უფრო პოპულარული ხდება შეხედულება, რომ კომპანიებმა თავიანთი საქმიანობა უნდა განახორციელონ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით, რომ მიღწეული იქნეს საერთო მიზანი - მდგრადი განვითარება. მაგალითად კომპანიების მიდგომა - იყოს უფრო პასუხისმგებლიანი შეიძლება გამოიხატოს თანამშრომლების სადაზღვევო პაკეტების უზრუნველყოფაში, რაც შემდგომში გააუმჯობესებს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ჯანმრთელობის მდგომარეობას, შესაბამისად მას, ისევე, როგორც სახელმწიფოს თანაბრად შეუძლია იზრუნოს ქვეყნის სოციალურ გარემოს გაუმჯობესებაზე. ჯაჭვური რეაქციით მოქალაქეების გარკვეული ნაწილი, რომელიც უპირატესობას ანიჭებს იმ კომპანიას, რომელიც აქტიურად მონაწილეობს მსგავსი ტიპის გარემოსდაცვით, სოციალურ თუ ეკონომიკურ პრობლემების გადაჭრაში, ხდება ლოიალური კომპანიის მიმართ. შესაბამისად კსპ შეიძლება განვიხილოთ, როგორც კომპანიის იმიჯზე მოქმედი ერთ-ერთი ინსტრუმენტი. აღნიშნული ტენდენციის შესასწავლად ყურადღება გავამახვილეთ ქართული კომპანიების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე არსებულ ინფორმაციაზე, რომელიც ეხება სოციალური პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, შესწავლილია საქართველოში მოქმედი 100 უმსხვილესი კომპანიის ვებ-გვერდი და

გაანალიზებულია კსპ, როგორც კომპანიის იმიჯზე მოქმედი საშუალება. გამოვლენილია ტენდენციები, რომელებიც საქართველოში მოქმედი კომპანიების ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციის საშუალებით იკვეთება კსპ-ს ნაწილში, ასევე აღმოჩენილია შეუსაბამოებები, რომელებიც კომპანიების გაეროს გლობალური შეთანხმების წევრობამ და კომპანიების ოფიციალური-ვებ გვერდის შედარებამ გამოკვეთა.

**Abstract:** In today's world the point of view, that companies should carry out their activities in the interests of various stakeholders in order to achieve a common goal - sustainable development is becoming increasingly. For example, the approach of companies - to be more responsible can be reflected in the provision of insurance packages to employees, which will further improve the health of a certain part of the population, Accordingly, it, as well as the state, can equally take care of improving the social environment of the country. With a chain reaction, a certain part of the citizens, who prefer a company that is actively involved in solving similar environmental, social or economic problems, becomes loyal to the company. Accordingly, CSR can be considered as one of the tools acting on the image of the company. In order to study this tendency in Georgia, we focused on the information available on the official websites of Georgian companies regarding social responsibility issues. In particular, the websites of the 100 largest companies operating in Georgia have been studied and analyzed CSR as a tool of acting on the image of the company. Tendencies have been identified, which are revealed through the information available on the website of companies operating in Georgia. Discrepancies also have been founded, which were outlined by the membership of the UN Global Compact and by comparison of the official website of the companies.

**შესავალი:** კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა წარმოადგენს კომპანიების საქმიანობას ვალდებულებულებების მიღმა, აიღოს გარკვეული პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე. თანამედროვე კომპანიების მიერ ამ კონცეფციაში არ მოიაზრება მხოლოდ მოგების მაქსიმიზაცია, არამედ კომპანიების პრიორიტეტული სფეროებია საზოგადოებაზე ზრუნვა და გარემო, სადაც კომპანიები მოქმედებენ. მარტივად რომ ვთქვათ, სოციალური პასუხისმგებლობა არის ბიზნესის

კეთება ეკონომიკური სარგებელის მიღებისა და მდგრადი განვითარების პარალელურად.

მდგრადი განვითარების მსოფლიო ბიზნეს საბჭოს მიხედვით, „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ასახავს კომპანიების სურვილს, აწარმოონ ბიზნეს საქმიანობა ეთიკურ პრინციპებზე დაყრდნობით და წვლილი შეიტანონ მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში და მათ მიერ დაქირავებული თანამშრომლების, მათი ოჯახები, აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის და მთელი საზოგადოების ცხოვრების გაუმჯობესების გზით“. (ხოფერია, 2012).

თანამედროვე მსოფლიოში კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობა გადაიქცა ინსტრუმენტად, რომელსაც გამდიერებულ კონკურენციის პირობებში ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად ხშირად გამოიყენებენ. (Ychlewicz, 2014). კერძოდ, სოციალურ პასუხისმგებლობას ხშირად მოიაზრებენ მარკეტინგულ ან PR საქმიანობის ნაწილად, რომელიც გულისხმობს სოციალური და გარემოს დაცვითი საკითხების ჩართვას როგორც ბიზნეს სტრატეგიაში, ისე კომპანიის საქმიანობის ყველა სფეროში. შესაბამისად, კომპანიებმა გარდა „სავალდებულო“ მოთხოვნებისა, უნდა უზრუნველყონ ანგარიშების გამოქვეყნება სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილშიც. ბიზნესის ანგარიშვალდებულება გულისხმობს არა მხოლოდ ფინანსური ანგარიშების გამჭვირვალობას, არამედ დამატებით, მდგრადი განვითარების ანგარიშების გამოქვეყნებასაც. (Jackson, pp. 55-59). თავის მხრივ, აღნიშნული ანგარიშები კომპანიებს დაეხმარებათ საქმიანობის, დასახული მიზნების განხორციელებისას და მართული ცვლილებების შესაბამისად მიღებული შედეგების (პირდაპირი და არაპირდაპირი) განსაზღვრაში. (Kumar, 2014).

ნაშრომში ყურადღებაა გამახვილებული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობაზე კომპანიების საქმიანობაში, ასევე შესწავლილია საქართველოში მოქმედი ყველაზე მსხვილი 100 კომპანიიდან რომელი კომპანია იყენებს ვებ-გვერდს როგორც მარკეტინგულ ან და PR საშუალებას.

### **ლიტერატურული ანალიზი:**

კსპ, როგორც მარკეტინგული საშუალება:

დაინტერესებული მხარეების სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობის გათვალისწინება პროდუქციის შექმნისას, ინვესტიციების

განხორციელებისას და ა.შ, კომპანიებისათვის არა მხოლოდ მეტ ლოიალურ მომხმარებელს და ინვესტიციას ნიშნავს, არამედ კომპანიის დადებით იმიჯს და რეპუტაციასაც, რაც საბოლოო ჯამში პოზიტიურად აისახება ამ კომპანიების წარმატებაზე. (Stefania, 2011).

კსპ ანგარიშის პრიორიტეტები:

კსპ ანგარში სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიის ნაწილია, რომელიც კომპანიას ეხმარება ვარაუდების მონიტორინგში, ასევე მიზნისა და პროგრესის მიღწევაში, საბოლოოდ კი ზრდის კომპანიის მდგრადობას და აუმჯობესებს მის უერთიერთობას გარემოსთან. (Marzanna , 2016).

ამდენად, შეიძლება კომპანიებისათვის კსპ-ს ანგარიშის გამოქვეყნების სარგებლის შემდეგნაირად იდენტიფიცირება:

- დაინტერესებული მხარეების გამჭვირვალე კომუნიკაცია (Gao, 2009)
- კომპანიის იმიჯისა და რეპუტაციის გაზრდა (Porter..., 2007)
- ბრენდის ღირებულებების გაზრდა (Chomvilailuk..., pp. 397-418)
- მომგებიანობის ზრდა და რისკი მინიმუმამდე დაყვანა (Plimlee..., 2010 )
- კსპ შედარებითი ანალიზის განსაზღვრის შესაძლებლობა (Juscus..., 2014)
- კონკურენტული უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობა (Piercy..., 2009)

### **კსპ და ვებ-გვერდი:**

კსპ ანგარიშების წარდგენასთან ერთად, მნიშვნელოვანია ვებ-გვერდების როლის განხილვაც კომპანიების საქმიანობაში.

ხშირად კომპანიების ოფიციალური ვებ-გვერდები მოქმედებენ, როგორც მომსახურების მიწოდების მექანიზმი, რომელიც ხელს უწყობს დაინტერესებულ მხარეს, ავტომატურად შეუსრულოს დავალებები. შვედი მეცნიერების აზრით, ინტერნეტით კომუნიკაციის სხვადასხვა გზით შესაძლებელია ორგანიზაციის გავლენის წრის გაფართოება კლიენტებზე (Abrahamsson..., 2004). ამასთან, ინტერნეტმა დაარღვია გეოგრაფიული შეზღუდვები მარკეტინგში, ვინაიდან პოტენციურ მყიდველს მსოფლიოს ნებისმიერ კუთხიდან შეუძლია კომპანიის ვებ-გვერდზე წვდომა. (Cormier, 1999)

ამდენად, კომპანიის ვებგვერდი წარმოადგენს თავად კომპანიას მისი კულტურის, ღირებულებებისა და ხედვის შესახებ ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისით, (Samson, 2016) ამიტომაც საქართველოში

მოქმედი კომპანიების ოფიციალური ვებ-გვერდების შესწავლა, თუ რამდენად იყენებენ სოციალურ პასუხისმგებლობას როგორც კომპანიის იმიჯზე მოქმედი საშუალებას, არამხოლოდ წარმოდგენას შექმნის არსებულ სიტუაციაზე, არამედ გამოავლენს ახალ ტენდენციას.

### **მეთოდოლოგია და შედეგები**


კვლევისთვის გამოყენებული იქნა ნაშრომები (Veljkovic..., 2012; Knezovic, 2015), სადაც შესწავლილია სერბეთსა და ბოსნია ჰერცეგოვინაში 100 ყველაზე მსხვილი კომპანიების შესაძლებლობა, გამოიყენონ სოციალური პასუხისმგებლობა, როგორც სარეკლამო საშუალება. ავტორები შეეცადნენ ეჩვენებინათ, თუ რამდენად იყო გამოქვეყნებული სოციალური პასუხისმგებლობის აქტივობები ვებ-გვერდებზე. ამისთვის იხელმძღვანელეს ოთხი ძირითადი კითხვით:

1. შეიცავს თუ არა კომპანიის ოფიციალური ვებ-გვერდი სოციალური პასუხისმგებლობის განცალკევებულ განყოფილებას?
2. არის თუ არა გათვალისწინებული სოციალური პასუხისმგებლობა კომპანიის მისიაში/კომპანიის ხედვაში?
3. კომპანიის ვებ-გვერდი შეიცავს თუ არა ოფიციალურ ანგარიშს (წლიური) სოციალური პასუხისმგებლობის საქმიანობისა და ინიციატივების შესახებ?
4. კომპანიის ვებ გვერდი შეიცავს თუ არა სოციალური პასუხისმგებლობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას და რა თავისებურებებით ხასიათდება?

ამ სტატიის კვლევის ანალიზიც ემყარება მსგავს კითხვებს, თუმცა კვლევის ხასიათი განსახვავებულია რამდენიმე თვალსაზრისით. ანალიზი განხორციელდა 100 ყველაზე მსხვილი კომპანიების მაგალითზე, რომელსაც Forbes Georgia აქვეყნებს. კომპანიების რეიტინგი ეფუძნება კომპანიების 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებებს, რომლებიც [reportal.ge](http://reportal.ge)-ზე გამოქვეყნდა. რეიტინგში არ მონაწილეობს ბანკები, საფინანსო და სადაზღვევო კომპანიები, ასევე ის კომპანიები, რომლებშიც სახელმწიფო 50%-ზე მეტ წილს ფლობს. რეიტინგი კომპანიების მთლიანი აქტივების, შემოსავლებისა და წმინდა მოგების მიხედვით გადანაწილდა.

საქართველოში ყველაზე მსხვილი კომპანიების მოძიების შემდეგ, შესწავლილი იქნა მათი ოფიციალური ვებ-გვერდები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მსხვილი 100 კომპანიიდან მხოლოდ 79 კომპანიას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი, 6 კომპანიას საერთოდ არ გააჩნია, 9 კომპანიის ვებ-გვერდი განახლების პროცესშია, ხოლო 6 ადგილობრივი კომპანიის შესახებ ინფორმაცია იძებნება მთავარი კომპანიის ვებ-გვერდზე (იხ. დიაგრამა N1).

**დიაგრამა 1:** საქართველოში მოქმედი 100 უმსხვილესი კომპანიის ოფიციალური




### ვებ-გვერდების არსებობის სტატისტიკა

მიუხედავად იმისა, რომ განვითარდა ინტერნეტის მეშვეობით კომუნიკაცია, საქართველოში მოქმედი წამყვანი კომპანიები არ გამოიყენებენ ვებ-გვერდებს, როგორც ბიზნესის ოპერაციების უკეთეს ინსტრუმენტად. ის ფაქტი, რომ კორონავირუსის მსოფლიო პანდემიამ გლობალურ ბაზარზე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა კიდევ უფრო წინ წამოწია, მისი როლი როგორც სარეკლამო საშუალება ძალიან დიდია. ამას ისიც მოწმობს, რომ კვლევის ფარგლებში შესავლილი კომპანიებიდან 6 კომპანია მიბმულია ე.წ. დედა კომპანიას, რომელსაც არამხოლოდ აქვს სოციალური პასუხისმგებლობის ცალკეული განყოფილება ვებ-გვერდზე, არამედ აქვეყნებს ანგარიშებს კვპ ს შესახებაც.

როგორც დიაგრამა N2 გვიჩვენებს, 100 კომპანიიდან მხოლოდ 25 კომპანიას აქვს კვპ-ს ცალკეული განყოფილება კომპანიების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე, თუმცა 5 შემთხვევაში კვპ-ს განყოფილებაში მხოლოდ სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ თეორიული განმარტებებს ვაწყდებით. მაგალითად, კომპანია „ჯორჯიან უოთერ ან ფაუერი“, კვპ-ს განყოფილების ნაწილში მიუთითებს: „უპირველეს სოციალური

პასუხისმგებლობა, რომელიც „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ უშუალო საქმიანობას უკავშირდება, თბილისის მოსახლეობისათვის, საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და კომერციული სექტორისთვის საიმედო კომუნალური მომსახურების გაწევა, მათი სტაბილური წყალმომარაგება და მათთვის ხარისხიანი სასმელი წყლის მიწოდებაა“.

**დიაგრამა 2.** საქართველოში მოქმედი 100 უმსხვილესი კომპანიის ოფიციალურ ვებგვერდზე კსპ-ს განყოფილების არსებობის შესახებ სტატისტიკა



არაფერია ნათქვამი უკვე განხორციელებულ პასუხისმგებლიან საქმიანობებთან დაკავშირებით. განსხვავებული სიტუაცია შეგვხვდა კომპანია „ლუკოილის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე არ მოიძებნა კსპ-ს ცალკეული განყოფილება და ზოგადად კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაცია. კომპანია საწყის გვერდზე მიუთითებს: „ჩვენი მიზანია, მხარი დავუჭიროთ ეკონომიკის, სოციალური სტაბილურობის, აღმავლობისა და განვითარების ზრდას ჩვენს ქვეყანაში და ვიზრუნოთ გარემოც დაცვის საკითხებზე“.


კომპანიის მიზანი ხსნის კომპანიის არსებობის არსს, ამიტომ ის ძალიან მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ვებ-გვერდზე. შესწავლილი 100 კომპანიიდან, მხოლოდ 79 კომპანიის ვებ გვერდზე შეიძლებოდა წვდომა, თუმცა მიზანი/მისია, რომელიც უშუალოდ ანდა ნაწილობრივ მაინც ითვალისწინებდა სოციალიალურ პასუხისმგებლობას, არის 9.

კომპანია ვებ-გვერდის მეშვეობით კომპანიის მისიის წარმოჩენით კომპანია ცდილობს გააცნოს საზოგადოებას სამომავლო მიზანი. პირველი რამ, რაც პოტენციური ინვესტორი ან პარტნიორი ეძებს კომპანიის შესახებ არის მისია. აქედან გამომდინარე, სოციალური პასუხისმგებლობის კომპანიის მისიის „შემადგენლობაში“ ჩართვა, კარგი მიგნებაა. თუმცა კომპანიების ვებ-გვერდების შესწავლისას გამოიკვეთა ტენდენცია, რითაც საქართველოს



მოქმედი კომპანიები უცხოური ინვესტიციების დაინტერესებას ცდილობენ. ეს არის მათთვის ცალკეული განყოფილება ოფიციალურ ვებ-გვერდზე სადაც უმეტეს შემთხვევაში ფინანსური ანგარიშგებებისა და უკვე განხორციელებული პროექტების შესახებ ამცნობენ.

**დიაგრამა 3:** კომპანიების მიერ კსკ-ს გათვალისწინება კომპანიის მისიაში/მიზანში



რაც შეეხება ანგარიშების შესახებ კითხვას, მხოლოდ კომპანია „ვისოლს“ აქვს წარმოდგენილი ცალკეული ანგარიშგებები სოციალურად პასუხისმგებელიანი აქტივობების შესახებ ჯერ კიდევ 2006 წლიდან, ხოლო ბოლო კითხვას, რომელიც გულისხმობდა კსკ-ს შესახებ განახლებულ ინფორმაციას და თვისებრივ მასახიათებლებს, ამას მხოლოდ 7 კომპანიის ვებ-გვერდი უზრუნველყოფს.

კვლევის ფარგლებში ასევე გამოვლინდა, რომ საქართველოში 100 უმსხვილესი კომპანიიდან, მხოლოდ 5 კომპანია არის გაეროს (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) გლობალური შეთანხმების წევრი. აქაც გამოიკვეთა გარკვეული შეუსაბამობები იმ თვალსაზრისით, რომ მიუხედავად მსოფლიოში უმსხვილესი ქსელის წვრობისა, რომელიც გულისხმობს პასუხისმგებელიანი და მდგრადი ბიზნესის ხელშეწყობას კომპანიები ადგილობრივ დონეზე, უგულვებელყოფენ შეთანხმების 10 პრინციპს.

მაგალითად, კომპანია სილქნეტი, რომელიც საქართველოში 2018 წელს ყველაზე შემოსავლიანი კომპანიების რეიტინგის მიხედვით მეხუთე ადგილზეა და, ამასთან, მსოფლიოში ყველაზე დიდი კორპორაციული მდგრადობის ინიციატივის წევრია, კომპანია არამცთუ არ აქვეყნებს ანგარიშგებებს კსკ-ს ნაწილში, არამედ ცალკეული კომპანიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე არ მოიძებნა კსკ-ს ცალკეული განყოფილება. ამის მიზეზი შეიძლება კომპანიის ქსელში ახლადგაწევრიანება იყოს, კერძოდ კომპანია ქსელს 2020 წლის მარტში შეუერთდა. შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, რომ წლებთან ერთად დაიხვეწება კომპანიების მფლობელების

დამოკიდებულება და კსპ დაიმკვიდრებს არამცთუ მნიშვნელოვან ადგილს კომპანიების არსებობაში, არამედ ითამაშებს მნიშვნელოვან როლს მისი წარმატებისთვის. ამის თქმის საბაზს კომპანია ვისოლის შეთხვევა გვაძლევს, ვინაიდან კომპანია ვისოლის მიერ კსპ-ს ანგარიშების გამოქვეყნების თარიღი ემთხვევა გაეროს გლობალურ ქსელში გაწევრიანების თარიღს. კერძოდ კომპანია აღნიშნულ ქსელს ჯერ კიდევ 2007 წელს შეუერთდა და მას შემდეგ ყოველწლიურად აქვეყნებს ანგარიშებს.

**დასკვნა:** ნაშრომის მიზანი იყო ხაზი გაესვა კომპანიების სოციალურ პასუხისმგებლობაზე და წარმოეჩინა კომპანიების ვებ-გვერდების პოტენციალი, როგორც კომპანიის იმიჯზე მოქმედი საშუალება.

შედეგმა გვიჩვენა, რომ საქართველოში მოქმედი კომპანიები არამცთუ არ აქვეყნებენ ანგარიშებს კსპ-ს ნაწილში, არამედ დიდ პრობლემას წარმოადგენს ვებ-გვერდების არსებობაც.

პირველ რიგში ვებ-გვერდების გარეშე დარჩენილმა კომპანიებმა უნდა გაითავისონ, რომ იმ 79 კომპანიის მიერ გადახდილი თანხა, რომელიც ვებ-გვერდების დომენისთვის იხდიან, არის „ხარჯი შემდგომში მოგების მისაღებად“, ხოლო იმ კომპანიებს, რომელთაც ვებ-გვერდებზე კსპ-ს ნაწილში ზოგადი ინფორმაცია აქვს მითითებული სოციალური პასუხისმგებლობაზე, საწყის ეტაპზე შეუძლიათ დაურთონ დოკუმენტები, რომელიც დაინტერესებულ მხარის ინტერესების ზრუნვას ეხება. მათ ასევე შეუძლიათ მიუთითონ კსპ-ს ნაწილში ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია, რათა დაინტერესებულ მხარეს გაუადვილდეს კომუნიკაცია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში მოქმედი კომპანიების უმრავლესობა კსპ-ს შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს სხვადასხვა მედია საშუალებებითა და სოციალური ქსელებით, თუმცა მათ შეუძლიათ წლიურ შეჯამებას თავი მოუყარონ ოფიციალურ ვებ-გვერდებზე.

დაბოლოს, როგორც მეთიუ მაგური (Maguire, 2011) ამტკიცებდა: კსპ ანგარიში არის კომპანიების ბაზარზე ათწლეულებით არსებობის გარანტი და მდგრადი განვითარების საწინდარი, შესაბამისად საქართველოში მოქმედმა კომპანიებმა აუცილებლად უნდა დაიწყონ ფიქრი აღნიშნული კონცეფციის დამკვიდრებაზე.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ხოფერია ლ., კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სახელმძღვანელო, თბილისი, 2012, გვ.12
2. Abrahamsson J. and Lundgren H., The use of web sites in integrated marketing communication, Master's Thesis, 2004, pp. 45-48.
3. Chomvilailuk R., and Butcher K., Enhancing brand preference through corporate social responsibility initiatives in the Thai Banking Sector. *Asia Pacific Journal of Marketing and Logistics*, Vol. 22(3), pp.397-418.
4. Cormier, K., Developing a web site. *TMA Journal* 1999, Vol.19(2), pg.7.
5. Gao Y., Corporate social responsibility and consumers' response: the missing linkage. *Baltic Journal of Management*, 2009. Vol. 4(3), pp. 269-287.
6. Jackson A., Boswel K., and Davis D., Sustainability and Triple Bottom Line Reporting –What is all about?, *International Journal of Business, Humanities and Technology*. 2012. Vol. 1(3), pp. 55-59.
7. Juscius V., Sneideriene A. and Griaslyter R. Assessment of the benefits of Corporate Social Responsibility reports as one of the marketing tools. *Regional Formation and Development Studies*, 2014, Vol. 3(11), pp. 88-99.
8. Knezovic, E., Bušatić S., and Plojovic S., Corporate Social Responsibility and Web Reporting, *Inquiry - Sarajevo Journal of Social Sciences*, 2015, Vol.1. pp.47-64.
9. Kumar R., A Study of Sustainability Reporting Practice in Indian and Global Companies with Special References to the Petroleum Companies, *Abhinav National Monthly Refereed Journal of Research in Commerce and Management*, 2014. Vol. 3(4), pp.15-25.
10. Maguire M., *The Future of Corporate Social Responsibility Reporting*, 2011, London.
11. Marzanna L., CSR Reporting – Financial Institutions, *Centra European Review of Economics and Finance*, 2016. Vol. 3. pp. 65-81.
12. Piercy N., F., and Lane N., Corporate Social Responsibility: Impacts on Strategic Marketing and Customer Value, *The Marketing Review*, 2009, Vol. 9 (4): 335-360.

13. Plumlee M., Brown D., Hayes R.M. and Marshall R.S., Voluntary environmental disclosure quality and firm value: further evidence. Working Paper, University of Utah and Portland State University, 2010.
14. Porter M.E., and Kramer M.R., The Competitive Advantage of Corporate Philanthropy, HBR on Corporate Responsibility. Redefining Corporate Social Responsibility, Harvard Business Review Press, Boston, 2007. pp. 20–33.
15. Samson O., Website as a marketing tool communication tool, Thesis Centria University of Applied Sciences, Business Management. 2016.
16. Stefania S., CSR-A marketing Tool? Annals of Spiru Haret Univeristy, Economics Series. 2011, Vol. 2, pp.159-164
17. Veljkovic D., and Petrovic D., “Korporativna društvena odgovornost i značaj njene promocije”. Marketing, 2011. Vol. 41(1), pp.29-42.
18. Ychlewicz M., CSR as a Tool of Building the Competitiveness of Business, Foundations of Management. 2014, Vol.6, pp.79-88
19. ჯორჯიან ოთერ ენდ ფაუერი- <https://www.gwp.ge/ka/social>, გადამოწმებული იქნა 15.09.2020
20. ლუკოილი - <http://www.lukoil.ge/index.php?m=307>, გადამოწმებული იქნა 18.10.2020
21. გაეროს გლობალური ქსელი - UN Global Compact, Participants, Available: [https://www.unglobalcompact.org/what-is-gc/participants/search?utf8=%E2%9C%93&search%5Bkeywords%5D=&search%5Bcountries%5D%5B%5D=65&search%5Bper\\_page%5D=10&search%5Bsort\\_field%5D=&search%5Bsort\\_direction%5D=asc](https://www.unglobalcompact.org/what-is-gc/participants/search?utf8=%E2%9C%93&search%5Bkeywords%5D=&search%5Bcountries%5D%5B%5D=65&search%5Bper_page%5D=10&search%5Bsort_field%5D=&search%5Bsort_direction%5D=asc), გადამოწმებული იქნა 18.10.2020

## ქართული ღვინო და ჯანმრთელობა: მიმოხილვა და პერსპექტივები Georgian wine and health: overview and perspectives

**ნინო ჩხარტიშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
**Nino Chkhartishvili** – Georgian Technical University  
**ანა ღარიბაშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
**Ana Gharibashvili** – Georgian Technical University

**აბსტრაქტი:** ალკოჰოლურ სასმელებს შორის ღვინო უხსოვარი დროიდან საზოგადოების დიდ ყურადღებას და ინტერესს იწვევდა. სტატიაში მოცემულია სამეცნიერო ლიტერატურაში ბოლოდროინდელი მასალების მიმოხილვა, რომელიც ეხება ღვინის დადებით გავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე.

მსოფლიო თანამედროვე საზოგადოება ცდილობს სულ უფრო მეტად მოიხმაროს საკვები, რომელიც შეძლებს დაავადების მკურნალობა-პროფილაქტიკას და გაუხანგრძლივებს სიცოცხლეს. ამ თვალსაზრისით განიხილება ანტიოქსიდანტური ნაერთებით მდიდარი საკვები და სასმელი, რომელთა შორის - ღვინოს - მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

მსოფლიოში ღვინის მოხმარებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს და დღესაც, მეტად პოპულარულ სასმელად ითვლება. ისტორიულად ცნობილია ღვინითა და ყურძნით მკურნალობის: ენო და ამპელო თერაპიების არსებობაც.

სტატისის მთავარი მიზანია მიმოიხილოს ჩატარებული კვლევის შედეგები ღვინისა და ჯანმრთელობის შესახებ, რომელიც ხაზს უსვამს ქვევრის წითელი ღვინოების ფენოლური შემადგენლობის ეფექტს და ამით ხელს უწყობს რეგულარულ მოხმარებასა და ღვინის დადებით სარგებელს ადამიანის ჯანმრთელობაზე, რაც თავისთავად პერსპექტიულობის წინა პირობაა.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული იშვიათი ვაზის ჯიში, Vitis Vinifera, ქვევრი, პოლიფენოლები.

**Abstract:** Among spirits wine has attracted a lot of public attention since time immemorial. The article provides an overview of the latest materials in the academic literature on the positive effects of wine on human health. The modern world society is trying to consume more and more food products that can cure, prevent disease and prolong its life. In this context, foods and drinks are considered as a rich with antioxidant compounds, among which wine has an important place. Wine consumption in the world has a long history and is still

considered a very popular drink. The existence of eno and ampelo therapies - treatment with wine and grape - are also known historically.

The main purpose of the article is to review the results of wine and health research that highlight the influence of the phenolic composition of Qvevri red wines and thus contribute to the regular consumption and positive health benefits of wine, which in itself is a prerequisite for the future.

**Key words:** Georgian rare grape, Vitis Vinifera, Qvevri, Polyphenols.

**შესავალი: ღვინო - ფუნქციური კვების პროდუქტი.** უკანასკნელი წლების მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაში ღვინო ფართოდ განიხილება ფუნქციური კვების პროდუქტი, როგორც “სანელებელი, რომელიც ძალიან კარგად მოქმედებს ადამიანის მარღვებსა, გუნებასა და გონებაზე”(Chavchavadze, 1887). მე-20 საუკუნის ბოლოდან მსოფლიო მასშტაბით ჩატარებული მნიშვნელოვანი კომპლექსური ინ ვიტრო და ინ ვივო კვლევების საფუძველზე დადასტურებულია, ალკოჰოლით სისხლის კიბოს, კორონალური სიკვდილის რისკის, გულსისხლძარღვთა და სხვათა მნიშვნელოვანი დაავადებების შემცირების ფაქტები. დადგენილია, რომ ყოველდღიურად ღვინის ზომიერი მოხმარება უვნებელია, ხშირად სასარგებლო, რომელმაც შესაძლებელია თავიდან აიცილოს სხვადასხვა ქრონიკული დაავადება (Snopek et al., 2018).

ნატურალური ყურძნის ღვინო რთული კომპლექსური ნაერთია, რომელიც შეიცავს მეტად სასარგებლო კვებით პროდუქტებს, რომლებიც მთელი რიგი მკვლევართა აზრით, ადამიანის ორგანიზმზე დადებითად მოქმედებს. იგი წარმოადგენს კარგ დიეტურ პროდუქტს. როგორც ცნობილმა ქიმიკოსმა ლუი პასტერმა გამოთქვა: “ღვინო შეიძლება განვიხილოთ სრული უფლებით, როგორც ყველაზე უფრო საღი ჰიგიენური სასმელი”. დოქტორ გუაზეს აზრით, კი “ღვინო ჯანმრთელი ადამიანისათვის წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას ავადმყოფობათაგან დასაცავად, ხოლო ავადმყოფებთათვის კი საშუალებას მათ დროულად განსაკურნავად”. დადასტურებულია, რომ ანტიოქსიდანტებით მდიდარი წითელი ღვინის მოხმარებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია. წითელი ღვინის ფასი იცოდნენ ძველმა რომაელებმა, რომლებმაც ჯერ კიდევ იმ დროს მოახდინეს მისი პოპულარიზაცია.

დადასტურებულია, რომ ღვინის ეს თვისება ნაწილობრივ განპირობებულია წითელ ღვინოში მნიშვნელოვანი ანტიოქსიდანტების -

პოლიფენოლების არსებობითა და რაოდენობით, რაც მსოფლიოში ჩატარებული კვლევების მთავარ საგანს წარმოადგენს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რეზვერატროლი, ანტოციანები და კატექინები, რომლებიც ღვინის ყველაზე ეფექტურ ანტიოქსიდანტებს წარმოადგენენ.

საერთაშორისო მკვლევართა ჯგუფის მიერ ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით “რეზვერატროლი აქტიურია გულსისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკაში თავისუფალი ჟანგბადის რადიკალებისა და რეაქტიული აზოტოვანი რადიკალების განეიტრალებით. იგი აღწევს ჰემატოენცეფალურ ბარიერში და, შესაბამისად, იცავს თავის ტვინის და ნერვულ უჯრედებს. იგი ასევე ამცირებს თრომბოციტების აგრეგაციას და ამით ეწინააღმდეგება თრომბების წარმოქმნას”.

დღეს, ქართული ღვინო მსოფლიო ბაზარზე დიდი პოპულარობით სარგებლობს. ასეთი პოპულარობა კი მხოლოდ რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული: 1. ვაზის ჯიში, 2. ადგილმდებარეობა და 3. ტექნოლოგია. ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიერ (აკად. დ. დურმიშიძე, მიშელ ბურზექსი, პასკალი და სხვ) დადგენილია, რომ ამ მიმართულებით მეტად განსაკუთრებულად საყურადღებოა ქვევრის წითელი - კახური ტექნოლოგიით დაყენებული ღვინო.

**ქვევრის ფენომენი:** ქვევრის ღვინო მსოფლიო საგანძურია. ქვევრი - ეს უნიკალური ჭურჭელი ქართული მეღვინეობის ტრადიციის ნაწილია. 2013 წელს იუნესკომ ქვევრის ღვინის დაყენების ქართულ მეთოდს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა, ხოლო 2020 წლის 26 ნოემბერს მევენახეთა და მეღვინეთა საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალურ ანსამბლეაზე ქართული ტექნოლოგიით -“დურდოზე (ჭაჭა) ხანგრძლივი მაცერაციით დაყენებული ღვინო“ ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის OIV-ის სპეციალური ღვინოების ჩამონათვალს დაემატა.

ქვევრის ღვინის უნიკალური ქართული ტექნოლოგია გულისხმობს ღვინის ჭაჭა-კლერტზე მაცერაციას. ყურძენი ქვევრში დასადუღებლად კლერტითა და მარცვლით იყრება. დუდილი ბუნებრივი და ველური საფუარის დახმარებით მიმდინარეობს. დუდილის დასრულების შემდეგ ქვევრი გადაივსება, დაიგოზება და ღვინო ექვსი თვით ჰერმეტიკულ მდგომარეობაში ინახება. ქვევრში ბუნებრივად მიმდინარეობს ის

პროცესები, რომლებსაც ღვინის საწარმოებაში სპეციალური დანადგარები და დანამატები სჭირდება.

ქვევრი დასამზადებლად განსაკუთრებულ თიხას საჭიროებს, რომელიც მდიდარია: ოქროთი, სასარგებლო ფერადი ლითონებით, კირითა და მინერალებით. კირი ბუნებრივი ანტისეპტიკია. იგი იცავს ღვინოს დაახლოებით 400 სხვადასხვა მავნე ბაქტერიისაგან. აღსანიშნავია, რომ ქვევრი ღვინის ბუნებრივად დალექვის საშუალებას გვაძლევს, რაც აიხსნება მისი ერთგვარი წაწვეტებული კონუსის ფორმით (Shashiashvili, 2019).

21-ე საუკუნეში, მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებამ საქართველო - ვაზის სამშობლოდ, ხოლო ქვევრში ჭაჭაზე დადუღებული ღვინო - უძველეს ტრადიციულ მეთოდად აღიარა. საქართველომ, საიდანაც იწყება ამ კულტურის გავრცელება მთელ მსოფლიოში, უდიდესი გავლენა იქონია სოფლის მეურნეობის, ხალხთა კულტურის, ბიოლოგიის, მედიცინისა და, ზოგადად, ცივილიზაციების ჩამოყალიბებაზე.

ეს ფაქტები დადასტურებულია აშშ-ის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო ჟურნალში PNAS (მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალრეიტინგული სამეცნიერო ჟურნალი) გამოქვეყნებულ სტატიაში სახელწოდებით „Early Neolithic wine of Georgia in the South Caucasus“ („საქართველოს ადრეული ნეოლითური ღვინო სამხრეთ კავკასიიდან“), რომელიც ეფუძნება სამწლიანი საერთაშორისო პროექტის ფარგლებში ჩატარებულ ბიომოლეკულურ კვლევებს (Shashiashvili, 2019; Lortkipanidze, 2017; Patrick McGovern et.al 2017).

ღვინო - ყურძნის ძირითადი პროდუქტი წარმოადგენს ალკოჰოლის, ნახშირწყლების, ორგანული მჟავების, მინერალების, პოლიფენოლების, არომატული ნაერთებისა და წყლის ერთობლიობას. ღვინოში წარმოდგენილია ნივთიერებები, რომლებსაც მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა აქვთ გულსისხლძარღვთა და ზოგიერთ ქრონიკულ დაავადებაზე (Shashiashvili, 2019).

8 000 წლოვანი ისტორიული წარსულის მქონე ღვინოზე ჩატარებული სამეცნიერო კვლევები მოწმობენ ქვევრის ღვინის უნიკალურობას, რაც განპირობებულია დურდოს სრული მაცერაციით. ეს ყურძნის მყარი ნაწილებიდან ღვინოში პოლიფენოლების დიდი რაოდენობით გადასვლის საწინდარია.



**ლიტერატურული ანალიზი:** პოლიფენოლები - მსოფლიო სამედიცინო სფეროში ყურძენი (*Vitis Vinifera*)- წარმოადგენს სხვადასხვა ფერისა და შემადგენლობის მქონე ძირითად ნედლეულს ღვინის წარმოებისთვის. ოდითგანვე მეღვინეობაში გამოიყენებოდა ყურძნის მაგარი ნაწილები და ტკბილი. თუმცა კანი, კლერტი და წიპწა ხშირად გამოიყენება, როგორც საკვები დანამატი, მათ შორის კი უფრო ხშირად ყურძნის მარცვლის კანი. გადმოცემებით ცნობილია, რომ საკვებ დანამატად ძირითადად მხოლოდ წითელი ყურძნის კანს იყენებდნენ (American Heart Association, 2020).

ამერიკის გულის ასოციაციის მიერ მოპოვებული ისტორიული წყაროები გადმოგვცემენ: 1535 წელს კანადაში ჟაკ კარტიერის ექსპედიციის მეზღვაურები მძიმედ დაავადდნენ ქსოვილის დაავადებით - სკაბით, რომლის გამომწვევი მიზეზი მეზღვაურის რაციონში ვიტამინების ნაკლებობით აიხსნებოდა. ამერიკელი მკვიდრის რჩევამ, მიეღოთ ფიჭვის კონკრეტული სახეობის ქერქისგან დამზადებული ჩაი, ეკიპაჟი გადაარჩინა. მე-19 საუკუნის 30-იან წლებში მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ფიჭვის ექსტრაქტი შეიცავდა ძალიან ცოტა ვიტამინ C- ს.

50 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ევროპელი ბიოქიმიკოსები იკვლევდნენ მეზღვაურთა უფრო ეფექტურ საშუალებას - ანტიოქსიდანტური პოლიფენოლების ოჯახს, სახელწოდებით პიკნოგენოლებს, რომელთა ძირითად აქტიურ ნაერთებს პიგმენტები წარმოადგენდნენ (Heberden, 2019).

2009 წლის ანგიოლოგთა საერთაშორისო ჟურნალში, მასაჩუსეტის კლინიკური მედიცინის სამედიცინო დოქტორებმა ალფრედო კორდოვამ და ბაუერ სუმპიომ გამოიკვლიეს წითელი ღვინის დადებითი გავლენა ორგანიზმზე. მათივე თქმით, 1786 წელს ჰებერდენმა პირველმა შემოგვთავაზა ალკოჰოლის სასარგებლო გავლენა გულისსხლმარღვთა სისტემაზე (Heberden, 2019; Klatsky, 2006); მან შეამჩნია სტენოკარდიის განმუხტვა "ალკოჰოლის სითბოთი". 1819 წელს საერთაშორისო შედარებებმა გამოავლინა სასმლის არჩევანი, როგორც დამცავი ფაქტორი (Klatsky, 2006). ერთი საუკუნის შემდეგ, 1904 წელს, კაბოტმა (Cabot, 2008) პირველმა შეაფასა საპირისპირო კავშირი ალკოჰოლის მოხმარებასა და ათეროსკლეროზს შორის, დაკვირვების მონაცემების საფუძველზე. ასევე მე-20 საუკუნის დასაწყისში პათოლოგებმა დააფიქსირეს შებრუნებული კავშირი ალკოჰოლსა და ათეროსკლეროზს შორის (Klatsky, 2006). ამასთან,

მხოლოდ 30 წლის წინ, როდესაც დაიწყო ეპიდემიოლოგიური გამოკვლევები ალკოჰოლსა და გულსისხმარღვთა დაავადებების უფრო მცირე ინციდენტურ ურთიერთობებზე, უფრო მეტი ყურადღება დაეთმო თემას (Cabot, 2008). გარდა ამისა, 1979 წელს, სენტ ლეგერმა და სხვებმა (Yano et al., 1977) შეამცირეს ეს კავშირი წითელი ღვინის მოხმარებასთან. მათ თავიანთი კვლევა დააფუძნეს ევროპისა და ამერიკის 18 სხვადასხვა განვითარებული ქვეყნიდან, სადაც გულის იშემიური დაავადებით სიკვდილიანობა შეფასდა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, როგორცაა ჯანმრთელობის სერვისი, მთლიანი ეროვნული პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, გაჯერებული და ერთუჯერი ცხიმების მიღება და ალკოჰოლის მოხმარება. რენაუდმა და სხვებმა (Renaud & Lorgeril, 1992) იგივე კორელაცია მოახდინეს 1992 წელს და შემოიღეს "ფრანგული პარადოქსის" კონცეფცია. მათი კვლევა ემყარებოდა გულსისხლძარღვთა დაავადებების (MONICA) მონიტორინგის სისტემას (World Health Organization, 2010), რომელიც მოიცავდა შვიდ მილიონ მამაკაცსა და ქალს 35 – დან 64 წლამდე 37 ევროპული, ამერიკული და აზიური პოპულაციიდან, მათ შორის აშშ, კანადა, გაერთიანებული სამეფო სხვათა შორის, საფრანგეთი და ჩინეთი. ეს იყო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის უდიდესი ძალისხმევა, რომელშიც 21 ქვეყნის თანამშრომელმა მკვლევარებმა 10 წლის განმავლობაში მიჰყვეს სუბიექტებს, გასული საუკუნის 80 – იანი წლების შუა პერიოდიდან 90-იანი წლების შუა ხანებამდე (Cordova & Sumpio, 2009).

ამავე კვლევაში დამტკიცებულია, რომ წითელი ღვინო შეიცავს პოლიფენოლებს, რომელიც არ მოიპოვება არც ერთ სხვა სპირტიან სასმელში, მხოლოდ მცირე რაოდენობით ლუდსა და ვისკიში. მათი კვლევების შედეგად პოლიფენოლები იდენტიფიცირებულია, როგორც ანტიოქსიდანტები, ანტიმუტაგენები, კატალიზური ლითონების ქელატორები და თავისუფალი რადიკალების გამწმენდი.

რეკომენდაცია: წითელი ღვინის რეგულარული და ზომიერი მოხმარება (ნახევარიდან ერთი ჭიქა), გარკვეულწილად წარმოადგენს კარდიოვასკულარული და სხვა პათოლოგიების შემცირებას, როგორცაა წყლულოვანი დაავადება, რესპირატორული ინფექციები, ალცეიმერის დაავადება, კიბო და სხვ.

მეცნიერთა მეორე ჯგუფის მიერ მოწოდებული ისტორიული ფაქტები მოწმობენ, რომ მხოლოდ 1947 წელს ფრანგმა ქიმიკოსმა ჯეკ მასკელიემ

არაქისის ტყავისგან გამოყო იზოლირებული პოლიფენოლები (OPC) და მათი როგორც უნიკალური კლასის ადწერის მიზნით გამოიყენა ტერმინი "პიკნოგენოლი", მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეების განმავლობაში ღვინო მაღალმოთხოვნადი სასმელი იყო, ევროპაში წითელი ყურძნისგან მიღებული პროდუქტის ჯანმრთელობის სარგებლობის შესახებ სამეცნიერო კვლევები მხოლოდ მე-20 საუკუნის შუა პერიოდიდან დაიწყო. ევროპაში 1950 წლიდან პოლიფენოლების ეს უნიკალური კლასი გამოიყენებოდა სისხლის სუსტი კაპილარების, პოსტ – ქირურგიული შემუშების, ციროზის (ღვიძლის დაავადება), ვარიკოზული ვენების და დიაბეტური რეტინოპათიის სამკურნალოდ (თვალის დაავადება, რომელიც იწვევს დიაბეტს). დაკვირვებებმა დადებითი შედეგი აჩვენეს (American Heart Association, 2020).

დადგენილია, რომ, რაც უფრო ინტენსიურია ფერი, მით მეტია პოლიფენოლების შემცველობა, სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, თუ რატომ აქვს წითელ ღვინოს ჯანმრთელობაზე მეტი სარგებელი ვიდრე თეთრ ღვინოს. როდესაც წითელი ღვინო მზადდება, გამოიყენება - კანი, წიპწა და კლერტი. ტკბილში დიდი ხნის განმავლობაში რჩება, გადადის ღვინოში, რაც წითელ ღვინოს მისთვის დამახასიათებელ არომატსა და ფერს ანიჭებს.

**მასალები და მეთოდოლოგია:** ჩვენი ლიტერატურული მიმოხილვის მიზნებიდან გამომდინარე, ტექნოლოგია, რომელიც განაპირობებს წითელი ღვინის სარგებელს, წარმოადგენს ხანგრძლივი მაცერაციის პროცესს, რომელშიც მონაწილეობას ყურძნის მაგარი ნაწილები იღებენ. სწორედ ამიტომაც, ქვევრში ღვინის დაყენებისას ითვალისწინებენ არა მარტო ყურძნის ტექნიკურ, არამედ ფენოლოგიურ სიმწიფეს.

მეცნიერთა მიერ საკვლევ ნიმუშებად გამოყენებული იყო ქართული ავთენტური (*Vitis Vinifera*) წითელყურძნიანი ვახის ჯიშები - მოკრეფილი ტექნოლოგიური და ფენოლოური სიმწიფის გათვალისწინებით, როგორც აღმოსავლეთ (კახეთი), ასევე დასავლეთ საქართველოს (სამეგრელო) რეგიონებში. ქვევრის ღვინის წარმოების ტექნოლოგიის მიხედვით, ნედლეული გადამუშავდა და ყურძნის მყარ ნაწილებთან ერთად ალკოჰოლური დუდილის ჩასატარებლად მოთავსდა ქვევრებში. ყველა მოცემულ შემთხვევაში გამოყენებული იყო ველური და კულტურული საფუარი. ოქსიდაციისაგან ღვინის დაცვის, დუდილის პერიოდში

ტემპერატურული რეჟიმის რეგულირებისა და ფენოლოური და მორთილავი ნივთიერებათა აქტიურად გადასვლის მიზნით ხანგრძლივი მაცერაციის პერიოდში რეგულარულად მიმდინარეობდა ქვევრში ჭაჭის ჩაზეღვა ანუ დუღილი “ჩაძირული ქუდით”.

დადუღებული ტკბილის ჭაჭიდან მოხსნა მიმდინარეობს განიავებით, რათა დაჟანგვის რეაქციებით მოხდეს მორთილავი, საღებავი და აზოტოვანი ნივთიერებათა საკმარისად დაჟანგვა, მათი დაჟანგვის პროდუქტებით კი გამდიდრდეს ღვინომასალა, რაც ქვევრის წითელი ღვინის განსაკუთრებულობის ერთ-ერთი წინაპირობაა (Lashkhi, 1970).

სხვადასხვა პერიოდში, მეცნიერთა ჯგუფების მიერ ჩატარებულ კვლევებში ალკოჰოლური დუღილის ხანგრძლივობა განსხვავებული იყო. იგი 9-დან 18 დღემდე მერყეობდა.

დუღილის დამთავრების შემდეგ დადუღებული ღვინო გადატანილ იქნა შესანახ ჭურჭელში.

კვლევების მიზნებიდან გამომდინარე ინტერესს იწვევდა ღვინოში ფენოლოური ნაერთების შემცველობა: ანტოციანები, რეზვერატროლი, მირიცეტინი, ქვერცეტინი, კემფეროლი, იზორამნეტინი და კატექინი.

საბოლოო პროდუქტში სხვა მნიშვნელოვან პარამეტრებთან ერთად მკვლევართათვის მიზნობრივი საკვლევი ფენოლოური ნაერთების შემცველობა განსაზღვრულ იქნა სპექტოფოტომეტრის გამოყენებით OIV სტანდარტების გათვალისწინებით.

**კვლევების შედეგები:** ჩატარებული კვლევების საფუძველზე მიღებული შედეგებით შესაძლებელია ვიმსჯელოთ, რომ: ქვევრი - განსაკუთრებული ჭურჭელია, სადაც წითელყურძნიანი ჯიშების ხანგრძლივი მაცერაციის შედეგად მიღებულია მაღალი ფენოლოური ნაერთების შემცველი ანტიოქსიდანტურად აქტიური ღვინოები.

2008 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად ქვევრში დაყენებულ საფერავში აღმოჩნდა ტრანს-რეზვერატროლის მაქსიმალური რაოდენობა - 94,5%. იმის გათვალისწინებით, რომ ტრანს-რეზვერატროლს ახასიათებს უფრო მაღალი ბიოლოგიური აქტივობა და სამედიცინო მნიშვნელობა, ვიდრე ცის-რეზვერატროლი, მათი წილი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი კრიტერიუმში ღვინის სამკურნალო თვისებების გასაზომად. საკითხის უფრო

დრმად შესწავლის მიზნით, საჭიროა უფრო დეტალური კვლევები ქართულ ღვინოში პოლიფენოლების შეცვლობაზე (Chkhikvishvili, et al., 2008).

2012 წელს კახეთის რეგიონში გავრცელებული ქართული წითელყურძნიანი ვაზის ჯიშის საფერავის ყურძნიდან ქვევრში დაყენებული ღვინის ფენოლური ნაერთების თვისებრივი შედგენილობა და რაოდენობრივი შემცველობა: ღვინოში ჩატარებული კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ ღვინოში იდენტიფიცირებულია: (+)-კატეხინი (115.4 მგ/ლ), (-)-ეპიკატეხინი (29.5 მგ/ლ), (-)-გალოკატეხინი (174.4 მგ/ლ), კემპფეროლი (13.2 მგ/ლ), ქვერცეტინი (11.2 მგ/ლ), რუტინი (2.6 მგ/ლ), რეზვერატროლი (1.47), პროტოკატეხინმჟავა (14.5 მგ/ლ), გალისმჟავა (21.8 მგ/ლ) და ყავისმჟავა (7.4 მგ/ლ). მიღებული შედეგების საფუძველზე კვლევის ავტორებმა დაადგინეს, რომ ქვევრში ტრადიციული კახური მეთოდით დაყენებული საფერავის ღვინო შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ფენოლურ ნაერთებს: კატეხინებს, ფლავონოლებს, რომლებსაც სამედიცინო თვალსაზრისით მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს (Shalashvili, et al., 2012).

2016 წელს მკვლევართა მიერ ჩატარებული კვლევის მიზანს წარმოადგენდა იშვიათი ადგილობრივი დასავლეთ საქართველოს წითელყურძნიანი ვაზის ჯიშებისგან მიღებულ ღვინოებში რეზვერტორილის, მირიცეტინისა და ქვერცეტინის შემცველობის შესწავლა და გამოკვლეულ იქნა ცალკეული ტექნოლოგიური ოპერაციების: პრეფერმენტაციული და პოსტფერმენტაციული მაცერაციის, მუხის კასრის ალტერნატიული მასალების გამოყენების ზეგავლენა წითელ ღვინოში ზემოაღნიშნული ფენოლური ნაერთების რაოდენობრივ მაჩვენებლებზე. კვლევის შედეგებმა აჩვენეს რეზვერატროლით, მირიცეტინითა და ქვერცეტინით კიდევ უფრო მდიდარი ღვინის დასამზადებლად, ეფექტურია ფერმენტული პრეპარატების გამოყენებით პრეფერმენტაციული მაცერაციის მეთოდის, ალკოჰოლური და ვაშლრძემჟავა დუღილის დროს საშუალო გამოწვის ჩიფსების გამოყენება, აღნიშნულ მუხის მასალაზე შემდგომი 3-თვიანი დავარგებით (Khomasuridze et al., 2017).

2018 ჩატარებული კვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ ქვევრში დამზადებული საფერავის ყურძნის ჯიშისგან მიღებულ ღვინოში ფენოლების განსაზღვრით დასტურდება მათი მაღალი შემცველობა ღვინოში. ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი - რეზვერატროლი, რომელიც მუდმივად მაღალია (Kekelidze et al., 2018).

ამავე წელს საფერავსა და ქინძმარაულის ღვინოებზე ჩატარებულმა კვლევებმა ფენოლური ნაერთების მაღალი შემცველობა აჩვენეს ქართული ტრადიციული მეთოდით დამზადებულ წითელ ღვინოებში. მიღებული მონაცემების მიხედვით გამოვლინდა შემდეგი ფენოლური ნაერთები: გალინის მჟავა; პროტოკატეხინის მჟავა; (+) კატეხინი; ვანილის მჟავა; კოფეინის მჟავა; სირინგინის მჟავა; (-) ეპიკატეხინი; ფეროლის მჟავა; დიჰიდროქვერცეტინი; რუტინი; o- კუმარინის მჟავა; რეზვერატროლი; ქვერცეტინი; p- ჰიროქსიბენზოინის მჟავა. მათი შინაარსი იცვლება ჯაჭვის შესაბამისად დამუშავების დროს: კლერტი → კანი → რბილობი → წვენი → ღვინო. ფენოლური ნაერთების საერთო შემცველობამ ქვევრში დადუღებულ საფერავის ღვინოში შეადგინა მაქსიმალური რაოდენობა (1120 მგ / ლ), ამავე ჯიშიდან კლასიკური (ევროპული) წესით მიღებულ ღვინოსთან შედარებით (700-750 მგ / ლ) (Maisuradze, 2018).

**დასკვნა:** ღვინოს აქვს ხანგრძლივი გამოყენების ისტორია. როგორც სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალების ადრეულ ფორმას, მას იყენებდნენ სხვადასხვა სახით სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ.

ამ თვალსაზრისით, მიმზიდველია ქართული აბორიგენული წითელყურმნიანი ვაზის ჯიშებისაგან: საფერავი, ოჯალეში, ალექსანდროული, მუჯურეთული და სხვ. ქართული ტრადიციული მეთოდით დამზადებული ღვინოები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ. სხვადასხვა პერიოდში მეცნიერთა მიერ ჩატარებული კვლევები ცხადყოფენ ფენოლური ნაერთების მაქსიმალურ შემცველობას ქართული ტექნოლოგიით დამზადებულ ღვინოებში, რაც სამედიცინო თვალსაზრისით კიდევ უფრო პერსპექტიულს ხდის წითელი ქვევრის ღვინის წარმოებას.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. American Heart Association, National Center (2020), “Grape skin” – encyclopedias almanacs transcripts and maps;
2. Cabot RC. (2008), The relation of alcohol to arteriosclerosis. J Am Med Assoc. 1904; 43:774–5.

3. Cordova A., Sumpio B. (2009), Polyphenols are medicine: is it time to prescribe red wine for our patients? *International Journal of Angiology*, 18(3) 111-117. doi: 10.1055/s-0031-1278336
4. Chavchavadze I. (1887) ღვინის ქართულად დაყენება, Tbilisi;
5. Chkhikvishvili I., Gogia N., Sirbiladze G (2008) - Study of resveratrol and antioxidant activities in Georgian brand red wine and a number of foreigner red wines – *Georgian Med News.*, 2008 Jun, (159):53-7
6. Heberden W. (1987) Some account of a disorder of the breast. *Med Trans R Coll Physicians (London)* 1786; 2:59–67
7. Kekelidze N, Kekelidze T, Akhalbedashvili L, et al. (2018). The content of antioxidants- phenolic compounds red wines of Georgia “Kindzmaraulis and Saperavi, *Appl Food Sci J*; 2(2): 18-22.
8. Klatsky AL. (2006), Alcohol and cardiovascular diseases: A historical overview. *Ann NY Acad Sci.* ; 957:7–15.
9. Khomasuridze M., Tchanturia I., Chkhartishvili N., Melikidze M; (2017). The effect of Grape varietal charater, appellation, vinification, technologies on resvertol, myrcetin and quercetin content of wine. UDC 663.2 – International Sceintific Conference “Viticulure and winemaking in European countroes – historical aspects and prospects, October 25-27, Tbilisi, Georgia, 289-293pp.
10. Lashkhi A. (1970) ენციკიმია, Publisher “Ganatleba” Tbilisi.
11. Lortkipanidze D. (2017) საქართველო-ღვინის სამშობლო <https://nationalgeographic.ge/story/saqartvelo-ghvinis-samshoblo/>;
12. McGovern P., Jalabadze M., Batiuk S., Callahan P., Karen E. Smith, Gretchen R. Hall, Eliso Kvavadze, David Maghradze, Nana Rusishvili, Laurent Bouby, Osvaldo Failla, Gabriele Cola, Luigi Mariani, Elisabetta Boaretto, Roberto Bacilieri, Patrice This, Nathan Wales, and David Lordkipanidze, (2017), Early Neolithic wine of Georgia in the South Caucasus, *PNAS* 114 (48) E10309-E10318; first published November 13, 2017; <https://doi.org/10.1073/pnas.1714728114>;
13. Maisuradze G. (2018) The contenct of antioxidants-phenolic compoundns, in red wines of Georgia “Kindzmarauli” and “Saperavi”19 th International Congress on Nutririon and Health, 12-13 April, Amsterdam, Netherlands.
14. Renaud S, de Lorgeril M. (1992) Wine, alcohol, platelets, and the French paradox for coronary heart disease. *Lancet.* 1992; 339:1523–6
15. Snopek L., Mlcek J., Sochorova L., Baron M., Hlavacova I., Jurikova T., Kizek R., Sedlackova E., & Sochor J. (2018) Contribution of red wine consumption to human health protection.(Electronic Verion). *Jurnal of “Molecules”*: <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC6099584/>;
16. Shashiashvili G.(2019) “ქართული ტრადიციული წესით დაყენებული ქვევრის ღვინოდან გამოყოფილი ფლავონოიდური ნაერთების მოქმედების

შესწავლა სიმსივნურ უჯრედულ კულტურაზე” სამაგისტრო პროგრამა  
გამოყენებითი ბიომეცნიერებები, Georgian State Univeristy, Tbilisi;

17. Shalashvili A., Ugrekheldze D., Mitaishvili T., Targamadze I.,Zambakhidze N., (2012) Phenolic coumpounds of wines from Georgian autochthonous grapes, rkatsiteli and Saperavi, prepared by Georgian (Khakhetian) Technology. Published by Georgian Scientific national Academy Moambe, 6(3) 99-103pp.

18. Yano K, Rhoads GG, Kagan A. (1977), Coffee, alcohol and risk of coronary heart disease among Japanese men living in Hawaii. New Engl J Med. 1977; 297:405–9

19. World Health Organization WHO MONICA Project MONICA Manual<<http://www.ktl.fi/publications/monica/manual/index.htm>> (Version current at January 13, 2010).



## კორონა ვირუსის პანდემიის გავლენა აგრობიზნესზე Impact of the Corona Virus Pandemic on Agribusiness

დალი სილაგაძე - ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Dali Silagadze - Kutaisi State University

**რეზიუმე:** ნაშრომი ეძღვნება ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს - სოფლის მეურნეობას და მასზე, დღეისათვის აქტუალური გლობალური პრობლემის, პანდემიის გავლენას, რომელმაც გამოიწვია საზღვრების ჩაკეტვა, კარანტინები, ბაზრების დახურვა და, ზოგადად, ვაჭრობის შეფერხება, რაც მძიმედ აისახა ქვეყნის აგრობიზნესზე. სტატიაში ასევე განხილულია პანდემიის პირობებში დარგის მდგომარეობა საქართველოში, შესწავლილია პანდემიის პერიოდის ეკონომიკური გამოწვევები და მოცემულია მათი გადაჭრის გზები.

ცხადია, საკმაოდ რთულია ზუსტი პროგნოზების გაკეთება იმ ეკონომიკური გავლენის შესახებ, რომელსაც მსოფლიოში პანდემიური პროცესი და ქვეყანაში არსებული ეპიდემიური სურათი მოახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე.

**Resume:** The paper is dedicated to one of the most important sectors of the economy - agriculture and it is affected by the current global problem, the pandemic, which led to the closure of borders, quarantines, market closures and, in general, trade disruption, which severely affected the country's agribusiness. The article also discusses the situation of the field in the conditions of pandemic in Georgia, studies the economic challenges of the pandemic period and gives the ways to solve them.

Clearly, it is quite difficult to make accurate predictions about the economic impact that the pandemic process in the world and the epidemic picture in the country will have on the country's economy.

**ძირითადი ტექსტი:** საქართველო, ისევე როგორც მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც ებრძვის ახალ კორონავირუსს, დგას ჯანდაცვასა და ეკონომიკას შორის ალტერნატივის წინაშე. სოციალური დისტანცირება და გლობალური ჩაკეტვა ერთის მხრივ ხელს უწყობს ქვეყანას შეებრძოლოს პანდემიის გავრცელებას და გადაარჩინოს მეტი

სიცოცხლე, მეორეს მხრივ კი ზღუდავს ეკონომიკურ აქტივობას, აფერხებს ეკონომიკის გამოშვებას და ხელს უშლის ეკონომიკურ ზრდას.

COVIDD-19-მა გავლენა მოახდინა ეკონომიკის ყველა სექტორზე და გამონაკლისი არც სურსათისა და სოფლის მეურნეობის სექტორია. პანდემია აისახა სასურსათო უსაფრთხოებასა და კვებაზე, მიწოდების ჯაჭვებზე, სურსათისა და საქონლის წარმოებასა თუ სურსათის უვნებლობაზე. აღსანიშნავია, რომ პანდემია განსაკუთრებულ საფრთხეს ღარიბი ქვეყნების მოსახლეობის კეთილდღეობას უქმნის, რადგან ასეთ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების სისტემები ხშირად შრომა-ინტენსიურია და ნაკლებადაა მზად ეკონომიკურ შოკებთან გასამკლავებლად.

მიმდინარე კრიზისმა და მსოფლიოს მასშტაბით დაწესებულმა შეზღუდვებმა ქართულ სურსათის მიწოდების ჯაჭვებსა და ბაზრებზეც იმოქმედა. რესტორნების, სასტუმროებისა და სკოლების დახურვამ, ლოჯისტიკურმა შეფერხებებმა და გაუმართავემა ინფრასტრუქტურამ გამოიწვია დიდი რაოდენობით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაფუჭება. სექტორში მოთხოვნის თვალსაზრისითაც სერიოზული ცვლილებები მოხდა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილია ჩართული. სექტორში დასაქმებულთა დიდ ნაწილს ფერმერები წარმოადგენენ, რომლებსაც ხშირად უწევთ ისეთ რისკებთან გამკლავება, როგორცაა ფასების ცვალებადობა, ინფლაცია, გაუმართავე ინფრასტრუქტურა, კლიმატის ცვლილება თუ შეზუდილი ფინანსური რესურსები. COVIDD-19 დამატებითი გამოწვევაა ამ სექტორში დასაქმებულთათვის. თუმცა COVIDD-19-ის გავლენის სიმწვავე დიდწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი იქნება მასზე რეაგირების პოლიტიკა როგორც მოკლე, ისე გრძელვადიან პერიოდში

კორონავირუსის პანდემიის გამო, ქვეყნის ეკონომიკა დგას ერთდროულად მიწოდებისა და მოთხოვნის შოკის წინაშე. შემცირებულია როგორც ადგილობრივი მოთხოვნა, ასევე საქონლისა და მომსახურების ექსპორტი. 2018 წლის მონაცემების თანახმად, საქართველოს მშპ-ს 66.7% შინამეურნეობების მოხმარებაზე მოდის. მოთხოვნისა და შესაბამისად მოხმარების შემცირება კი თავის მხრივ მშპ-ს შემცირებას გამოიწვევს.

სოფლის მეურნეობის წილმა საქართველოში 2019 წელს მშპ-ს 7.2% შეადგინა, რაც ისტორიული მინიმუმია, თუმცა განვითარებული ქვეყნების

საშუალო მაჩვენებელს ორჯერ-სამჯერ აღემატება. პროდუქტიულობა კი ისევ დაბალი რჩება 1 ჰა მიწიდან მიღებული მოსავალი ან 1 სკიდან ამოღებული თავლი უფრო მცირეა ვიდრე ნიდერლანდებში ან გერმანიაში.

სოფლის მეურნეობის მთელმა გამოშვებამ 2019 წელს 4.738 მლრდ ლარი შეადგინა, ეს კი იმავე წლის 31 დეკემბრის კურსით \$1.652 მლრდ-ა. ამ თანხის ნახევარი მეცხოველეობაზე მოდიოდა, 43% მცენარეების მოვლაზე, ხოლო 7% სოფლის მეურნეობის მომსახურებაზე.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი შინამეურნეობების შემოსავლის მხოლოდ 5.5%-ს შეადგენს თვეში საშუალოდ 60 ლარს.

2016-2019 წლებში შეინიშნებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულების ნომინალური ზრდა. 1 კგ ძროხის ხორცის ფასი 12.45-დან 16.60 ლარამდე გაიზარდა, ღორის ხორცი 11.85-დან 13.85 ლარამდე, გაყინული თევზი 5.70-დან 7.60-მდე, კარტოფილი 0.95-დან 1.25-მდე, ლობიო 4.35-დან 4.75-მდე. პროცენტულად 3 წელიწადში პური 12.8%-ით გაძვირდა, ყველი 13%-ით, კარტოფილი 17.8%-ით, ხილი 9.4%-ით, ყავა და ჩაი 6.4%-ით.

ჯამური გამოშვების ზრდის მიუხედავად, 2016-2019 წლებში ნათესების ფართობი 240 ათასიდან 203 ათას ჰა-მდე შემცირდა. კლება აღინიშნება როგორც მარცვლოვან კულტურაში, ასევე კარტოფილსა და ბაღჩეულში. ნათესი ფართობის უდიდესი ნაწილი - 72.6 ათასი ჰექტარი კახეთზე მოდის, 28 ათასი ჰექტრით მეორე ადგილზე ქვემო ქართლია, სამეულს 24.3 ათასი ჰექტრით იმერეთი ასრულებს.

2016-2019 წლებში ხორბლის მოსავლიანობა 127 ათასიდან 101 ათას ტონამდე შემცირდა, სიმინდის 243 ათასიდან 207 ათასამდე, კარტოფილის 249 ათასიდან 195 ათასამდე. იმავე პერიოდში ქერის მოსავალი 47 ათასიდან 54 ათას ტონამდე გაიზარდა, პომიდვრის 54 ათასიდან 63 ათასამდე, კიტრის 19 ათასიდან 30 ათასამდე. ხორბლის შემთხვევაში მოსავლიანობა 1 ჰა ნათესი ფართობიდანაცაა შემცირებული 2.6-დან 2.3 ტონამდე. მნიშვნელოვნად 159 ათასიდან 294 ათას ტონამდე გაზრდილია ყურძნის წარმოება.

რაც შეეხება მეცხოველეობას მსხილფეხა რქოსანი პირუტყვის ოდენობა 960 ათასიდან 870 ათასამდე შემცირდა, ფრინველთა სულადობა 8.238 მლნ-

დან 9.466 მლნ-მდე გაიზარდა. 205 ათასიდან 257 ათასამდე გაიზარდა ფუტკრების სკათა რაოდენობაც.

2019 წელს აგროექსპორტმა \$1 მლრდ-ს მიაღწია, რაც საქართველოს შემთხვევაში მაქსიმალური მაჩვენებელია, თუმცა, ამავე დროს, ტერიტორიით საქართველოზე 40%-ით პატარა ნიდერლანდების მაჩვენებლს 110-ჯერ ჩამორჩება. ეს მაშინ როცა ნიდერლანდები სულაც არაა აგრარული სახელმწიფო და აგროსექტორის წილი მთელ ეკონომიკაში 1.7%-ს შეადგენს, ანუ საქართველოსთან შედარებით 4.2-ჯერ ნაკლებს. განსხვავება უფრო

თვალში საცემია დასაქმებულთა პროცენტული გადანაწილების მიხედვით. ნიდერლანდებში აგროსექტორში დასაქმებულთა 2% მუშაობს, იმაზე 1.18-ჯერ მეტი რა წილიც გააჩნია ამ მიმართულებას ეკონომიკაში. რაც შეეხება საქართველოს, მთელი ეკონომიკის 7.2%-ის შესაქმნელად დასაქმებულთა 38%-ის შრომაა საჭირო, ანუ 5.27-ჯერ მეტი.

დარგში რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემაა, მათ შორის შეიძლება მცირე მეურნეობები და ტექნოლოგიების უქონლობა გამოირჩეს. მასშტაბის ეფექტიდან გამომდინარე 100 ჰა მიწის დამუშავება უფრო იაფია, ვიდრე 200 მიწის ნაკვეთიც ცალ-ცალკე რომელთა ჯამური ფართობიც ასევე 100 ჰა-ს შეადგენს. საქართველოში შინამეურნეობების უმრავლესობის ხელში მცირე მიწა და მცირე ოდენობის საქონელია. გუთნით მოხვნა და ზურგზე აპარატმოკიდებული შეწამვლა სოფლებში ჩვეულ პრაქტიკად რჩება. თავითავად ცხადია ეს ტრაქტორებით დამუშავებულ და თვითმფრინავიდან შეწამლულ ნათესებს კონკურენციას ვერ გაუწევს.

2019 წელს აგროექსპორტში \$223 მლნ-ით პირველი, ხოლო ჯამურ ექსპორტში მე-4 ადგილი ღვინომ დაიკავა. მეორე ადგილზე \$127 მლნ-ით სპირტიანი სასმელებია, მესამეზე კაკალი და თხილი, რომელის ექსპორტიც 3 წელიწადში ფაროსანამ 2.7-ჯერ \$67 მლნ-მდე შეამცირა. მეოთხე ადგილს \$22 მლნ-ით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი იკავებს. მას \$21 მლნ-ით ციტრუსი, \$15 მლნ-ით ხორცი და \$14 მლნ-ით ცხვარი მოსდევს. ბოსტნეულის, ხილის და სხვა აგროპროდუქციის ექსპორტი, ცალ-ცალკე თითოეული მათგანისთვის \$10 მლნ-ზე ნაკლებია. საქსტატს გაერთიანებული მონაცემებით ატამი, გარგარი, ბალი, ალუბალი და ქლიავი 2019 წელს საზღვარგარეთ სულ \$13 მლნ-ის გაიყიდა.

2020 წლის 3 კვარტალის მონაცემებით თხილისა და კაკლის ექსპორტმა უკვე 31%-ით გადაუსწრო მთელი 2019 წლის მაჩვენებელს, თუმცა მცირედით შემცირებულია ღვინის ექსპორტი.

როგორც ჯამური ასევე აგროექსპორტი სხვა თანაბარ პირობებში მუდმივად იზრდება. ზრდა დიდი ალბათობით კორონა-კრიზისის დასრულების შემდეგაც განახლდება, თუმცა სასათბურე და ფერმერული მეურნეობების განვითარების გარეშე, არსებული ტექნოლოგიებით ზრდის ტემპი დაბალი დარჩება და მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი ქვეყნის სტატუსის მოპოვება გაჭირდება.

Iშეთ-PI-ს კვლევის თანახმად, იმპორტირებული ხორბლის 88% შემოდის რუსეთიდან, 10% ყაზახეთიდან და მხოლოდ მცირე ნაწილი შემოდის აშშ-სა და ირანიდან. USDA-ს (სწინააღმდეგარსებელი დეპარტამენტი ოფ აგრიკულტურე) პროგნოზის თანახმად, 2020 წელი კარგი ამინდით გამოირჩეოდა და რუსეთში ხორბლის კარგი მოსავალი მოსალოდნელი. კერძოდ, 2019-2020 წელს რუსული ხორბლის წარმოება 73.5 მილიონი ტონა იქნება, რაც აღემატება გასული წლის მონაცემს (71.6 ტონა). თუმცა, პანდემიის პერიოდში არსებული გაურკვევლობისა და დეფიციტის შიშის გამო, რუსეთმა უკვე დააწესა ხორბლის ექსპორტზე შეზღუდვები. რასაც ხორბლის ექსპორტის შეზღუდვა მოჰყვა ყაზახეთიდანაც. თუმცა, რამდენადაც ხორბალი და ხორბლის ფქვილი წარმოადგენს საქართველოს მთავრობის მიერ სუბსიდირებულ პროდუქტებს, ახლო მომავალში მათზე ფასი არ გაიზრდება.

საქართველოში იმპორტირებული შაქრის 32% შემოდის პოლონეთიდან, მას მოსდევს აზერბაიჯანი (16%) და რუსეთი (15%)<sup>20</sup>. ინდოეთში (შაქრის სიდიდით მეორე მწარმოებელი მსოფლიოში) შაქრის შემცირებული წარმოებისა და ტაილანდში არსებული ცუდი ამინდის გამო, მსოფლიო ბაზარზე შაქრის ფასის ინდექსი თებერვალში, წინა თვესთან შედარებით 4.5%-ით გაიზარდა. თუმცა, შაქარიც, ისევე, როგორც ხორბალი, წარმოადგენს საქართველოს მთავრობის მიერ სუბსიდირებულ პროდუქტს და ახლო მომავალში მათზე ფასი არ გაიზრდება.

2019 წლის მონაცემებით, მზესუმზირის ზეთის იმპორტის 90% მოდის რუსეთზე, 55% კი უკრაინასა და აზერბაიჯანზე. Iშეთ-PI-ს კვლევის თანახმად, 2020 წლის იანვარში რუსეთის მცენარეული ზეთის გაერთიანებამ, დააწესა შეზღუდვები მზესუმზირის თესლის ექსპორტზე,

რამაც შესაძლოა გაზარდოს რუსეთში მზესუმზირის ზეთის ადგილობრივი წარმოება. ამასთანავე, 2020 წლის იანვარ-თებერვალში, უკრაინამაც 15.7%-ით გაზარდა მზესუმზირის ზეთის წარმოება.

აქვე მნიშვნელოვანია შევეხოთ ხორცის ბაზარსაც. მიუხედავად იმისა, რომ ხორცის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი უფრო მაღალია, ვიდრე შაქრის ან ხორბლის, ის მაინც დაბალია (52%) და დიდწილად იმპორტზეა დამოკიდებული. განსაკუთრებით დაბალია ფრინველის ხორცის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი, რომელიც 34%-ს შეადგენს (საქონლის ხორცის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 77%-ია, ხოლო ღორის ხორცის 45%). ფრინველის ხორცის მოხმარება (65.4 ათასი ტონა) გაცილებით მაღალია, ვიდრე საქონლის (29.7 ათასი ტონა) ან ღორის (39.1 ათასი ტონა) ხორცის მოხმარება. ფრინველის ხორცი საქართველოში ძირითადად ბრაზილიიდან (20.6%) და თურქეთიდან (19.7%) შემოდის, მათ მოსდევს უკრაინა (12.6), გერმანია (10.3) და ჩინეთი (10.1)22. შესაბამისად, ბაზარი საკმაოდ დივესრიფიცირებულია და რომელიმე კონკრეტული ქვეყნიდან იმპორტის გართულება, პროდუქციის დეფიციტს არ გამოიწვევს.

2020 წლის პირველ კვარტალში, საქართველოს საქონლით ექსპორტმა 778.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 5.9%-ით ნაკლებია 2019 წლის პირველი კვარტალის მონაცემზე, ხოლო მარტში საქონლით ექსპორტმა 251.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2019 წლის მარტის მონაცემს 22.1%-ით ჩამოუვარდება. სამწუხაროდ, საქონლით ექსპორტი, რომელიც ბოლო წლებში დადებითი დინამიკით ხასიათდებოდა. ახალი კორონავირუსის გამო, მნიშვნელოვან კლებას განიცდის.

2020 წლის პირველ კვარტალში, საქართველოს საქონლით იმპორტმა 1,995.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 1.4%-ით ნაკლებია 2019 წლის პირველი კვარტალის მონაცემზე, ხოლო მარტში საქონლით იმპორტმა 655 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2019 წლის მარტის მონაცემს 13.4%-ით ჩამოუვარდება. 2020 წლის მარტში, საქონლით იმპორტი ჩინეთიდან შეწყდა, ევროკავშირის ქვეყნებიდან 15%-ით შემცირდა, აშშ-დან 10%-ით გაიზარდა, თურქეთიდან 7%-ით გაიზარდა, ხოლო რუსეთიდან 11%-ით გაიზარდა.

2020 წლის მარტში, 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გაზრდილია საკვები პროდუქტების და სასმელების იმპორტი (13%-ით), ხოლო ყველა სხვა დანარჩენი საქონლის იმპორტი შემცირებულია. კერძოდ,

სამრეწველო მარაგების იმპორტი შემცირდა 11%-ით, საწვავი მასალების იმპორტი შემცირდა 13%-ით, კაპიტალური საქონლის იმპორტი შემცირდა 30%-ით, სატრანსპორტო მოწყობილობების იმპორტი შემცირდა 17%-ით, ხოლო სამომხმარებლო საქონლის იმპორტი 14%-ით.

მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ ახალი კორონავირუსი მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს ეკონომიკის განვითარებისთვის. გადაადგილების მკაცრი შეზღუდვების ხანგრძლივად არსებობის პირობებში, მივიღებთ შენელებულ ეკონომიკურ აქტივობას, ეკონომიკის გამოშვების შემცირებას, შემცირებულ შემოსავლებს, გაზრდილ უმუშევრობასა და სიღარიბეს. სასწორის მეორე მხარეს კი მედპერსონალისა და სამედიცინო დაწესებულება/აპარატურის შეზღუდული რესურსია, რაც პანდემიის ფართო მასშტაბით გავრცელების შემთხვევაში, ადამიანების სიცოცხლეს აყენებს საფრთხის ქვეშ.

საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის თანახმად, ახალი კორონავირუსის გავრცელებით შექმნილი ვითარებით გამოწვეული ეკონომიკური ზიანის შესამცირებლად, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართულ ფერმერებსა და მეწარმეებს შესაძლებლობა ეძლევათ, სახელმწიფოსგან მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მიიღონ.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ უმოკლეს დროში შემუშავდა ახალი პროექტები; არსებული რეალობის გათვალისწინებით, გარკვეული ცვლილებები განხორციელდა მიმდინარე პროექტებშიც. „შეღავალიანი აგროკრედიტის“ ძირითადი საშუალებების კომპონენტში იზრდება თანადაფინანსების პროცენტი (8%-ის ნაცვლად 11%), იზრდება ლიზინგის თანადაფინანსების პროცენტიც (9%-ის ნაცვლად 12%).

შემუშავდა ახალი ქვეკომპონენტი სასურსათო მრეწველობის, მათ შორის ყურძნის გადამამუშავებელი წარმოება, პურისა და პურპროდუქტების წარმოება და მაკარონის ნაწარმის წარმოება, დაფინანსებისთვის. სახელმწიფო სესხის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას მოახდენს წლიური 10%-ის მოცულობით 24 თვის განმავლობაში. ასევე პროექტს ემატება აგროლიზინგის ქვეკომპონენტი სასურსათო მრეწველობის დაფინანსებისათვის, სადაც სახელმწიფო თანადაფინანსება იქნება 12%, 24 თვის განმავლობაში.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, აგრობარათებზე დარიცხული ქულების გამოყენების ბოლო ვადა 2021 წლის 20 მაისია. 1 ჰექტარ მიწაზე სუბსიდიის ოდენობა 200 ლარს (აგრობარათზე დარიცხულ 200 ქულას) შეადგენს.

სასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრეთა სტიმულირების სახელმწიფო პროგრამაში უკვე 246 000 ფერმერია ჩართული, დარიცხული სუბსიდიის ოდენობა 32 მლნ ლარს აჭარბებს. ფერმერების აგროდიზებით მხარდაჭერის პროგრამა 2021 წლის ბოლომდე გაგრძელდება. ფერმერები დიზელის საწვავს მნიშვნელოვნად დაბალ ფასად შეისყიდებიან.

ფერმერებისათვის შეღავათიანი პირობებით საწვავის მიწოდებას ითვალისწინებს მემორანდუმი, რომელიც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და კომპანიას „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“ შორის გაფორმდა. აგროდიზელის შეღავათიან ფასად მიღებას კვლავ შეძლებენ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მფლობელი ის ფიზიკური და იურიდიულ პირები, რომელთაც გააჩნიათ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საკუთრებად რეგისტრირებული არანაკლებ 0.25 ჰა - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, გარდა სამოვარისა, ან, რომლებიც მოახდენენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პირველად რეგისტრაციას და დაზუსტებას.

პროგრამით მოსარგებლე ფერმერებისთვის გათვალისწინებულია 1 ჰექტარზე 150 ლიტრის, ხოლო 100 ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, არაუმეტეს, 15 000 ლიტრის ოდენობით საწვავის ფასდაკლების ბარათების გაცემა.

დასკვნის სახით გვინდა ვთქვათ, რომ დღეს, როცა საქართველოში DfCOVID-19-ის გავრცელების პიკი არ არის მიღწეული, ცხადია, საკმაოდ რთულია ზუსტი პროგნოზების გაკეთება იმ ეკონომიკური გავლენის შესახებ, რომელსაც მსოფლიოში პანდემიური პროცესი და ქვეყანაში არსებული ეპიდემიური სურათი მოახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე.

სავარაუდოა, რომ ეფექტი მნიშვნელოვანი იქნება, თუმცა იგი დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე: მთავრობის მიერ არსებული ეკონომიკური გამოწვევების სწორად გააზრება. ამ ეტაპისთვის მთავრობა მიმდინარე გამოწვევებს პასუხობს, მართავს სამედიცინო საფრთხეებს და



ჰუმანიტარულ ამოცანებს, და გრძელვადიანი ეკონომიკური ეფექტის შეფასებისთვის საკმაოდ შეზღუდული რესურსი რჩება;

შეზღუდული რესურსების პირობებში, საკმაოდ რთულია ცალკეული ეკონომიკური შეღავათების და სტიმულირების პაკეტების ინიცირება, შეზღუდვების დაწესება და ყველა შემთხვევაში მნიშვნელოვანია ამ ნაბიჯების ეკონომიკური ფასის განსაზღვრა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ კრიზისის ე.წ. შეღავათების შეთავაზებას არ ქონდეს ისეთი ხასიათი, როგორც მაგალითად საბანკო „შეღავათიანი პერიოდის“ მექანიზმს, რომელიც მექანიკურად გაქცევს ამ რეჟიმში და მისი დატოვებისთვის გიწევს აქტივობის განხორციელება და არა - მასში ჩართვისთვის. ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია, მნიშვნელოვანია არ შეიზღუდოს მოქალაქეთა ეკონომიკური არჩევანის თავისუფლება; მნიშვნელოვანია კრიზისის ვადები და ასევე ის, თუ როგორ შეძლებს მსოფლიო მასთან გამკლავებას - რადგან საქართველოს ტიპის ქვეყნები მნიშვნელოვნად იქნებიან დამოკიდებული იმ საერთაშორისო დახმარების მასშტაბზე, რომლის მობილიზებასაც ისინი შეძლებენ; კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ელექტრონული მმართველობის მიმართულებით რეფორმების დაჩქარებას და არსებული პლატფორმების განვითარებას და მათი ხელმისაწვდომობის ზრდას; ასევე, მნიშვნელოვანია კერძო ინიციატივებიც, ანუ ის, თუ რამდენად შეძლებს ქართული ბიზნესის ნაწილი მაინც თვითორგანიზებას, ახალი ტიპის მომსახურებებისა და პროდუქტების შემუშავებას, რომელიც არსებულ გამოწვევებს მეტად უპასუხებს.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. [www.agronews.ge](http://www.agronews.ge)
2. ელიზბარაშვილი გიორგი - ქართული აგრობიზნესი რიცხვებში-ექსპორტმა \$1 მლრდ-ს მიაღწია - [www.commersant.ge](http://www.commersant.ge)
3. [www,mepa.gov.ge](http://www,mepa.gov.ge)
4. [www. Geostat. Ge](http://www.Geostat.Ge)

## მწვანე მენეჯმენტი და მისი გამოწვევები ქართული კომპანიებისთვის Green management and its challenges for Georgian companies

დავით ჩახვაშვილი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი  
სოფიკო ცერცვაძე - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი  
David Chakhvashvili - Georgian National University  
Sopiko Tsertsvadze - Georgian National University

**აბსტრაქტი:** მწვანე მენეჯმენტი პოპულარობის პიკს აღწევს განვითარებულ ქვეყნებში და მსოფლიო კორპორაციების უმეტესობა მაქსიმალურად ცდილობს უმოკლეს დროში მთლიანად გადავიდეს მწვანე ბიზნესზე, თუმცა განვიხილოთ რა სიტუაცია არის ამ მხრივ განვითარებად ქვეყნებში, კონკრეტულად კი საქართველოში. ადგილობრივი მსხვილი და მცირე კომპანიები შეძლებისდაგვარად ცდილობენ საკუთარი საქმიანობა მოარგონ ამ ტენდენციას, საკუთარ თავზე იღებენ სოციალურ პასუხისმგებლობას საზოგადოებისა და გარემოს წინაშე და მათი მხრიდან არის მცდელობები, რომ წვლილი შეიტანონ ქვეყნის გარემოს გაუმჯობესებაში. განვიხილავთ რამდენიმე კომპანიას, რომლებიც გამოდიან მწვანე ინიციატივებით.

**Announcement:** Green management is gaining peak popularity in developing countries, and the abundance of peace corporations is becoming more and more likely to be overshadowed by green business, but you can see a growing number of emerging countries. Local companies, large and small, grow to maximally adapt their activity to these tendencies, lack social accountability in the face of the environment and surround the environment with fear and attachment to the force. I consider several companies, which are involved in environmental initiatives.

**ძირითადი ტექსტი:** გარემოსდაცვით საკითხებზე ჰაერის დაბინძურება საქართველოში ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის(WHO) <sup>1</sup>2016 წლის ანგარიშის თანახმად ჰაერის დაბინძურების გამო ყოველ 100ათას მოსახლეზე 292 ადამიანი


---

<sup>1</sup>file:///C:/Users/hgfg/Desktop/%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/9789241565264\_eng.pdf (124)

ილუპებოდა, ხოლო 2018 წლის ანგარიშში<sup>2</sup> ეს მონაცემები ფაქტობრივად განახევრებულია და 101 შეადგენს, თუმცა სასურველია ამ მონაცემების კიდევ უფრო შემცირდება. საქართველოში 2019 წელს NDI<sup>3</sup>-ს მიერ ატარებულმა კვლევამ<sup>4</sup> აჩვენა, რომ ჰაერის დაბინძურება ისევ პრობლემა (58%) არის, უშუალოდ ქალაქების დაბინძურების მაჩვენებლით ლიდერობდა თბილისი (76%) ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოება უფრო მეტად არის დაინტერესებული გარემოსდაცვით საკითხებზე, ვიდრე ეს რამდენიმე წლის წინ იყო, რა თქმა უნდა ამაში ისეთი კომპანიების წვლილი დიდია, რომლებიც გადავიდნენ ეკო ბიზნესზე და მისი ცნობადობის ამაღლებაზე საზოგადოებაში, სულ უფრო იზრდება მომხმარებლთა რიცხვი, რომელთათვისაც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებისა და მომსახურების მიღება პრიორიტეტულია.

საქართველოში ავტომობილების რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით<sup>5</sup> თუ

საავტომობილო პარკი კატეგორიების მიხედვით, ათასი ერთეული



<sup>2</sup> <https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/272596/9789241565585-eng.pdf?ua=1> (70)

<sup>3</sup> <https://www.ndi.org/eurasia/georgia>


<sup>4</sup> <https://oc-media.org/ndi-air-pollution-top-environmental-concern-in-georgia/>

<sup>5</sup> <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/565/garemosdatsviti-indikatorები>

2008 წელს საავტომობილო პარკში 500,9 ათასი მანქანა იყოს 2018 წელს რაოდენობა 1085,8 ათასს შეადგენდა. რაც შეეხება მათ პროცენტულ გადანაწილებას მსუბუქი ავტომობილების წილი 84,2%-ს შეადგენს.

უმეტესობა ავტომობილების საწვავზე და გაზზე მომუშავეა, რაც ლოგიკურია მიანიშნებს რომ ჰაერის ძირითადი დამაბინძურებლებად სწორედ ამ ტიპის სატრანსპორტო საშუალებები ევლინება საზოგადოებას, ამის შესამცირებლად კი თანდათან იზრდება მოთხოვნა ჰიბრიდულ და ელექტრო მანქანებზე, იაპონია ერთ-ერთი პირველია ვინც გადავიდა ამ ტიპის მანქანების გამოყენებაზე და სწორედ მათი Toyota Prius არის დღეს დღეისობით ყველაზე პოპულარული და გამოყენებადი ჰიბრიდული მანქანა საქართველოში.

საავტომობილო პარკის განაწილება კატეგორიების მიხედვით, 2018 (%)



სულ ცოტა ხსნის წინ საქართველოს ბაზარზე გამოჩნდა კომპანია “AIGROUP”<sup>6</sup>, რომლებიც დაკავებულნი არიან Car-sharing და საზოგადოებას სთავაზობენ სხვადასხვა ბრენდების ელექტრო მანქანებს და ასევე მის

<sup>6</sup> <https://aigroup.ge/ka/>

დამტენ მოწყობილობებს, კომპანიას ასევე გრძელვადიან მიზნებში გაწერილი აქვს პირველი ელექტრო მანქანის წარმოება საქართველოში, რაც ნამდვილად შესანიშნავი მწვანე ინიციატივა არის, ამას გარდა კომპანიის მთავარი მიმართულებაა მზის ელექტრო სადგურები და პანელები, განახლებადი ენერჯის მისაღებად, AIGROUP მთავარი კრედაა „ვებმარებით საქართველოს ეკოლოგიას და ჯანდაცვას და ვხდებით მსოფლიო ტენდენციის ნაწილი“. ამ კომპანიის გარდა ამავე მიმართულებით ვითარდება E-Space.

ავტონდუსტრიასთან ერთად სამშენებლო კომპანიებიც არანაკლებ ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენენ გარემოზე, ამიტომაც ისინიც მაქსიმალურად ცდილობენ გადავიდნენ მწვანე ბიზნესზე, მაგალითისათვის კომპანია <sup>7</sup> „ლისი დეველოპმენტი“, რომელიც საზოგადოებას სთავაზობს „მწვანე ქალაქს“, ეკო მასალებით აშენებულ საცხოვრებელ სახლებს და ტერიტორიაზე მოსახლეობას სთავაზობენ ელექტრო დამტენებს, ამას გარდა კომპანია აგროვებს წვიმის წყალს, რომელსაც შემდგომში იყენებენ მოსარწყავად, ასევე მოსახლეობას ენერგოეფექტურობის წყალობით შესაძლებლობას აძლევენ დაზოგონ გადასახადების დაახლოებით 30% და მათი მთავარი კონცეფცია არის 20/80, რაც გულისხმობს, რომ მთლიანი ტერიტორიის მხოლოდ 20% არის საცხოვრებელი ზონა, დანარჩენი 80% კი გამოყენებულია გამწვანებისთვის და რეკრეაციული ზონების მოსაწყობად. ლისი დეველოპმენტს აქვს მიღებული რამოდენიმე ჯილდო და მათ შორის უახლესია <sup>8</sup> “International Property Award, Best Residential Development-Lisi Green Tower 2018-2019”. სასურველი იქნება, რომ რაც შეიძლება მეტი და მეტი სამშენებლო კომპანიები გადავიდნენ მწვანე მენეჯმენტზე.

კვების ინდუსტრიას რაც შეეხება ამერიკასა და ევროპაში ეკო-პროდუქტებზე მოთხოვნა გაცილებით დიდია, ვიდრე ჩვეულებრივზე, შედარებით ძვირი ფასის მიუხედავად. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მოხმარებით უფრო ხილდებიან როგორც საკუთარ ჯანმრთელობას, ასევე გარემოს, რადგან მსგავსი პროდუქტების

---

<sup>7</sup> <https://greentown.lisi.ge/ka>

<sup>8</sup> <https://greentown.lisi.ge/ka/awards>

მწარმოებელი კომპანიები ნაკლებ ნეგატიურ გავლენას ახდენენ ბუნებაზე. ეს ტრენდი საქართველოში ჯერ არც თუ ისე პოპულარულია, თუმცა არსებობს მომხმარებლების გარკვეული კატეგორია, რომელთათვისაც ეკო პროდუქტების შეძენა და მოხმარება პრიორიტეტულია და ვარაუდობენ რომ რიცხვი დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზრდება, ამიტომაც ქართული კომპანიები უნდა ეცადონ, რომ მომხმარებლებს შესთავაზონ ადგილობრივი ბიო პროდუქტები, რადგან დღეს მსგავსი ტიპის პროდუქტების უმეტესობა იმპორტირებულია. ამ დროისთვის<sup>9</sup> „კავკასერტის“ მონაცემებით <sup>10</sup>საქართველოში 2020 წლის 6 მაისის მდგომარეობით 61 საწარმოს/მეწარმეს აქვს ბიო სერთიფიკატი.

რამდენიმე კომპანია, რომელიც საქართველოში ეკო-პროდუქციას აწარმოებს მაგალითისთვის „BIO ნათია“- რძისპროდუქტები, „ჭერბია“- მწვანელი და ბოსტნეული, „ბიუბიუ“-ხორც პროდუქტები, „ჩიკორი“, რომელიც დაკავებულია ეკოლოგიურად სუფთა ხილის ჩირების წარმოებით. სათამაშოების მიმართულებით რამდენიმე სტარტაპ პროექტია „დიმარი“, „ჯეოთოიზ“, „შპს ხოხბის ცრემლები“- მევენახეობა ღვინის წარმოება და ა.შ. ამ ეტაპზე კომპანიების რაოდენობა არც თუ ისე მცირეა თუმცა მათი რაოდენობის გაზრდა მოსალოდნელია.

ცოტახნის წინ შემოვიდა საქართველოს ბაზარზე ჰიპერმარკეტების ქსელი „აგროჰაბი“, რომელიც მხოლოდ ISO<sup>11</sup> სერთიფიცირებულ პროდუქტებს ყიდის.

საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე, რაც უფრო მეტი ადგილობრივი კომპანია ჩაერთვება ეკოლოგიურად სუფთა წარმოებაში და გადაერთვება მწვანე მენეჯმენტის პრინციპებზე, გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შემცირების პარალელურად გაიზრდება მომხმარებლებისთვის ეკო პროდუქტების მიწოდებაც. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ადგილობრივ დონეზე ბიო წარმოების გაზრდასთან ერთად

---

<sup>9</sup> „კავკასერტი“ ახორციელებს ადგილობრივი პროდუქტების ბიო სერთიფიცირებას.

<sup>10</sup>[http://caucascert.ge/files/Register\\_060520Ge.pdf](http://caucascert.ge/files/Register_060520Ge.pdf)

<sup>11</sup> <https://www.iso.org/home.html>

გაიზრდება კონკურენცია ადგილობრივ და იმპორტირებულ საქონელს შორის, რაც მომხმარებელს მისცემს არჩევანის მრავალფეროვნებას. შედეგად ეკოლოგიურად სუფთა წარმოება პირდაპირ თუ ირიბად იმოქმედებს, როგორც ქვეყნის ეკონომიკასა და საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე, ასევე გარემოს დაბნელების ხარისხსაც შეამცირებს.

**მწვანე ბიზნესით დაინტერესებული მხარეები:** მწვანე მენეჯმენტის ძირითადი მიმართულებები<sup>12</sup>, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული, როგორც სახელმწიფოს ისე კერძო სექტორის მიერ.

მწვანე ბიზნესის მთავარი მიმართულებები	განახლებადი ენერჯია (მზის, ქარის, გეოთერმული, ტალღების)
	მწვანე შენობები (ეკო პროდუქტები და მასალები, ენერგოეფექტურობა)
	სუფთა ტრანსპორტი (ჰიბრიდული და ელექტრო ავტომობილები, ალტერნატიული საწვავი)
	წყლის მენეჯმენტი (წყლის და წვიმის გამწმენდი სისტემა, შიდა წყლის ლანდშაფტი, წყლის გამოყენება)
	ნარჩენების მართვა (უტილიზაცია, მუნიციპალური ნარჩენების გამოყენება, გაწმენდა)
	მიწის მართვა (ორგანული სოფლის მეურნეობა, ურბანული ტყეები და პარკები, ტყეების განაშენიანება)

საქართველოს გარემოს გაუმჯობესებისათვის სავალდებულოა ზემოთხსენებული ფაქტორების გაუმჯობესება და რა თქმა უნდა მთავარი როლი გარემო მდგომარეობის გაუმჯობესებაში სახელმწიფომ უნდა ითამაშოს, მათთვის პრიორიტეტი უნდა იყოს ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებისათვის, ამისათვის საჭიროა სხვადასხვა სახის სახელმწიფო პროგრამები, რეგულაციები და თუნდაც

<sup>12</sup><http://www.eiec.gov.ge/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90.aspx>

სანქციები არა ეკო მეგობრული საქმიანობის განხორციელებისათვის სხვასასხვა კომპანიებისა და თუნდაც ფიზიკური პირების მიმართ, თუმცა მხოლოდ სახელმწიფო ვერაფერს გახდება, თუ მოქალაქეებიც არ აიღებენ საკუთარ წილს პასუხისმგებლობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ნებისმიერი სახის გზას მიმართვენ, რათა გვერდი აუარონ რეგულაციებს, გამოსავალი ამ შემთხვევაში თვითშეგნების ამაღლებაა.

საზოგადოების მხრიდან ინტერესი გარემოსდაცვით პრობლემებზე თანდათანობით იზრდება, საკმაოდ აქტუალური საკითხია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, ამის გამო შეიქმნა პორტალი, რომელიც აკონტროლებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხს ([www.air.gov.ge](http://www.air.gov.ge)), სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია ნახოს ქალაქებისა და რეგიონების მიხედვით რა მდგომარეობა არის. ამ საიტზე ხდება მონაცემების ყოველდღიური განახლება, ასევე შესაძლებელია ჯანდაცვითი რეკომენდაციების მიღება და იმის გაგება ყველაზე მეტად რა აბინძურებს გარემოს და როგორ არის შესაძლებელი სუფთა ჰაერის შენარჩუნება.

2019 წლის 20 დეკემბერს სახელწიფომ მიიღო კანონი<sup>13</sup> „განახლებადი ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“, სადაც დეტალურად არის განხილული სამოქმედო გეგმა და განვითარების პერსპექტივები მომავალი 10 წლის განმავლობაში და ერთი-ერთი მთავარი მიზანი ამ სტრატეგიის არის „ენერჯის მთლიან საბოლოო მოხმარებაში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის წილი შეადგენდეს 35%-ს“, დღეს ეს მაჩვენებელი 29%-ს შეადგენს.

გარემოზე სერიოზულ ზიანს სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოები ახდენენ, იქნება ეს საცხოვრებელი სახლების, სტადიონების, საკონცერტო დარბაზებისა თუ სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობების კონსტრუქცირება, მშენებლობა. სამშენებლო კომპანიებს სანქციები დაუწესდება ამტკერებადი მასალების სველი მეთოდით არ დამუშავების შემთხვევაში(დაჭრა, დაფრქვა, დახევა და ა.შ),<sup>14</sup> ფიზიკური პირი დაჯარიმდება 500 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული 1000 ლარით,

---

<sup>13</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4737753?publication=0>

<sup>14</sup> [https://projects.org.ge/news\\_view.php?id=105](https://projects.org.ge/news_view.php?id=105)



განმეორებით შემთხვევაში 1000 და შესაბამისად 2000 ლარით, იგივე სანქციები გავრცელდება არასწორი ტრანსპორტირებისა და და ამტერებადი მასალების შეფუთვის გარეშე განთავსების გამო. ასევე რეკომენდირებულია, რომ ყველა სამშენებლო კომპანია, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს ადგილობრივ ბაზარზე, მაქსიმალურად სწრაფად გადავიდნენ ეკოლოგიურად სუფთა მასალების გამოყენებაზე.

სახელმწიფომ გაატარა რეგულაციები ავტოპარკის გაახალგაზრდავების მიზნით:<sup>15</sup> რაც გულისმობს, რომ აქციზის გადასახადი 10 წლის ზემოთ ავტომობილებზე გაორმაგდა, 14 წლის ზემოთ კი გასამმაგდა. 2016 წლიდან ჰიბრიდული ავტომობილების გადასახადი, რომელთა ასაკიც 6 წელზე ნაკლებია 60%-ით შეამცირა, ხოლო ელექტრომანქანები თავისუფლდებიან აქციზის გადასახადისგან.

ამ რეგულაციებმა შედეგი გამოიღო და 2018 წლის მონაცემებით 3-ჯერ შემცირდა ბენზინზე მომუშავე ავტომობილების ქვეყანაში შემოყვანა, ვიდრე ეს 2015 წელს იყო, ამასთან ჰიბრიდული ავტომობილების იმპორტი 20-ჯერ გაიზარდა, რაც შეეხება ელექტრო მანქანებს, მათი პოპულარობის ტენდენცია სულ უფრო იზრდება თუ 2016 წელს ქვეყანაში იმპორტირებული ელექტრომანქანების რიცხვი 32 შედგენდა, 2017 წელს- 812, ხოლო 2018 წელს 592 იყო.

საქართველოს კანონი<sup>16</sup> „წყლის შესახებ“ გულისხმობს: „საქართველოს კონსტიტუციით ადამიანის ჯანმრთელობისთვის, უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესამაბისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და შესაბამისად გარემოს შემადგენელი ძირითადი კომპონენტის-წყლის დაცვას“.

---

<sup>15</sup>[http://air.gov.ge/pages/4/6?news\\_event\\_id=3&fbclid=IwAR3IDXBKAnIOWpQSyLbRRzpTvPVvMpBolx\\_nq6B3G-7wicLwxpgCURraCY](http://air.gov.ge/pages/4/6?news_event_id=3&fbclid=IwAR3IDXBKAnIOWpQSyLbRRzpTvPVvMpBolx_nq6B3G-7wicLwxpgCURraCY)

<sup>16</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33448?publication=23>

წყალი ერთ-ერთი ყველაზე საჭირო ბუნებრივი რესურსია, რომელიც საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის აუცილებლობას წარმოადგენს, ამიტომ მაქსიმალურად უნდა მოხდეს წყლის დაცვა და მისი რაციონალური გამოყენება. მის დაცვაზე გატარებული რეფორმები ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, აუცილებელია წყლიდან იმ მავნე ნივთიერებების გამოდევნა, რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს, როგორც ადამიანის ჯანმრთელობას ისე წყლის ეკოსისტემას, აკრძალულია წყალში ნებისმიერი სახის ნარჩენების მოხვედრა და რეკომენდირებულია წვიმის წყლის შეგროვება და სარწყავი მიზნებისთვის მისი გამოყენება.

საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის“ შესახებ<sup>17</sup>: მთავარი ამოცანებს წარმოადგენს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, ნარჩენებისა და მათი უარყოფითი ზეგავლენის შემცირება, ასევე ნარჩენების მართვის ეფექტიანი მექანიზმის შემუშავება და მათი ეფექტური გამოყენება. ისეთი ტიპის ნარჩენების, რომელთა გადამუშავება ფაქტობრივად შეუძლებელია, უნდა განთავსდეს ნაგავსაყრელზე, კატეგორიების მიხედვით:

- სახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი
- არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი
- ინერტული ნარჩენების ნაგავსაყრელი

„ნაგავსაყრელების მოწყობა, მოვლა და ოპერირება“ კი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

ზოგიერთი რეკრეაციული ზონა გადაქცეულია ნაგავსაყრელად, რაშიც დიდი წილი პასუხისმგებლობა საზოგადოებას აკისრია, სხვადასხვა პარკების, სკვერების, და დასასვენებელი ადგილების მთავარი დამაბინძურებელი სწორედ ადამიანია, რომლებიც ნაგავს არა ურნაში, არამედ პირდაპირ ადგილზე აგდებენ, მიზეზად კი ურნების ნაკლებობას ასახელებენ. საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ამაღლებაში თავისი

---

<sup>17</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2676416?publication=9>

წილი მედიასაც ეკუთვნის, რომლებმაც რეგულარულად უნდა ახსენონ მოქალაქეებს რა შედეგები შესაძლოა მოყვეს მათ ქმედებებს.

ქვეყნისთვის და საზოგადოებისთვის აუცილებელია, რომ მოხდეს რეკრეაციული ზონების და ტყე-პარკების გადარჩენა, რადგან ძირითად შემთხვევებში, ამ ადგილებს სხვადასხვა სახის მშენებლობებისთვის იყენებენ, არამარტო თბილისში, არამედ მთელ საქართველოშიც.

კერძო და სახელმწიფო სექტორმა უნდა იმუშაოს ერთობლივად გარემოს გაუმჯობესებისათვის, თუმცა საზოგადოების ქმედებები ამ პროცესებში საკმაოდ მნიშვნელოვანია, საკუთარი სურვილით და არა სანქციების შიშით უნდა გაითვალისწინონ რჩევები და დაემორჩილონ დაწესებულ რეგულაციებს, მათ გარეშე შეუძლებელია ისეთი შედეგის მიღება, რომელიც არცერთ მხარეს არ დააზარალებს და მათ შორის არც გარემოს.

**განვითარების პერსპექტივები და რეკომენდაციები:** მიუხედავად იმისა, რომ მწვანე მენეჯმენტი მსოფლიოში ფართოდ გავრცელებულია, ის ჯერ კიდევ განაგრძობს განვითარებას და ახალი ბიზნესს სექტორების ათვისებას, რომელიც მაქსიმალურად მოერგება ეკო-მენეჯმენტს და იზრუნებს გარემოსა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

საქართველოშიც ეს მიმართულება თანდათანობით ვრცელდება და ვითარდება, ვინაიდან კომპანიების მხრიდან სულ უფრო და უფრო მეტი დაინტერესებაა მწვანე მენეჯმენტის მიმართ. პატარა კომპანიები, რომლებიც ახლა შედიან ბაზარზე შეუძლიათ პირდაპირ ეკო ბიზნესით გააცნონ თავი საზოგადოებას, ზოგიერთი მწვანე საქმიანობა სულაც არ საჭიროებს განსაკუთრებულ ფინანსურ რესურსებს და დასაწყისისთვის მცირე მწვანე იდეის განხორციელებაც შესაძლებელია.

ეკო მენეჯმენტი მოიცავს სამეწარმეო საქმიანობას, რომელიც გარემოს დაბინძურების პრევენციას უზრუნველყოფს, ამ დროს გამოიყენება რესურსებისა და გარემოსდაცვითი განსხვავებული ტექნოლოგიები, მაგ: ბიოტექნოლოგიები. ასევე იღებენ და მიმართავენ სხვადასხვა სახის ზომებს გარემოზე ნეგატიური ზეგავლენის შესამცირებლად, რაც მოიცავს: გადამუშავებას, მწვანე ენერჯეტიკას, „ჯანსაღ“ წარმოებას, როგორც საკვები

პროდუქტების, ისე სამშენებლო მასალების, ასევე ნარჩენების უტილიზაციას და ეკო პარკების მშენებლობას.

მწვანე ბიზნესი საქართველოში ახალგაზრდა მიმართულებაა, ამიტომ არის მრავალი თავისუფალი ნიშა, რომელიც შეიძლება დაიკავონ და წარმატებით განახორციელონ, რა თქმა უნდა კომპანიებმა უნდა დაიწყონ იმ საქმიანობიდან, რომელშიც ერკვევიან და არიან კომპეტენტურები.

ბიზნეს მიმართულებების უმრავლესობა ადვილად გადასაწყობია ეკო მენეჯმენტზე. მაგალითად დასუფთავების მომსახურების ბაზარზე, მომხმარებლისთვის ჩვეულებრივი დასუფთავების ნაცვლად შესაძლებელია ეკო-მომსახურების შეთავაზება, სასურსათო მაღაზიის ასორტიმენტი შეიძლება შეიცვალოს და განახლდეს მხოლოდ სერტიფიცირებული პროდუქტებით, ასევე (ბიზნეს სუბიექტს აქვს შესაძლებლობა დააფუძნოს ისეთი ტურ-კომპანია, რომელიც მხოლოდ „მწვანე“ ტურებს დაგეგმავს.

იდეის არჩევისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ბიზნესისთვის საჭირო პირობები, იმ რეგიონში სადაც უნდა განხორციელდეს საქმიანობა, ასევე წინასწარ არის ჩასატარებელი კვლევა, რომელიც დაადგენს როგორი მოთხოვნა აქვს კონკრეტულ ქალაქში პროდუქტს და მომსახურებას, ვინ არის მათი მიზნობრივი სეგმენტი, ამას გარდა გასაანალიზებელია საკუთარი შესაძლებლობები, როგორც ინვესტორი, ორგანიზატორი და სპეციალისტი. კომპანიები, რომლებიც აპირებენ მწვანე მენეჯმენტზე გადასვლას უნდა გაითვალისწინონ იმ ორგანიზაციების რეკომენდაციები, რომელმაც წარმატებით განახორციელეს მწვანე ბიზნესი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ჩატარდა კვლევა<sup>18</sup>, სადაც კომპანიები რეკომენდაციას უწევენ ეკო მენეჯმენტს და მათი ბიზნეს საქმიანობის მთავარი მიზანი და მოტივაციის მიმცემი ფაქტორი არის: ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესება, ლოიალური მომხმარებლების გაჩენა,

18

[https://docs.google.com/forms/d/1FBMFmsnJclXOfUUD72K\\_B4TNYl9khLmGPfLAHJRI dp8/edit](https://docs.google.com/forms/d/1FBMFmsnJclXOfUUD72K_B4TNYl9khLmGPfLAHJRI dp8/edit)

კვლევაში გამოყენებული კითხვების შესახებ დეტალური ინფორმაცია მითითებულია დანართში 1

კონკურენტული უპირატესობის მოპოვება, საზოგადოებისთვის უკეთესი პროდუქტის/სერვისის შეთავაზება, საზოგადოებასა და გარემოზე დადებითი გავლენის მოხდენა.

გამოკითხული კომპანიები კონკურენტებთან შედარებით მომხმარებელს თავაზობენ თანამედროვე სტანდარტების მიხედვით აშენებულ ეკო-მეგობრულ საცხოვრებელ ფართებს, ასევე მაქსიმალურად ცდილობენ მოერგონ საზოგადოების სურვილებსა და საჭიროებებს. Car-sharing-ის კომპანია მომხმარებელს სთავაზობს მათზე მოქნილ სერვისებს და მათი მთავარი მიზანია მომხმარებელმა დაზოგოს დრო და ფინანსები. მწვანე მენეჯმენტზე გადასვლით კომპანიების მომხმარებელთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა, რაც შეეხება რატომ არის ბიზნესისთვის ხელსაყრელი იყოს ეკოლოგიურად პასუხისმგებელი: საზოგადოებაში სარგებლობენ მეტი პოპულარობით, იზრდება კომპანიის ცნობადობა, ძლიერდება ბრენდი და იქმნიან კარგ რეპუტაციას, მცირდება კომპანიის დანახარჯები, სახელმწიფოსგანაც შედარებით მეტი ხელშეწყობა აქვთ ეკო კომპანიებს.

სახელმწიფოს რეფორმები და რეგულაციები ხელს უწყობს კომპანიებს განახორციელოს მათი საქმიანობა. რაც შეეხება იმას თუ რა უპირატესობები გააჩნია მწვანე მენეჯმენტს და რა დაბრკოლებების წინაშე დადგნენ კომპანიები მისი განხორციელების დროს: სამშენებლო კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქტი არ არის მიმართული გარემოს დაბინძურებისკენ, მომხმარებელზე ზრუნვის შედეგად იზრდება ნდობის ფაქტორი, იზრდება კომპანიის როლი საერთო გლობალურ კეთილდღეობაში წვლილის შეტანის მხრივ, კომპანიამ შეძლო თანამედროვე სტანდარტების დანერგვა, რაც გულისხმობს შესამაბისი ტექნიკის, აპარატურისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას, რამაც გაზარდა როგორც საქმის ეფექტიანად წარმოების შესაძლებლობა, ასევე ახალ საფეხურზე აიყვანა უსაფრთხოების სტანდარტები. Car-sharing-ს რაც შეეხება ეს კომპანია მაქსიმალურად ცდილობს შეამციროს გარემოს დაბინძურება და მათი მთავარი უპირატესობა სწორედ ელექტრო და ჰიბრიდული ავტომანქანების შეთავაზებაა საზოგადოებისთვის. დაბრკოლებები რა თქმა უნდა ამ კომპანიებსაც შეექმნათ: გარემოზე მორგება საჭიროებს დიდი დაგეგმარებისა და დაპროექტების პროცესს, რომლის დროსაც

აუცილებლად უნდა გათვალისწინდეს არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ეხება ეკოლოგიას. აღნიშნული ფაქტი მოითხოვს გარკვეულ დროს და სიზუსტეს და ასევე სხვადასხვა სირთულის კვლევის ჩატარებას, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება.

გამოკითხული ორგანიზაციები თვლიან რომ საზოგადოებამაც უნდა აიღოს საკუთარი წილი პასუხისმგებლობა და დაეხმაროს სახელმწიფოსა და ბიზნესს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. რაც შეეხება მათ მიერ გაცემულ რეკომენდაციებს მომავალი მწვანე კომპანიებისთვის: მწვანე მენეჯმენტზე გადასვლისას თითოეულმა კომპანიამ უნდა გაითვალისწინოს, რომ მომხმარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილების პარალელურად აუცილებელია ეკოლოგიაზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება, საჭიროა აუცილებლად დანერგონ მსოფლიოში აღიარებული თანამედროვე სტანდარტები და შემდგომ იხელმძღვანელონ ამ სტანდარტებით, რათა მიიღონ მწვანე მენეჯმენტის სტატუსი და რაც მთავარია ეკო ბიზნესის პრინციპების დროს საჭიროა გამჭირვალობა და გარემოზე ზრუნვის პასუხისმგებლობის სრულად გათვითცობიერება, რათა მომავალმა მწვანე კომპანიებმა საკუთარი საქმიანობის წარმატება განსაზღვრონ არამარტო შემოსავლების არამედ გარემოსა და ადამიანებზე ზემოქმედების მხრივაც.

**დასკვნა:** დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მწვანე მენეჯმენტი აუცილებელია დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე და შესაბამისად ამას აცნობიერებენ ორგანიზაციები და მაქსიმალურად ცდილობენ უმოკლეს ვადაში გადავიდნენ ეკო-მენეჯმენტზე.

მწვანე ბიზნესის მომავალი გამოიყურება პერსპექტიულად და იძლევა იმედს, რომ კომპანიების ძალისხმევით გაუმჯობესდება ეკოლოგიური გარემოს მდგომარეობა, თუმცა რა თქმა უნდა მხოლოდ ერთი სექტორი ვერ შეძლებს ამას, თუ მას საზოგადოება და სახელმწიფო არ დაეხმარება.

კონცეფცია სწორი მიმართულებით ვითარდება საქართველოში, უკვე მასზე გადასული კომპანიები რეკომენდაციას უწევენ მწვანე მენეჯმენტს და შესაბამისად ქართულ ეკო ბიზნესს აქვს საკამოდ კარგი პერსპექტივები

მიადწიოს მადალ მწვერვალებს და დაიკავოს ადგილი მსოფლიოს ეკო-მეგობრული კომპანიების გვერდით.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. [https://www.researchgate.net/publication/330089504\\_Green\\_Management-Concept\\_and\\_Strategies](https://www.researchgate.net/publication/330089504_Green_Management-Concept_and_Strategies) Y. Loknath (გადამოწმებულია 01.02.2021)
2. [http://www.allresearchjournal.com/archives/2016/vol2issue1/PartI/2-1-35.pdf\(Hage Tam\)](http://www.allresearchjournal.com/archives/2016/vol2issue1/PartI/2-1-35.pdf(Hage Tam)) (გადამოწმებულია 01.02.2021)
3. <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1877042813039268> (გადამოწმებულია 01.02.2021)
4. <https://www.washingtonpost.com/business/2019/10/23/air-pollution-is-getting-worse-data-show-more-people-are-dying/> (გადამოწმებულია 01.02.2021)
5. <https://lautrecoleur.com/green-marketing-advantages-disadvantages/> (გადამოწმებულია 01.02.2021)
6. <https://study.com/academy/lesson/green-management-cost-effectiveness-benefits.html> (გადამოწმებულია 01.02.2021)
7. <https://greencoast.org/advantages-of-going-green-help-the-environment/> (გადამოწმებულია 01.02.2021)
8. <https://www.norcalcompactors.net/9-companies-great-environmental-initiatives/> (გადამოწმებულია 01.02.2021)
9. <https://www.openbusiness.ru/biz/business/zelenyy-biznes/> (გადამოწმებულია 01.02.2021)
10. <http://www.new-management.info/issues/2008/2/195/> (გადამოწმებულია 01.02.2021)
11. <https://cutt.ly/myVgqLu> (გადამოწმებულია 01.02.2021)
12. <https://cutt.ly/uyVgupc> (გადამოწმებულია 01.02.2021)
13. <https://greeneconomics.org.uk/> (გადამოწმებულია 01.02.2021)
14. <https://cutt.ly/hyVgguL> (გადამოწმებულია 01.02.2021)
15. [https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1549703](https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1549703) (გადამოწმებულია 01.02.2021)
16. კირვალიძე ნ. , ლომთათიძე ზ. -მწვანე ბიზნესის მხარდაჭერის სტრატეგია
17. <https://www.co2.earth/daily-co2> (გადამოწმებულია 01.02.2021)
18. Peng, Y., & Lin, S. (2008). Local Responsiveness Pressure, Subsidiary Resources, Green Management Adoption, and Subsidiaries' Performance: Evidence from Taiwanese Manufacturers . Journal of Business Ethics
19. <https://fortune.com/2019/11/05/sustainability-marketing-consumer-spending/> (გადამოწმებულია 01.02.2021)

20. [https://www.who.int/health-topics/air-pollution#tab=tab\\_1](https://www.who.int/health-topics/air-pollution#tab=tab_1)  
(გადამოწმებულია 01.02.2021)
21. <https://seoulsolution.kr/en/content/landfill-recovery-project-transformation-landfill-ecological-park> (გადამოწმებულია 01.02.2021)
22. <https://www.ndi.org/eurasia/georgia> (გადამოწმებულია 01.02.2021)
23. <https://oc-media.org/ndi-air-pollution-top-environmental-concern-in-georgia/> (გადამოწმებულია 01.02.2021)
24. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4737753?publication=0>  
(გადამოწმებულია 01.02.2021)
25. [https://projects.org.ge/news\\_view.php?id=105](https://projects.org.ge/news_view.php?id=105) (გადამოწმებულია 01.02.2021)
26. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33448?publication=23>  
(გადამოწმებულია 01.02.2021)
27. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2676416?publication=9>  
(გადამოწმებულია 01.02.2021)



## ქართული ღვინო და მსოფლიო ბაზარი Georgian wine and world market

**ნინო ჩხარტიშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**Nino Chkhartishvili** – Georgian Technical University

**თამთა ჩხარტიშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**Tamta Chkhartishvili** – Georgian Technical University

**რეზიუმე:** ღვინო - ყურძნისგან წარმოებული, მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ალკოჰოლური სასმელია. დღეს, 21-ე საუკუნეში, მსოფლიო ღვინის ბაზარი გაჯერებულია სხვადასხვა წარმოშობის, ფერის თუ გემოვნური თვისებების მქონე ღვინო პროდუქციით. ეროვნული სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი კონკურენტული სექტორების განვითარება, რაც უზრუნველყოფს საექსპორტო პოტენციალის გაზრდას და მოგების მიღებას. ამ გადმოსახედიდან საქართველოსათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მევენახეობისა და მეღვინეობის დარგის განვითარებას, რომელიც საუკუნეების მანძილზე ქვეყნის კულტურული და ეკონომიკური ძლიერების წყარო იყო (Javakhishvili, 1935). დარგის 8000 წლოვანმა უწყვეტმა განვითარებამ დღემდე შემოგვინახა 525-მდე ქართული ადგილობრივი თეთრი, წითელი და ვარდისფერყურძნიანი ვაზის ჯიშები და ქართული უძველესი ტექნოლოგიები (ქვევრის ღვინო - კახური და იმერული ტექნოლოგია).

მევენახეობა-მეღვინეობა არის ის დარგები, რომელთა წარმატებით შესვლა საერთაშორისო ბაზარზე ხდება მისი ადათ-წესების, ტრადიციების და თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისად (Kharaishvili, 2014).

სტატიაში გამოყენებულია ძირითადი და სპეციფიური კვლევის მეთოდები, შედარებითი და რაოდენობრივი კვლევის ანალიზი, ექსპერტთა დასკვნები, მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშორისო ორგანიზაციის წლიური, სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტისა და ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული ექსპორტის მონაცემები.

სტატიის მიზანია არსებულ კვლევებზე დაყრდნობით მიმოიხილოს საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის სექტორი და მსოფლიო ბაზარზე განსაზღვროს ქართული ღვინის ადგილი, 2020 წლის ღვინის გლობალური ტრენდების გათვალისწინებით ჩამოაყალიბოს ძლიერი მხარეები და შესაძლებლობები, შეიმუშავოს ქართული ღვინის ცნობადობის ამაღლების

სტრატეგიები, რომელიც გამოყენებული იქნება ქართული ღვინის ექსპორტის გაზრდით მიზნით.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ვაზის ადგილობრივი გენოფონდი, *Vitis Vinifera*, ქვევრის ღვინო, საერთაშორისო ბაზარი, ექსპორტი.

**ABSRTACT:** Wine – is the most popular alcoholic bavarage around the world, made from grapes. Nowadays, in the 21<sup>st</sup> century, world wine market is saturated with wine products of different origins, colors or taste.

Production of national agricultural products plays an important role in the social and economic development of Georgia. It is especially important to develop such competitive sectors that will ensure an increase in export potential and profitability. From this perspective, the development of viticulture and winemaking, which has been a source of cultural and economic strength of the country for centuries, is crucial for Georgia (Javakhishvili, 1935). The 8000-year continuous development of the field has preserved up to 525 local Georgian white, red and pink grape vines and ancient Georgian technologies (Qvevri wine - Kakhetian and Imeretian technology).

Viticulture and winemaking are the fields that successfully enter the international market in accordance with its customs, traditions and modern technologies (Kharaishvili, 2014).

The basic and specific research methods, comparative and quantitative research analysis, expert findings, annual export data published by the International Organization of Viticulture and Enology, the National Department of Statistics and the National Wine Agency are used in the article. The aim of the article is to review the Georgian viticulture and winemaking sector based on existing studies and to determine the place of Georgian wine on the world market, to establish strengths and opportunities in light of global wine trends in 2020, to develop Georgian wine awareness strategies that will be used to increase Georgian wine exports.

**Keywords:** Georgian vine local gene pool, *Vitis Vinifera*, Qvevri wine, international market, export.

**მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიული მიმოხილვა:** ჯერ კიდევ მე-20-ე საუკუნეში მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ დაწყებული მრავალწლიანი და შემდგომ 21-ე საუკუნეში საერთაშორისო პროექტის ფარგლებში გაგრძელებული ამპელოგრაფიული, არქეოლოგიური, პალეობოტანიკური კვლევების შედეგად:

1. 2014 წელს “იუნესკომ” ქვევრს მიანიჭა არამატერიალური ისტორიული ძეგლის სტატუსი (Unesco, 2014);
2. საქართველო- საერთაშორისო მეცნიერებამ აღიარა ვაზისა და ღვინის სამშობლოდ (McGovern, *et al.* 2017);
3. 2020 წლის 26 ნოემბერს მევენახეთა და მეღვინეთა საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) გენერალურ ანსამბლეაზე ქართული ტექნოლოგიით, “დურდოზე (ჭაჭა) ხანგრძლივი მაცერაციით დაყენებული ღვინო“ ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის OIV-ის სპეციალური ღვინოების ჩამონათვალს დაემატა.


ყოველივე ამას, კი წინ უძღოდა კვლევები და რაღა თქმა უნდა საკანონმდებლო ბაზის: “კანონი ვაზისა და ღვინის შესახებ” შექმნა, რომელიც პირველად 1998 წელს შემუშავდა მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში იურისტთა და დარგის ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

ყოფილ საბჭოთა კავშირში ქართული ღვინის ცნობადობაზე საუბრობს 2018 წელს ლოს ანჯელესს ტაიმისის ჟურნალისტი ჯონ ჰენდერსონი: “საქართველო - ცნობილი იყო როგორც საბჭოთა კავშირის ტოსკანა”... მთელმა საბჭოთა კავშირმა იცოდა, რომ საქართველომ ღვინის სახით კაცობრიობას უდიდესი საჩუქარი უბოძა. საქართველო იყო ღვინის ძირითადი წყარო რუსეთისთვის, მისი მეზობლისთვის. 1991 წლის დამოუკიდებლობის შემდეგ საქართველო განვითარებული ხარისხითა და მარკეტინგული ელემენტებით წარსდგა მსოფლიო ბაზარზე (Henderson, 2018).

როგორც ღვინისა და მაგარი ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო ექსპერტმა, “Vertumne International” გენერალურმა მენეჯერმა ფრედერიკ ჯულიამ აღნიშნა: ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სექტორი 1991 წლიდან მძიმე პერიოდს განიცდიდა: 1982 წელს საქართველოში 145000 ჰა-ზე მეტი ვენახი იყო. ანტიალკოჰოლური კამპანიის შემდეგაც, 1985 წელს საქართველომ მოახერხა დაახლოებით 115,000 ჰა ვენახის შენარჩუნება,

საბჭოთა კავშირში კი, ქართული ღვინო პირველი იყო თავისი ხარისხითა და გემოთი. მაგრამ 2004 წელს, ვენახების მთლიანი ფართობი შემცირდა სავარაუდოდ 48,000 ჰა, 2006 წელს რუსეთმა, ქართული ღვინის ყველაზე მსხვილმა მყიდველმა, ქართულ ღვინოზე გამოაცხადა ემბარგო. ქვეყანა, რომელსაც უნდა განეხილათ მსოფლიოში ღვინის სექტორი, დაიბლოკა, ხოლო ახალი სამყაროს ქვეყნებმა ეგზოტიკური იმიჯით დაიწყეს ღვინის ჩამოსხმა მთელს მსოფლიოში. ამ წინააღმდეგობებისა და სირთულეების მიუხედავად, 2012 წელს საქართველომ 23.3 მილიონი ბოთლი, 2014 წელს 44.6 მილიონი ბოთლი ჩამოასხა. ქვეყანამ 76.7 მილიონი ბოთლის ექსპორტი შეძლო, რაც რეკორდული მაჩვენებელია ბოლო 30 წლის განმავლობაში. 2017 წელს ღვინის ექსპორტმა \$ 170 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლებთან შედარებით 49%-ით, ხოლო 2015 წელთან შედარებით კი 57% -ით გაიზარდა (Frederic, 2018).

**მსოფლიო მევენახეობა-მეღვინეობა:** გლობალური ღვინის ბაზარი სეგმენტირებულია პროდუქციის ტიპის (ღვინო, ცქრიალა, შემაგრებული, სადესერტო) ფერის (თეთრი, წითელი, როზე და სხვ.), გეოგრაფიული წარმოშობისა და სადისტრიბუციო არხების მიხედვით.



**დიაგრამა 1.** მსოფლიო ღვინო პროდუქციის წარმოების დინამიკა

მორღორ ინტელიჯენსის მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე 2020-2025 წლებში დაგეგმილია ღვინის გლობალური ბაზრის ზრდა CAGR 5,8% - ით. ღვინის ბაზარს განაპირობებს ღვინოზე მოთხოვნილების ზრდა, მისი

სარგებელი და ღვინის პროდუქტების პრემიუმშიზაცია, რაც გამოწვეულია ახალი არომატებითა და გლობალური მასშტაბით უფრო მოწინავე სადისტრიბუციო ქსელების არსებობით. გემოვნების შეცვლა, ახალი პრეფერენციები მომხმარებლებში, ახალი და ეგზოტიკური არომატის მოთხოვნილებების გაზრდა, ბუნებრივია ხელს უწყობს ღვინის ბაზრის ზრდას და ახალი სტილის ღვინოების დამკვირდებას.

მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) გენერალური დირექტორის პაუ როკას მიერ მომზადებულ მასალებზე დაყრდნობით, მსოფლიო მევენახეობამ 2019 წელს შეადგინა 7,4 ათას ჰა, სადაც მსოფლიოს მხოლოდ 5 ქვეყანა წარმოადგენს მსოფლიო ვენახის 50 %. ესენია: ესპანეთი-13%, ჩინეთი - 12%, საფრანგეთი - 11.7 %, იტალია - 9.6%, თურქეთი - 5.9 %, სხვა დანარჩენი 49%. 2018 წელს სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, ყურძნის წარმოებამ შეადგინა 77,8 მლნ ტ, სადაც 57% - ღვინოზე, 36% სასუფრე ყურძენსა და 7% მშრალ ყურძენზე მოდიოდა.

2019 წელს ღვინის, ცქრიალა და სპეციალური ღვინის, ასევე წვენისა და ტკბილის გათვალისწინებით, გადამუშავებულმა პროდუქციამ შეადგინა 260მლნ. ჰექტოლიტრი, რომელიც წინა წელთან შედარებით შემცირებულია მთელი 11% (ცხრილი 1; დიაგრამა 1).

**ცხრილი 1.** მსოფლიო ღვინო პროდუქციის დინამიკა 2015-2019წწ.

მლნ.						2019/2018	2019/2018
<b>ჰექტოლიტრი</b>						<b>ცვლილება</b>	<b>ცვლილება</b>
<b>ო</b>	201	201	201	201	201	<b>მოცულობა</b>	<b>ა %</b>
	5	6	7	8	9		
	<b>თ</b>						
<b>მსოფლიო ღვინო პროდუქცია</b>	275	269	248	294	260	260	-11


**საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობა მსოფლიო ჭრილში:** მევენახეობა-მეღვინეობის პოტენციალი უახლოესი წარსულის (1970-1990წწ) ანალიზიდან: მევენახეობა-მეღვინეობის პრიორიტეტული ადგილი ჩვენი

ქვეყნის ეკონომიკაში უახლოესი წარსულის პრაქტიკამ დაადასტურა, რაც აღიარებული იქნა „ვაზისა და ღვინის შესახებ საქართველოს კანონით“ (1998წ); ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობის (1970-1990წწ) პერიოდში მევენახეობის წილად მოდიოდა სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის 18-20%;

ღვინის წარმოების გადანაწილება ქვეყნების მიხედვით (ცხრილი 2; დიაგრამა 2).

ქვეყნის დასახელება	წარმოებული პროდუქცია მლნ.ჰექტოლიტრი
აშშ	23.9
იტალია	54.8
საფრანგეთი	48.6
ესპანეთი	44.4
პორტუგალია	6.1
გერმანია	10.3
ჩილე	12.9
არგენტინა	14.5
ბრაზილია	3.1
რუსეთი	5.5
ჩინეთი	9.1
ავსტრალია	12.9
ახალი ზელანდია	3.0
სამხრეთ აფრიკა	9.5

**ცხრილი 2.** მსოფლიო ქვეყნების მიხედვით წარმოებული ღვინოპროდუქცია




**დიაგრამა 2.** მსოფლიო ქვეყნების მიხედვით წარმოებული ღვინოპროდუქცია

ღვინის წარმოებას ეკავა კვების მრეწველობის პროდუქციაში 15-16%; საგრძნობი (18-20%) იყო ამ დარგების წილი ქვეყნის ბიუჯეტის ფორმირებაში, რაც ამ დარგების სამომავლო ეკონომიკური პოტენციალის ორიენტირად უნდა იქნეს გამოყენებული; სტატისტიკური მონაცემებით 1982 წელს ვენახის ფართობმა 144,0 ათას ჰექტარს მიაღწია, შემდეგ 1985-1990წწ იგი 125,0-117,0 ათას ჰა-მდე შემცირდა და იგი წლების განმავლობაში სტაბილურად იქნა შენარჩუნებული; მ.შ. საკარმიდანო ვენახი 39,0ათას ჰექტარს შეადგენდა, რაც აღემატება ამჟამად ქვეყანაში არსებული ვენახის საერთო ფართობს (37,4 ათასი ჰა). -1981-1990 წლებში ქვეყანაში ყოველწლიურად იწარმოებოდა 710 ათასი ტონა ყურძენი, საიდანაც 500

ათას ტონაზე მეტი გადამუშავდებოდა სახელმწიფო ღვინის ქარხნებში და მიიღებოდა 28-30 მლნ. დეკალიტრი ღვინომასალა და ღვინო (Chkhartishvili, et al, 2016).

2019 წლის ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციისა და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, საქართველო ვენახის ფართობების მიხედვით 21-ე ადგილს იკავებს და 2019 წელს შეადგენს 55 ათასს ჰა ვენახს, რაც 2014 წელთან შედარებით 15%-ით არის გაზრდილი, მისი წილი მსოფლიო ბაზრის 0,73 % წარმოადგენს, მაშინ როდესაც 2016 წლის მონაცემებით იგი 0,4% -ს შეადგენდა (დიაგრამა 3).




**დიაგრამა 3.** საქართველოში ვენახების გაშენების დინამიკა ათასი ჰა.

2019 წელს საქართველოში ყურძნის გადამუშავებამ რეკორდული მაჩვენებელი-271 ათასი ტ შეადგინა, ხოლო 2020 წელს კი -273 ათასი ტ ყურძენი (ცხრილი 3; დიაგრამა 4).

გადამუშავებული ათ.ტ.	2018წ	2019წ	2020 (16.10.20)
საქართველო	245000	271000	273000
კახეთი	235 000	268 000	270000
რაჭა-ლეჩხუმი	1492	1863	2500



**ცხრილი 3.** ყურძნის გადამუშავების დინამიკა წლების მიხედვით (კახეთი, რაჭა-ლეჩხუმი და სხვ)



**დიაგრამა 4.** ყურძნის გადამუშავების დინამიკა წლების მიხედვით

**ქართული ღვინის ექსპორტი:** ბოლო წლების განმავლობაში საქართველოდან ღვინის ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა. საქართველო იმსახურებს ღვინის სექტორის მხრიდან უფრო მეტ აღიარებას, რადგან ქვეყანა 8000 წლოვანი ისტორიის მქონე ღვინის აკვანია და ბოლო წლების განმავლობაში ღვინის ინდუსტრიამ და მთავრობამ დიდი ინვესტიცია გაწია სტანდარტების ამაღლებისა და საკვანძო ბაზრებზე პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით. ქართული ღვინო გამორჩეულად მრავალფეროვანია, რაც განპირობებულია განსაკუთრებული მდებარეობით, უწყვეტი განვითარების შედეგად მიღებული ქართული 525-მდე ადგილობრივი ყურძნის ჯიშითა და უძველესი ქართული ტექნოლოგიების არსებობით, შესაბამისად საინტერესოა მისი გადანაწილება მსოფლიო ბაზარზე გაყიდვების თვალსაზრისით. ქართული ღვინის ეს კომპლექსი მსოფლიო მომხმარებელს სთავაზობს საინტერესო არჩევანის კალიდოსკოპს და ზოგიერთი მათგანისათვის იგი იწვევს დამაბნეველ

ბუნდოვანებას. 2020 წელს გამოქვეყნებული კვლევის თანახმად (Jijavadze, 2020) საქართველოში ღვინის სექტორი ფინანსურად ჯანსაღ და მზარდ სექტორს წარმოადგენს. ექსპორტის თვალსაზრისით, კვლევაში ნათქვამია, რომ საქართველო ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ტოპ-20–შია. 2019 წელს საქართველოს ღვინის ექსპორტიდან, ღირებულების 60% (133,3მლნ. აშშ დოლარი) და მოცულობის 62% (43,4მლნ. ლიტრი) რუსეთთან ვაჭრობაზე მოდის. დსთ-სა და უკრაინის დანარჩენ ქვეყნებში წარმოიშვა ექსპორტის შემოსავლების 19%.

ქვეყანა	ბოთლი	%
პოლონეთი	4114972	17
ჩინეთი	7089259	2
აშშ	678148	48
დიდი ბრიტანეთი	168307	60

**ცხრილი 4.** ქართული პროდუქციისათვის საგრძნობლად მზარდი ბაზრები


ამ ქვეყნების ურთიერთდაკავშირებული ეკონომიკა და რეგიონში არსებული პოლიტიკური რისკები კვლავ რჩება ქართული ღვინის სექტორის ერთ – ერთ მთავარ გამოწვევად, რადგან სავაჭრო პარტნიორების ეკონომიკური მდგომარეობა და გაცვლითი კურსის დინამიკა გავლენას ახდენს ქართული ღვინის მოთხოვნასა და ფასებზე. აშშ, გერმანია, ჩინეთი, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, კანადა, პოლონეთი, შვეიცარია, ნიდერლანდები, რუსეთი, უკრაინა და ყაზახეთი ყველაზე მიმზიდველი ქვეყნებია ქართული ღვინის ექსპორტისთვის, ამ ქვეყნების მთლიანი იმპორტი ტრადიციული ღვინის მწარმოებლებისგან 18 მილიარდ აშშ დოლარს უტოლდება, ხოლო იმპორტის ნიშნები ქვეყნებიდან 1 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. ეს არის ორი ძირითადი სეგმენტი, რომელშიც ქართულ ღვინოს შეუძლია კონკურენცია გაუწიოს”, - ნათქვამია კვლევაში.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებზე დაყრდნობით 2019 წელს ქვეყანამ ღვინის ექსპორტი განახორციელა 53 ქვეყანაში 94 მლნ ბოთლის ოდენობით, რომელიც 2018 წელთან შედარებით 9 % -ით მეტია, და საქართველოს დამოუკიდებელ ისტორიაში ექსპორტის მაქსიმალურ მაჩვენებლს შეადგენს. ექსპორტი საგრძნობლად გაიზარდა პოლონეთში, ჩინეთში, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ბარზებზე (Georgian wine agency, 2020). (ცხრილი 4,5; დიაგრამა 5).

ვან ინტელიჯენსის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში “2020 წლის ღვინის გლობალური ტრენდები” განხილულია ოთხი ძირითადი მიმართულება: ურთიერთობა, საცალო ვაჭრობა, რეპუტაცია და ვალდებულება, რომელთა გათვალისწინება და მხედველობაში მიღება აუცილებელი პირობაა ღვინის მწარმოებლისათვის.

ქვეყანა	ბოთლი	ზრდა, %
ლიტუანია	708408	45%
გერმანია	671453	40%
ბელარუსია	2787065	74%
ისრაელი	324700	80%
ესტონეთი	693248	20%
რუსეთი	58384540	9%
მოლდოვეთი	625724	87%
ნიდერლანდები	96464	17%
ჩეხეთის რესპუბლიკა	92214	34%
ბულგარეთი	34734	30%
მონღოლეთი	297576	40%

**ცხრილი 5.** ექსპორტის მონაცემები ქვეყნების მიხედვით



## დიაგრამა 5. ქართული ღვინის ექსპორტი ქვეყნების მიხედვით

**დასკვნა:** როგორც კვლევებიდან ჩანს, ქართულ ღვინოს ესაჭიროება ბაზრის დივერსიფიკაცია, რაც მოითხოვს, როგორც სახელმწიფოს, ასევე კერძო ბიზნესის მხრიდან აქტიურ ჩართულობას. ქართულ ღვინოს - საერთაშორისო ბაზარზე ღირსეული ადგილის დამკვიდრების დიდი პოტენციალი გააჩნია; ცნობადობა და მოთხოვნა ქართულ ღვინოზე დღითიდღე იზრდება, რაც კარგად ჩანს ექსპორტის მონაცემებში. აუცილებელია ღვინის გლობალური 50-მდე ძირითადი ბაზრის ანალიზი, რომელიც დაეხმარება კერძო სექტორს შეადაროს სხვადასხვა ბაზრების მიერ შეთავაზებული შესაძლებლობები, აქტიურად აწარმოოს კომუნიკაცია მომხმარებელთან, შედეგად შეიმუშაოს ქართული ღვინის ცნობადობის ამაღლების სტრატეგიები მიზნობრივ ბაზრებზე.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ancient Georgian traditional Qvevri wine-making method - <http://www.unesco.org/archives/multimedia/document-3515>;
2. Chkhartishvili N.C., Chkhartishvili N.N, Aleqksidze G - მევენახეობა - აგროტექნოლოგია, 2014, printed by “Sachino”, 386pp.
3. Frederic J. Georgia wines: example of a successful wine marketing strategy, 2018; <https://www.linkedin.com/pulse/georgia-wines-example-successful-wine-marketing-strategy-julia>;
4. Georgian wine agency, Georgia exported record 94mln bottles of wine in 2019, 2020; <https://agenda.ge/en/news/2020/225>;
5. Georgian wine agency <http://georgianwine.gov.ge/Ge/News/33745>;
6. Global Trends in wine 2020 report - <https://www.wineintelligence.com/global-trends-in-wine-2020-video-series/>;
7. Henderson J. In Georgia, wine is a centuries-old tradition that has brought new appeal to the republic, 2018. <https://www.latimes.com/travel/la-tr-georgia-wine-20180908-story.html>;
8. Javakhishvili I. საქართველოს ეკონომიკური ისტორია ,1935. v 11;

9. Jijavadze T Georgian wine sector research-export countries and risks; 2020, <https://forbes.ge/news/7784/Georgian-Wine-Sector-research-export-countries-and-risks>
10. Kharaishvili E, Chavleishvili M., Natsvaladze M – trends and prospects for the development of Georgian wine market – world academy of science, engineering and technology international journal of Economics and management Engineering vol 8, No 10 2014;
11. Kharaishvili E. ღვინის ბაზარი და მევენახეობა-მეღვინეობის დივერსიფიკაციის კონკრეტული მოდელები საქართველოში, 2017, printed by Universali, Tbilisi; ISBN 978-9941-26-082-7
12. Lazarashvili T. ღვინის ბაზრის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში, conference Economy–XXI century, <http://www.conferenceconomics.tsu.ge/?mcat=0&cat=arq&leng=ge&adgi=241&title=ღვინის%20ბაზრის%20განვითარების%20შესაძლებლობები%20საქართველოში>;
13. McGovern P., Jalabadze M., Batiuk S., Callahan P., Karen E. Smith, Gretchen R. Hall, Eliso Kvavadze, David Maghradze, Nana Rusishvili, Laurent Bouby, Osvaldo Failla, Gabriele Cola, Luigi Mariani, Elisabetta Boaretto, Roberto Bacilieri, Patrice This, Nathan Wales, and David Lordkipanidze, (2017), Early Neolithic wine of Georgia in the South Caucasus, PNAS 114 (48) E10309-E10318; first published November 13, 2017; <https://doi.org/10.1073/pnas.1714728114>;
14. OIV state of the vitiviniculture sector in 2019;
15. Wine production OIV first Estimates, 20.10.2020;

## Under-funding of Public Health and Health Promotion in Israel - The Paradox of Success

**Lior Naamati Schneider** - Hadassah Academic College Jerusalem,  
Department of Service Organization Management

The promotion of health, as defined by the World Health Organization (WHO) in 1986, is part of the field of public health, providing the individual and the community with tools “to increase control over, and to improve, their health.” It is a combination of activities that educate toward health and the accompanying organizational, political, and economic interventions. All these are designed to create a behavioral and environmental change that will lead to an improvement of health and/or protection of it (WHO, 1986).

Programs for promoting health and health awareness are proven and effective means of early detection, prevention of morbidity, and improvement of the health of the entire population. Health-promotion interventions have been found to create behavioral change and affect health expenditure. Cost-effectiveness studies show that the financial gain from health promotion is greater than the monetary investment (Baicker, Cutler, & Song, 2010).

Yet in Israel and in many other countries, despite the proven financial effectiveness of inculcating a policy of health promotion and education toward health—even in the health organizations themselves (Baicker et al., 2010)—the monetary investment in health promotion has declined steadily. This decline is partly due to continuing cutbacks in budgets, despite the many studies in the field and despite the existence of innumerable programs for health promotion (Ginder, 2020; Groto, 2008; Pilot, 2019).

To understand the main reasons for the starvation of the public health field—including the reduction of financial resources, prevention processes, and health promotion—we must look holistically at various views of health and medicine.

Some 150 years ago, Dr. John Snow famously removed the handle of a water pump in London’s Broad Street during a cholera epidemic and is credited with thus ending the outbreak. His action angered his colleagues and influential public officials, who refused to consider the water supply as the source of the illness (Gibson, 2007; Snow, 1849), but it laid the foundation for the dissemination of concepts of public health and of the state’s and the community’s responsibility for the health of the public. According to this approach, the community and the state must provide for and ensure the health of the entire population. This is the basis for the ideas of health as a right, health as a national responsibility, national insurance, and subsidization of health services (Bin Nun, 2019).

This approach to health entails a large financial burden under changing circumstances that include economic changes, an increase in life expectancy, new medical technologies that inflate health costs, and constant competition for resources within the government’s health budget. Also, in recent decades the status of clinical medicine and curative medical fields has been rising steadily, winning acclaim for the many innovative technological, digital, and biological solutions to various problems and illnesses, both severe and less so, and overshadowing public health and the promotion of preventive medicine.

This erosion of the status of public health, despite the importance of maintaining and developing it through the investment of resources—and especially in light of its cost-effectiveness—is particularly grating, because it has become a captive of the *paradox of success*. As the field of public

health, health promotion, and illness prevention is increasingly successful, it is less in the spotlight and less likely to receive funding.

Whereas the curative medical fields offer healing and a solution to an existing problem, the public health services prevent problems from arising. Thus, their success “hides the problem” and consequently removes it from public attention. Also, successes in the field involve long processes and sometimes it is not possible to pinpoint the direct cause of success. This makes the field less attractive politically, because it is difficult to garner acclaim for successes in the distant future.

This paradox worsens the situation of the public health system and the programs for disease prevention and promotion of health, not only financially but also in terms of awareness—despite their proven cost-effectiveness in comparison with treatment programs (Baicker et al., 2010). The weakening of public health in Israel and the decline in investment in health promotion in recent decades are part of larger problems in Israel’s health system: under-funding, faulty organizational structure, and even political processes that lead to instability and lack of long-term planning.

Israel’s public health services, which are subservient to the Ministry of Health, deal with individual, communal, and environmental preventive medicine. They promote health and prevent illness of the country’s residents, with an array ranging from family health clinics to health service for schoolchildren, district and regional health bureaus, and the professional administrative headquarters (in the ministry). Their aim is to implement public health policy in the field in the following areas: environmental health, inspection of food, sanitation, epidemiology, disease prevention, and health promotion.

In recent decades, the under-funding that has plagued the country’s entire health system has been even more marked in programs of



prevention and health promotion (Eisebruch, 2020; Israeli Association of Public Health Physicians, 2008; Linder, 2020; Pilot, 2019). Consequently, the public health services have suffered from repeated cutbacks in funding and job slots. The cutbacks have harmed all aspects of activity, inspection, and regulation, including health services for schoolchildren, which have been privatized, and the operation of family clinics, whose role is to prevent illness in pregnant women, infants, and toddlers; promote their health; and detect situations (such as violence) that may be harmful to health.

Whereas medicine in Israel is among the most advanced in the world (Pilot, 2019), in the field of public health it is significantly inferior (Israeli Association of Public Health Physicians, 2008; Israeli Association of Public Health Physicians and the Israel Medical Association, 2010). Israel's health insurance law is grounded in principles of justice, equality, and mutual aid, which are the fundamental principles underlying public health (National Public Health Law, 1995), but it pertains mainly to curative health services, not to preventive services (Groto, 2008). Public health services are discussed only in the third amendment, which includes only some of the areas of public health and only individual—and not communal—preventive medicine. The extent of the services and what they must include has not been established in a single law or regulation (Eisebruch, 2020; Groto, 2008; Luxemburg, 2005). Take vaccination, for example: In the past, Israel was a leader in vaccination, but the list of free vaccinations covered by law has not been updated in recent years, and this has led to substantial delays in updating the national vaccination plan so that now Israel lags behind the rest of the world (Groto, 2008).

Another example consists of organizational changes and the transfer of the family clinics to the HMOs and the privatization of some of their services. As part of these changes, school health services have been reduced and privatized (State Comptroller's Report, 2009).

As in many other countries, Israel's public health system is underfunded and suffers from repeated cutbacks (Allin, Mossialos, McKee, & Holland, 2004; Rosen, 2003) that are harmful to every area of activity, inspection, and regulation. This lack of investment and the failure to develop health promotion, combined with the ramifications of having a public health system that even in normal times must function under conditions of stress, wholesale starvation, and under-funding, can be fatal in a crisis.

We are now in the midst of a pandemic that has created an entirely new situation worldwide. This outbreak highlights the importance of the field of health promotion and public health, despite the paradox of its success, and again demonstrates that we must enhance the public health system and how the community perceives it. This means, first and foremost, a change in national priorities, expressed in a substantial change in funding—a shift to full funding of medical services. A host of collaborations and programs for health promotion must be developed, alongside increased medical literacy in the community (Levin-Zamir & Bertschi, 2018).

The threat of being unable to treat a large number of patients and of the possible collapse of the health system during the pandemic is a wakeup call for the world regarding the importance of public health and health promotion. These must be part of a multisystemic strategy for dealing with a variety of public health areas—vaccination, subsidies for healthful foods, prevention of and treatment of obesity, education toward physical activity, and education toward health and medical literacy—which in normal times, despite their financial efficacy and because of the paradox of success, remain far from the spotlight.

## REFERENCES:

1. Allin, S., Mossialos, E., McKee, M., & Holland, W. (2004). *Making decisions on public health: A review of eight countries*. European Observatory on Health System and Policies. Geneva: World Health Organization.
2. Baicker, K., Cutler, D., & Song, Z. (2010). Workplace wellness programs can generate savings. *Health Affairs*, 29, 304–11. <https://doi.org/10.1377/hlthaff.2009.0626>
3. Bin Nun, G. (2019). Equality, equitability, and everything in between: The case of the health system in Israel. In S. Shafran & Y. Weiss. (Eds.). *Encounters in the world of health* (pp. 328–338). Jerusalem: Magnes. (Hebrew)
4. Eisebruch, D. (2020, May 14). Treating background illnesses of the health system. *Davar*. Retrieved from <https://www.davar1.co.il/223430/> (Hebrew)
5. Gibson, W. C. (2007). Medical contributors to social progress: A significant aspect of humanitarian medicine. In William, S., Gunn., A. & Masellis, M. (Eds.), *Concepts and practice of humanitarian medicine* (pp. 83–92). Springer.
6. Groto, I. (2008). *A model for the public health system in Israel: Coping with the challenges of the 21<sup>st</sup> century* (Doctoral thesis. Ben-Gurion University of the Negev, Beersheba, Israel). (Hebrew)
7. Israeli Association of Public Health Physicians. (2008). The public health system in Israel in the 21<sup>st</sup> century: Definition of the system's roles and proposal for a framework of action. (Hebrew) Retrieved from <https://preview.tinyurl.com/y2tzt7m> [Open in new window]
8. Israeli Association of Public Health Physicians and the Israel Medical Association. (2010). Position paper. The future of the public health system in Israel. (Hebrew)
9. Levin-Zamir, D., & Bertschi, I. (2018). Media health literacy, ehealth literacy, and the role of the social environment in context. *International Journal for Environmental Research for Public Health*, 15, 1643. <https://doi.org/10.3390/ijerph15081643>

10. Linder, R. (2020, May 18). The corona crisis exposed the neglect of public health bodies: Will we learn the lesson before the second wave? *The Marker*.
11. <https://www.themarker.com/news/health/.premium-1.8852547>(Hebrew)
12. Luxemburg, A. (2005). Issues in the management of the basket of services: 10 years' experience. The Annual Conference of the National Institute for the Study of Health Services and Health Policy. Israel. (Hebrew)
13. Ministry of Health, Public Health Service. <https://www.health.gov.il/UnitsOffice/HD/PH/Pages/default.aspx> (Hebrew)
14. National Health Insurance Law, 1995.
15. Pilot, A. (2019, November 7). OECD: Israel is investing very little in health, but the results are among the best in the West. *Calcalist*.
16. <https://www.calcalist.co.il/local/articles/0,7340,L-3773259,00.html> (Hebrew)
17. Rosen, B. (2003). In Thomson, S. and Mossialos, E. (Eds.) *Health care systems in transition: Israel*. Copenhagen, European Observatory on Health Care Systems, 5(1). Retrieved from [https://www.euro.who.int/\\_\\_data/assets/pdf\\_file/0003/85449/E81826.pdf](https://www.euro.who.int/__data/assets/pdf_file/0003/85449/E81826.pdf)
18. Snow, J. (1849). *On the mode of communication of cholera*. (London: John Churchill).
19. State Comptroller's Report, Israel. (2009). (Hebrew)
20. World Health Organization (WHO). (1986). The Ottawa Charter for Health Promotion. Ottawa, Canada. Retrieved from <https://www.who.int/healthpromotion/conferences/previous/ottawa/en/>

ეს მაჩვენებელი 117,37 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწევს. COVID-19 პანდემიის გაჩენამ თითქმის ყველა ინდუსტრიაზე მძიმედ იმოქმედა. ყველა მიმართულების ბიზნესს სჭირდება სწორი, ყველაზე შესაფერისი სტრატეგია, პანდემიის შემდგომ სწრაფი აღდგენისა და წარმატების მისაღწევად. დღეს უაღრესად მნიშვნელოვანია იმ პრიორიტეტების გამოვლენა, თუ რა გაზრდის და რა დააბრკოლებს აგროტურიზმის ბაზრის განვითარებას? რა შესაძლებლობები და გამოწვევებია მოცემულ ბაზარზე? რომელი სეგმენტი იქნება ძირითადი მომხმარებელი უახლოეს მომავალში? რომელი ქვეყანა ჩაითვლება პრიორიტეტულად ახლო მომავალში და რა ნიშნით? რა სტრატეგიებს იღებენ კომპანიები აგროტურიზმის სწრაფი განვითარების მიზნით?

თანამედროვე მსოფლიოში აგროტურიზმი და რეკრეაციული საქმიანობა ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო მეურნეობებს, მიიღონ დამატებითი, დიდი შემოსავალი. ამიტომ დღეს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახის მეურნეობის მფლობელები მიმართავენ საკუთარ ძალებს აგრო ტურიზმის განვითარებისკენ, რათა დააბალანსონ მოსავლის დაბალი პროდუქტიულობის გამო არსებული ფინანსური პრობლემები. ძირითადად სწორედ ეს ფაქტი განაპირობებს აგროტურიზმის ბაზრის სწრაფ ზრდას. აშშ-ში, 2002–2017 წწ პერიოდში, ფერმების შემოსავალი ამ მიმართულებით დაახლოებით სამჯერ გაიზარდა. აგრარული ტურიზმი ვითარდება შესაბამისი სეგმენტის ბაზრის მოპოვებისა და ფერმერული პროდუქციის გაყიდვების ზრდის შედეგად. ხშირ შემთხვევაში წარმატებას განაპირობებს სახელმწიფოს ინვესტიციების ზრდა სოფლის მეურნეობის ეკონომიკის გასაუმჯობესებლად. ინვესტიციების მიზანია ფერმერული პროდუქციის გაყიდვების ზრდა.

ბევრი თანამედროვე ტურისტი, მეგაპოლისების დამღლელი რეჟიმიდან გამომდინარე, დიდ ინტერესს გამოთქვამს სოფლის ცხოვრების წესის მიმართ, მათ სურთ დაისვენონ, განიტვიტონ, შეიძინონ ფერმერული პროდუქტები და მიიღონ სპეციფიკური მომსახურება სოფლის ფერმებში სტუმრობისას. ფერმერებიც შესაბამისად ცდილობენ მოაწყონ მათთვის მიმზიდველი გარემო, შესთავაზონ სათანადო მომსახურება და ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქტები.



2019 წელს ევროკავშირმა 32.59 მილიარდი აშშ დოლარის შემოსავალი მიიღო აგროტურიზმიდან და აპირებს დომინირებას გლობალურ ბაზარზე. ზრდა ძირითადად განპირობებულია საერთაშორისო და ადგილობრივი ტურისტების მზარდი ინტერესით ფერმერული აგროტურიზმის მიმართ სასწავლო და რეკრეაციული დანიშნულებით. ფერმებში გაყიდული პროდუქციის ასორტიმენტის გამრავალფეროვნება, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და მომსახურების პოპულარიზაცია - ეს არის ის უახლესი რეკომენდირებული სტრატეგიები, რაც ხელს შეუწყობდა აგროტურიზმის გლობალური ბაზრის კიდევ უფრო მეტად ზრდას.

რა არის აგროტურიზმი? რა თავისებურებებით გამოირჩევა იგი? რატომ ვითარდება აღმატებული ტემპებით? რა იყო მისი წარმოშობის და განვითარების მიზეზები? როგორია საქართველოში აგროტურიზმის განვითარების პერსპექტივები?

აგროტურიზმი არის ტურისტული ინდუსტრიის დარგი. იგი ორიენტირებულია ქალაქის მოსახლეობის სოფლად დასვენებაზე და იყენებს ადგილობრივ ბუნებრივ-კლიმატურ, სოციალურ-კულტურულ, ეთნოგრაფიულ, კვების რესურსებს, რომელთაგანაც იქმნება კომპლექსური პროდუქტები.

განსაკუთრებით დღეს, როდესაც ჯანდაცვის პრომოციისთვის სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჯანსაღი ცხოვრების წესს, რაციონალურ კვებას, ეკოლოგიურად უსაფრთხო საკვებს, მსოფლიოს ყველა კუთხის პოტენციური აგროტურისტი ეძებს ადგილს სწორედ ასეთი კვების შეთავაზებებით; ასევე პოპულარულია ჯანსაღი პროდუქტების მოყვანის მიზნით ორგანიზებული საგანმანათლებლო ტურიზმი. სულ უფრო დიდ ინტერესს გამოხატავს საზოგადოება ბიოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიებით, ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოში მოყვანილი საკვები პროდუქტების მიმართ.

საქართველოში აგროტურიზმი გაცილებით მეტად ეფექტიანი და მიმზიდველი იქნება, თუ აგროტურისტული ობიექტები მეტ ყურადღებას დაუთმობენ საკუთარ მეურნეობაში ბიოლოგიურად სუფთა მეთოდების დანერგვას. აგროტურისტები, რომლებიც მსოფლიოს მასშტაბით ეძებენ

საინტერესო დესტინაციებს, მოტივირებულნი არიან შეისწავლონ და დააკვირდნენ განსაკუთრებულ ტექნოლოგიებს, რომლებიც თანამედროვე მიღწევებთან ერთად გამყარებული იქნება ტრადიციული, ისტორიული გამოცდილებითა და მიდგომებით. საქართველოს აგრარული მიმართულებით ნამდვილად მდიდარი ისტორია გააჩნია, განსაკუთრებული ტრადიციებითა და სპეციფიკური პროდუქტებით. აქვე აღვნიშნავთ, რომ დღეს, როდესაც თანამედროვე ეპოქას, გენური ინჟინერიისა და ქიმიზაციის ეპოქას უწოდებენ, სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ბიოაგროწარმოების მიმართულება. იმ შემთხვევაში, თუ სოფლის, ასევე ეკო ტურიზმის სექტორი, ისევე როგორც მთელი ტურიზმის სფერო განსაკუთრებით გაამახვილებს ყურადღებას ბიომიმართულებებზე, ამით ქვეყანა მეტ პოპულარიზაციას შეძლებს მოკლე დროში და მოიზიდავს გაცილებით მაღალგადახდისუნარიან სემგენტს. დღეს ბიოსაკვები მსოფლიოს მასშტაბით სურსათის ბაზარზე გაცილებით ძვირია, ვიდრე ქიმიურად მოყვანილი პროდუქცია.

**ბიოაგროწარმოება** — ეს არის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ისეთი სისტემა, რომელიც დაფუძნებულია ეკოლოგიურად უსაფრთხო პროცესებზე, ხელს უწყობს ეკოსისტემაში ბუნებრივი წონასწორობის და ბიოაგრომრავალფეროვნების შენარჩუნებას (რ.კვარაცხელია, მ. ბერუაშვილი და სხვები, 2018). მსოფლიოში ნამდვილად თვალშისაცემია ბოლო პერიოდის ტენდენცია - ბიომეურნეობების ფართობების ზრდა, უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე აღნიშნული ფართობები გაორმაგდა და 38 მლნ ჰა-ს გადააჭარბა. ბიომეურნეობა წარმოადგენს ინტენსიური სოფლის მეურნეობის ალტერნატივას.

ბიოპროდუქტი წარმოადგენს ეკოლოგიურად უსაფრთხო ნედლეულიდან წარმოებულ პროდუქტს, რომელიც არის უვნებელი, ვინაიდან გავლილი აქვს სანიტარულ-ჰიგიენური სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი კონტროლი და რომლის შენახვა, ტრანსპორტირება და რეალიზაცია მხოლოდ ბიოსტანდარტებით გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით ხორციელდება.

FiBL - ის მონაცემებით 2019 წელს ევროპაში განხორციელდა 6'541.00 მლნ ევროს ორგანული პროდუქტის ექსპორტი, იმპორტმა შეადგინა 3'941.00 მლნ

ევრო, ხოლო საცალო ვაჭრობა დაფიქსირდა 41'452.00 ევროს ოდენობით. თუ შევადარებთ იგივე მონაცემებს, 2014 წლის მონაცემებს, დავინახავთ, რომ ზრდა დიდია: 2014 წელი ევროპა - ექსპორტი 4'013.00 მლნ ევრო, იმპორტი 1'513.00 მლნ ევრო, საცალო ვაჭრობა 23'895.00 მლნ ევრო (<https://statistics.fibl.org/>).

FiBL- სა და სამეცნიერო კომპანია Ecovia Intelligence- ზე დაყრდნობით, გლობალური ორგანული საკვების ბაზარმა 2018 წელს გადააჭარბა 100 მილიარდ აშშ დოლარს (თითქმის 97 მილიარდი ევრო). IFOAM- ის თანახმად, პირველ სამეულში მოხვდნენ - აშშ (40,6 მლრდ ევრო), გერმანია (10,9 მლრდ ევრო) და საფრანგეთი (9,1 მლრდ ევრო). მზარდია საფრანგეთის ორგანული ბაზარი, ასევე ლიდერობს დანია და შვეიცარია. საერთო ჯამში, ორგანული მეურნეობა 71.5 მილიონ ჰექტარზეა გავრცელებული.

2018 წელს რეგისტრირებული იყო 2.8 მილიონი ორგანული მწარმოებელი. ინდოეთი აგრძელებს ორგანულ მიმართულებას, სადაც ყველაზე მეტი მწარმოებელია (1,149,000), შემდეგ მოსდევს უგანდა (210,000) და ეთიოპია (204,000).

([http://soyanews.info/news/mirovoy\\_rynok\\_organicheskogo\\_selskogo\\_khozyaystva\\_vpervye\\_prevysil\\_100\\_mlrd\\_doll-\\_ssha.html](http://soyanews.info/news/mirovoy_rynok_organicheskogo_selskogo_khozyaystva_vpervye_prevysil_100_mlrd_doll-_ssha.html))

აგრარული მიმართულებები, რაც განსაკუთრებით დიდ ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს საქართველოს, ტრადიციებზე დაყრდნობითა და გლობალურ ბაზარზე მოთხოვნადი პროდუქტების რეალიზაციით, ამავე დროს საგანმანათლებლო აგროტურიზმის დანიშნულებით, შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ:

**მცირე ფართობზე მაღალი მოსავლიანობის პოტენციალის მქონე ინოვაციური პროდუქტების წარმოებასა და ენერგოეფექტიანი სასათბურე ტექნოლოგიების გაცნობაზე დაფუძნებული აგროტურიზმი.** სასურველია მცირემიწიანმა ქვეყანამ, როგორც საქართველოა, ყურადღება გაამახვილოს ისეთ აგრომიმართულებებზე, რაც შესაძლებლობას იძლევა, მცირე მიწაზე მეტი მოსავალი მივიღოთ. თუ მაღალშემოსავლიანობასთან ერთად ვაწარმოებთ ჯანსაღ და ჯანმრთელობისთვის სასარგებლო, ორგანიზმისთვის შესარგ

საკვებს, რა თქმა უნდა ეს არის მწვანე ბიზნესის იდეალური შემთხვევა. ამის შესანიშნავი მაგალითია მიკრომწვანელები (microgreens). სავსებით შესაძლებელია კონკრეტულად ამ პროდუქტით დავაინტერესოთ აგროტურისტები და სპეციალურად მოვიწვიოთ მიკრომწვანელების მოყვანის საუკეთესო პრაქტიკის მისაღებად. პირადად ჩვენ ვართ საქართველოში აღნიშნული პროდუქტის ინოვატორები, დღეს კი მიკრომწვანელები და გაღვივებული მარცვლები საკმაოდ ტრენდული პროდუქტებია ჰორეკა ბიზნესში.

განსაკუთრებით იმ რეალობაში, როდესაც დღეს, მსოფლიოში სულ უფრო მზარდია არაგადამდები დაავადებების გავრცელების რიცხვი და ქრონიკული დაავადებები ჯანმრთელობის მთავარ პრობლემას წარმოადგენს, როგორც მაღლა აღვნიშნეთ, რაციონალური კვება ხდება უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ჯანდაცვის პრომოციისთვის. კვლევები ცხადყოფს, რომ ბოსტნეულის მოხმარება მნიშვნელოვნად ამცირებს მრავალი ქრონიკული დაავადების რისკს. 2015–2020 წლების დიეტის სახელმძღვანელო მითითებებით, აშშ – ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტისა და აშშ – ს ჯანმრთელობისა და ადამიანური მომსახურების დეპარტამენტისგან რეკომენდებულია დღეში 1–4 ჭიქა ბოსტნეული მამაკაცებისთვის და 1–3 ჭიქა ბოსტნეული ქალისთვის, მათი ასაკის მიხედვით (Uyory Choe, Liangli Lucy Yu, Liangli Lucy Yu, 2018). თუმცა, ხშირ შემთხვევაში ბოსტნეულის მიღება რეკომენდებულ დონეზე დაბალია. მიკრომწვანელები არის ორი ფოთლის დონეზე ახლადამოცნებული მცენარე, რომელსაც შენარჩუნებული აქვს თესლში დაგროვილი ბიოენერჯია, რაც გათვლილია მცენარის სრულ ზრდა-განვითარებაზე. იგი ერთადერთი პროდუქტია, რომელიც გადასამუშავებლად ორგანიზმისგან ენერჯიას კი არ მოითხოვს, არამედ პირიქით, ამარაგებს მას დამატებით ბიოენერჯიით. მიკრომწვანელებს აქვს დელიკატური ტექსტურა, გამორჩეული არომატი და განსაკუთრებულად დიდი რაოდენობით მშრალი ორგანული ნივთიერებები, ვიტამინები, მინერალები, მიკრო და მაკროელემენტები, რომელთა შემცველობაც თითქმის 100-ჯერ აღემატება მოცემული ბოსტნეულის საბოლოო ფორმაში არსებულ მოცულობას. მაგალითად, წითელი კომბოსტოს მიკრომწვანელებში 40-ჯერ მეტია ვიტამინების შემცველობა, ვიდრე მის დასრულებულ ფორმაში. შესაბამისად,

მიკრომწვანელების მცირე რაოდენობით მიღება ქმნის მინიმუმ 30- ჯერ მეტი ოდენობის ბოსტნეულის მიღების ეფექტს (<https://www.facebook.com/microgreensgeorgia>). მსოფლიოს მასშტაბით ჩატარებული კვლევებით დასტურდება, რომ მიკრომწვანელები და გაღივებული მარცვლები წარმოადგენს ფუნქციონალურ საკვებს, რაც არსებული კომპონენტების გაძლიერებით მიიღება. მიკრომწვანელები, როგორც ფუნქციონალური საკვები კულტურა, გვპირდება გლობალური კვების სისტემის მდგრად დივერსიფიკაციას, ურბანიზაციისა და გლობალური კლიმატის ცვლილებების ადაპტაციის პირობებში, ადამიანის ჯანმრთელობის ხელშესაწყობად (Microgreens: Consumer sensory perception and acceptance of an emerging functional food crop, 2020).

**ბიომეცხოველეობაზე დაფუძნებული აგროტურიზმი** სასარგებლოა როგორც საზოგადოებისთვის, ბიოპროდუქტებით ბაზრის მომარაგების კუთხით, ასევე ხელს უწყობს გარემოს დაცვას, ცხოველთა კეთილდღეობას, მაღალია მისი ეკონომიკური და სოციალური ბენეფიტები, სოფლის განვითარებაში. ორგანულ მეცხოველეობაში გამოიყენება ალტერნატიული მკურნალობის მეთოდები, როგორცაა ჰომეოპათია და ფიტოთერაპია, გვერდითი ეფექტების გარეშე, აღნიშნული მეთოდები გაცილებით ნაკლები დანახარჯით ხასიათდება, ვიდრე ქიმიური გზით ჩატარებული ვეტერინარული მკურნალობა. ბიო მეცხოველეობა - როგორც საფუძველი აგროტურიზმისთვის საინტერესოა სხვადასხვა მიმართულებით: ბიოლოგიურად სუფთა, ხარისხიანი პროდუქციით მასპინძლობით აგროტურისტს; ქართულ ბაზარს ამარაგებთ ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტებით; ამზადებთ მაღალი საექსპორტო პოტენციალის მქონე პროდუქტს;

მეცხოველეობის მიმართულებით აგრო ტურიზმით დაინტერესებას გამოხატავს ნებისმიერი ასაკის, კატეგორიის ადამიანი. ცხოველების ფერმების მონახულება განეკუთვნება გასართობ, ჰუმანურ, შემეცნებით, განათლების კატეგორიას და წარმოადგენს მასობრივი ტურიზმის ერთ-ერთ ალტერნატივას. ბიოფერმერი, აგროტურისტული ფერმის დამფუძნებელი სტუმრებს სთავაზობს ისეთ გარემოს, სადაც შესაძლებელია ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება, სოფლად ცხოვრების განცდა. ბიო მეცხოველეობაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო აგრო ტურიზმი უნდა

ითვალისწინებდეს: ყველა ასაკობრივ ჯგუფში, ცხოველების აღზრდისა და ექსპლუატაციისათვის აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გადაცემას; ეფექტიანი დიეტების გასაუმჯობესებლად კულინარიული პროგრამების შემუშავების პრინციპებს; ბავშვებისა და თინეიჯერებისთვის სკოლის ეზოებში ორგანული, სადემონსტრაციო მეურნეობის დანერგვის გზებს.

აგრო ტურისტულ ობიექტზე ბიოფერმის არსებობისას, ბიოსაკვების წარმოებისას მნიშვნელოვანია ბიოსერტიფიცირებისა და მიკვლევადობის უზრუნველყოფა, რისთვისაც ინერგება HACCP სისტემა. HACCP-ის საფუძველია სისტემური მიდგომა, რომელიც მოიცავს სურსათის უვნებლობის პარამეტრებს წარმოების ციკლის ყველა ეტაპზე — ნედლეულის მიღებიდან მომხმარებლის მიერ პროდუქტის გამოყენებამდე.

HACCP-ის სისტემის დანერგვას ასევე აქვს ისეთი უპირატესობები, როგორცაა: ხარისხიანი და უვნებელი საკვების მწარმოებლის გუდვილი; შიდა და გარე ბიო აგრო მიმართულებით დაინტერესებული ტურისტების მოზიდვა; მომხმარებელთა ნდობის ამაღლება; საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლება; საექსპორტო პოტენციალის გაზრდა; ადგილობრივი ბაზრის გაფართოება; პროდუქტის სტაბილური ხარისხის უზრუნველყოფით რეკლამების შემცირება; წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება; HACCP-ის სისტემის საშუალებით შესაძლებელია არა მხოლოდ შეცდომების გამოვლენა სურსათის წარმოების მთელ ჯაჭვში, არამედ მათი თავიდან აცილება, ეტაპობრივი კონტროლის მეშვეობით.

**ბიო მეცხვარეობა** როგორც აგროტურიზმის საფუძველი, ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას, რადგან ქართულ ცხვარზე მოთხოვნა დღითიდღე მზარდია სხვადასხვა ქვეყანაში. შესაბამისად, აღნიშნული ქვეყნების მოქალაქეებისთვის ადგილზე ჩამოსვლა, ქართული ცხვრის საარსებო გარემოს პირადად დათვალიერება და მის მოვლაში მონაწილეობა, ცხადია, საინტერესოა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ის ქვეყნები, სადაც ქართული ცხვრის ექსპორტი აქტიურად მიმდინარეობს, მაღალგადახდისუნარიანი აზიის ქვეყნებია, მათ მოქალაქეებს კი ახასიათებთ დასასვენებლად ოჯახებით, დიდი ხნით გამგზავრება,

ცალსახად, მეცხვარეობაზე დაფუძნებული აგროტურიზმი მომგებიანია როგორც ტურისტული ობიექტის მეპატრონისთვის, ასევე მთელი ქვეყნისთვის.

**ბიო აკვაკულტურა**, კერძოდ, მტკნარი წყლის თევზების მოშენება, დაახლოებით 4 ათ. წელს ითვლის. მეთევზეობა — აკვაკულტურის ძირითად ფორმას წარმოადგენს. რაც შეეხება აგროტურიზმში მეთევზეობის მნიშვნელობას, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულად დიდია და მრავალფუნქციური: საგანმანათლებლო, შემეცნებითი, გართობა, დასვენება, ჰობი და ა.შ. რაც აერთიანებს აგროტურისტის ძირითად მიზნებს.

FAO აღიარებს აკვაკულტურის წილის სწრაფი ზრდის ფაქტს სურსათის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და უწევს ტექნიკურ დახმარებას მეთევზეობის განვითარების პასუხისმგებლობის კოდექსის ფარგლებში, რომელიც: დაჟინებით მოითხოვს აკვაკულტურის მდგრადი განვითარების აუცილებლობას დარგის ეკოლოგიური მაჩვენებლების ზრდის მეშვეობით, ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლით და ბიოუსაფრთხოების უზრუნველყოფით;

**გეჯური მეფუტკრეობა** მსოფლიოში არც ისე ბევრგანაა შემორჩენილი. საქართველოშიც მეფუტკრეები თანამედროვე მეთოდებს ირჩევენ თავლის მისაღებად. თუმცა მაღალმთიანი აჭარა გამორჩეულია ამ მხრივ. ადგილობრივები განაგრძობენ ფუტკრების მოშინაურების რთულ, მაგრამ უძველეს ტრადიციას - ნაყარის მოთავსებას ორნაწილად გაყოფილ და გამოთლილ მორში, რომელსაც ჯარა ეწოდება (<http://jarathemovie.com/>). ჯარას თავლს, თავისი ისტორიით, ბიო მრავალფეროვნებით მდიდარი გავრცელების არეალითა და სრულიად ბუნებრივი ფიჭით, დიდი პოტენციალი აქვს დააკმაყოფილოს როგორც ბიო სერტიფიცირების მოთხოვნები, ასევე, გახდეს კონკურენტული საერთაშორისო ბაზარზე როგორც მაღალი ხარისხის უნიკალური პროდუქტი.

**მეაბრეშუმეობა** აგროტურიზმი საქართველოში განსაკუთრებით მიმზიდველი იქნებოდა აგროტურისტებისთვის, თუ ქვეყანაში მეტი ყურადღება დაეთმობა მეაბრეშუმეობის აღდგენას. როგორც შიდა, ისე გარე ტურისტებისთვის, მეაბრეშუმეობასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო,

აგრო ტურები შესაძლებელია დაიგეგმოს ეფექტიანად, საინტერესოდ, შემეცნებითად და გასართობად. ცნობილია, რომ აბრეშუმი საქართველოში უძველესი დროიდან მზადდებოდა. ისტორიული წყაროების თანახმად, ძველ კოლხეთში (დასავლეთ საქართველო) ჯერ კიდევ ძვ. წ. XIY საუკუნეში იცოდნენ როგორც სელის, ასევე აბრეშუმის ძაფის დამზადების საიდუმლო.

**ბიო მეხორბლეობა** - სამეცნიერო კვლევებით დადასტურებულია, რომ მსოფლიოში ცნობილი ხორბლის 20 სახეობიდან 12 სახეობის სამშობლოა წინა აზია, ხოლო 8 სახეობა წარმოიშვა სამხრეთ კავკასიიდან. მათგან 5 — საქართველოს ენდემია. სულ საქართველოში აღწერილია ხორბლის 14 სახეობა, 150-ზე მეტი სახესხვაობა, ფორმა და აბორიგენული ჯიში. თუმცა ქვეყანაში არ გვაქვს ჩამოყალიბებული პურის გზა. ბიო მეხორბლეობაზე დაფუძნებული აგროტურიზმის შემთხვევაში მფლობელს შეუძლია საქმიანობა წარმართოს ერთდროულად სხვადასხვა მიმართულებით: დააარსოს „პურის გზა“; მოახდინოს სხვადასხვა დანიშნულების ტურების ორგანიზება (მიწის გუთნით დამუშავება, თესვა, მოსავლის აღება და ა.შ.; მოაწყოს წისქვილი (ქვის, წყლის), პურის საცხობი (თონე და სხვ.) და ჩაატაროს დაფქვისა და ცხობის მასტერკლასები; ასევე მარცვლეულის, როგორც ძირითადი ინგრედიენტის გამოყენებით მრავალფეროვანი კულინარიული მასტერკლასები; დაგეგმოს ყველაზე ღრმა და მნიშვნელოვან ქართულ ტრადიციებზე დაყრდნობილი ტურები პურისა და ღვინოს თემის გარშემო და ა.შ.

**ბიომეცენახეობასა და ბიომეღვინეობაზე დაფუძნებული აგროტურიზმი.** მეცენახეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესი და მნიშვნელოვანი დარგია. ვაზის კულტურა მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს ისტორიასთან. ჩვენი ერის შემოქმედებითი ბუნება და განსაკუთრებული სიყვარული ვაზისა და ღვინისადმი გამოიხატება ტრადიციულ წეს-ჩვეულებებში, არქიტექტურაში, ორნამენტში, ჭედურობაში, მხატვრობაში, პოეზიაში, სიმღერასა და ხელოვნების სხვა დარგებში. ყოველივე ეს კი გვამღებებს საშუალებას კომპლექსური ტურისტული პროდუქტი შევთავაზოთ სტუმარს, როგორც აგარაული, ისე ისტორიული, ეთნოგრაფიული, კულტურული და სხვა მიმართულებით.



არამერქნული პროდუქტის, სამკურნალო და არომატულ მცენარეთა ბიოწარმოებასა და მათ გამოყენებაზე დაფუძნებული აგროტურიზმი. საქართველოს ტყეები მდიდარია არამერქნული რესურსებით. ზოგადად, ცნობილია, ბუნებრივი ფლორის რესურსი შეზღუდულია, მნიშვნელოვანია კულტურულ მცენარეთა გამოყენება, მათ დედამიწის ხმელეთის დაახლოებით 10% უჭირავთ. ადამიანები მცენარეებს პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოიყენებენ ადამიანისა და ცხოველის საკვებად; როგორც ნედლეულს სამეურნეო საქმიანობაში; დეკორატიული მიზნებისათვის; გარემოს გასაუმჯობესებლად და დასაცავად; სამკურნალო საშუალებად და ნედლეულად ფიტონიდუსტრიაში. სამკურნალო პრეპარატების მესამედზე მეტი მცენარეებიდან მზადდება, ამავე დროს, მცენარეული პრეპარატების ფასი გაცილებით დაბალია სინთეტიკურთან შედარებით. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აიკრძალა ანტიბიოტიკები, ბიოლოგიურად აქტიური ფიტოდანამატები შეუცვლელ ადგილს იკავებენ ადამიანისა თუ ცხოველების კვებაში. საქართველოს აქვს შესაძლებლობა, მყარი ნიშა დაიკავოს ამ მიმართულებით გლობალურ ბაზარზე.

არამერქნული პროდუქტების, სამკურნალო და არომატული მცენარეების ბიოწარმოებაზე დაფუძნებული აგროტურიზმის დადებითი მხარეებია: ქვეყანაში არამერქნული პროდუქტების მოპოვება-რეალიზაციის სფეროში საზოგადოების ცნობიერების ამაღლება; უცხოელი აგროტურისტების მოზიდვა გლობალურ ბაზარზე მოთხოვნადი სამკურნალო-არომატული და სხვა სახის ნედლეულის მოპოვება-შენახვისა თუ გადამამუშავების პროცესში აქტიური ჩართულობით, მასტერკლასებით; ლამაზი და არომატული ბაღების მოწყობა და ნებისმიერი ტიპის ტურისტის მოზიდვა; საექსპორტო პროდუქტის პოპულარაზაცია და ა.შ.

ბიოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიებზე დაყრდნობილი აგროტურიზმის განვითარება ქვეყანას აძლევს მნიშვნელოვან სარგებელს:

- რეგიონებში, სოფლებში ვითარდება ტურისტული ინფრასტრუქტურა, უმჯობესდება სოფლის იერსახე, ვითარდება დამატებითი გართობის ობიექტები, კლუბები, ბიბლიოთეკები და ა.შ.

- ხანგრძლივდება ტურისტული სეზონი და გლეხი არ არის დამოკიდებული მხოლოდ მოსავლიანობასა თუ მოუსავლიანობაზე, ასევე მხოლოდ სასურსათო ბაზრის მოთხოვნა-მიწოდებაზე;
- ჩნდება სპეციფიკური, მაღალგადახდისუნარიანი ბიოაგროტურისტის მოზიდვის შესაძლებლობა;
- იქმნება მაღალი ხარისხის, საექპორტო პოტენციალის მქონე ბიოპროდუქტი;
- ტურიზმის მულტიპლიკაციური ეფექტიდან გამომდინარე, იქმნება ახალი სამუშაო ადგილები სოფლებში და მცირდება მიგრაცია ქალაქისკენ, უმჯობესდება სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონე;
- უმჯობესდება ბუნებრივი გარემო პირობები, რაც განსაკუთრებით მიმზიდველია აგროტურისტისთვის და ამავე დროს განაპირობებს ადგილობრივების სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებას;
- ადგილობრივი ბიუჯეტი იღებს დამატებით შემოსავლებს;
- სოფელში იზრდება ღამის გასათევი ადგილების რაოდენობა. ხშირად ფერმერი იძენს ახლომახლო მიტოვებულ სახლებს და არემონტებს მათ;
- ჩამოსულ ტურისტებსა და ადგილობრივებს შორის ხდება ინფორმაციის, იდეების, გამოცდილების ურთიერთგაზიარება, რითაც ორივე მხარის თვალსაწიერი ფართოვდება. ფერმერები ეცნობიან თანამედროვე მსოფლიოს გამოცდილებას სხვადასხვა მიმართულებით;
- აგროტურიზმის განვითარება ხელს უწყობს ადგილობრივი, მივიწყებული ტრადიციების, ტრადიციული საკვების მომზადების, გართობის, ფოლკლორის, ფესტივალების აღორძინებას;

თუმცა, ყველაზე დიდი შედეგი, რაც შეიძლება დადგეს ბიო აგრო ტურიზმის გლობალური განვითარებით, არის ჯანსაღი, ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემო; ჯანსაღი, ბიოლოგიურად სუფთა საკვები, ადამიანის ორგანიზმისთვის აუცილებელი, სასარგებლო ნივთიერებებით,

ბიოენერჯით აღსავსე პროდუქტის შექმნა; ბიოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების პოპულარიზაცია, თანამედროვე ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, ისევე და ისევე ჯანსაღი გარემოსა და ჯანსაღი კვების უზრუნველსაყოფად, რაც დღეს მსოფლიოს მასშტაბით უმნიშვნელოვანესი საკითხია.

### **ბიბლიოგრაფია:**

რ. კვარაცხელია, მ. ბერუაშვილი და სხვები „ბიომეურნეობა“. განათლების ხარისხის განვითარების ცენტრი, თბილისი, 2018

Steven E. Newman and 15 authors „Microgreens: Consumer sensory perception and acceptance of an emerging functional food crop“ Journal of Food Science, 2020

Uyory Choe, Liangli Lucy Yu, and Thomas T. Y. Wang „The Science behind Microgreens as an Exciting New Food for the 21st Century“. Journal of Agricultural and Food Chemistry, 2018

Fernando, Y., Chiappetta Jabbour, C. J., & Wah, W. X. (2019). Pursuing green growth in technology firms through the connections between environmental innovation and sustainable business performance: Does service capability matter? Resources, Conservation and Recycling, 141(July 2018), 8–20.

Makower, J. Strategies for the Green Economy. 2009

Berger, R. (2011). Green Growth, Green Profit How Green Transformation Boosts Business. In Green Growth, Green Profit. Palgrave Macmillan.

<https://www.globenewswire.com/news-release/2020/07/22/2066018/0/en/Agritourism-Market-Size-to-Reach-USD-117-37-Billion-by-2027-Government-Initiatives-to-Enhance-Agriculture-Economy-will-Favor-Growth-Says-Fortune-Business-Insights.html>

[https://statistics.fibl.org/world/markets-trade-world.html?tx\\_statisticdata\\_pi1%5Bcontroller%5D=Element2Item&cHash=ceac8c85ba5fdeaff1c1be1c8f4b0ac8](https://statistics.fibl.org/world/markets-trade-world.html?tx_statisticdata_pi1%5Bcontroller%5D=Element2Item&cHash=ceac8c85ba5fdeaff1c1be1c8f4b0ac8)

## ქართული ღვინის ექსპორტის დივერსიფიკაციის ამოცანის გადაჭრისათვის To solve the problem of diversification of Georgian wine exports

**ზურაბ გარაყანიძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
**გიორგი ხვიჩია** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
**Zurab Garakanidze** - Georgian Technical University  
**Giorgi Khvichia** - Georgian Technical University

**რეზიუმე:** 2020 წლის დასაწყისში მიღებული კანონით „რუსეთის ფედერაციაში მეღვინეობისა და ღვინის წარმოების შესახებ“ და ცოტა ხნით ადრე დამტკიცებული რფ-ს საგადასახადო სფეროს მარეგულირებელ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებით, რუსეთში ღვინის იმპორტიორებს, მათ შორის ქართულ კომპანიებს, ემუქრებათ სატარიფო და არასატარიფო დისკრიმინაცია, რაც ეწინააღმდეგება მსო-ს (WTO) წესებს. კანონის მოთხოვნები შესაძლებელია გასაჩივრდეს მსო-ს დავების განხილვის საბჭოში. აღნიშნული დისკრიმინაცია გამოიწვევს იმპორტული ქართული ღვინოების რუსული ბაზრიდან გამოდევნას არა ჯანსაღი კონკურენციით, არამედ პროტექციონიზმით.

**საკვანძო სიტყვები:** ექსპორტი, სუბსიდირება, ღვინომასალები, რუსეთის ღვინო, კანონმდებლობა.

**შესავალი:** 2019 წლის 27 დეკემბერს გამოქვეყნდა კანონი „რუსეთის ფედერაციაში მეღვინეობისა და ღვინის წარმოების შესახებ“ (Федеральный закон от 27.12.2019 № 468-ФЗ "О виноградарстве и виноделии в Российской Федерации")<sup>i</sup>. მანამდე, 2019 წლის 30 სექტემბერს დამტკიცდა ცვლილებები ფისკალურ კანონმდებლობაში (Федеральный закон от 29 сентября 2019 г. N 326-ФЗ "О внесении изменений в часть вторую Налогового кодекса Российской Федерации и статью 1 Федерального закона "О внесении изменений в часть вторую Налогового кодекса Российской Федерации")<sup>ii</sup>, რაც სავარაუდოდ ნეგატიურად აისახება საქართველოდან რუსეთში ღვინის ექსპორტზე.

**ძირითადი ტექსტი:** რფ-ში 2020 წლის 1 იანვრიდან ღვინის აქციზის განაკვეთი გაიზარდა. ამასთან, გარკვეული სახის ღვინოებზე სუბსიდირება მოხდება ისე, რომ რუსეთის შიგნით წარმოებული და იმპორტირებული

ღვინოები დეკლარირებულად/ნომინალურად ერთნაირი განაკვეთით, მაგრამ რეალურად სხვადასხვა აქციზით, დაიბეგრებიან. მომდევნო 3 წელში ე. ი. 2023 წლის 1 ივლისიდან, იკრძალება ღვინომასალების იმპორტი რუსეთში. ამ დრომდე იმპორტირებული ღვინომასალებით დამზადებული ღვინო და 2020 წლის 1 ივლისიდან რუსეთში მოყვანილი ყურძნით წარმოებული ღვინო გაიყიდება როგორც „რუსეთის ღვინო“. ის ისარგებლებს კანონით მინიჭებული სახელმწიფოს პროტექციონისტული (სუბსიდირების, სატარიფო და არასატარიფო) შეღავათებით.

საქართველოდან ღვინომასალა (ჩამოსასხმელი) რუსეთში 2018 წლიდან არ შედის. ქართული ღვინო რუსეთში მხოლოდ დაფასოებული იყიდება, და ერთი შეხედვით, რფ-ს კანონი ჩვენს ექსპორტიორებს პრობლემებს არ უნდა უქმნიდეს. მაგრამ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ რფ-ს „ღვინის“ ახალი კანონი მეღვინეობას არსებით სახელმწიფო მხარდაჭერას აღმოუჩენს, რაც რფ-ს ვენახების ფართობებს გააორმაგებს და რუსულ ბაზრებს ხარისხიანი ადგილობრივი პროდუქციით უზრუნველყოფს, ამან კი რფ-ში იმპორტი უნდა შეზღუდოს. კანონით მეღვინეობა და ღვინის წარმოება რუსეთის სოფლის მეურნეობის საბაზისო, თანაც საექსპორტო დარგი უნდა გახდეს. შესაბამისად, 2023 წლიდან საქართველომ შესაძლოა დაკარგოს რუსული ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი, ბაზრისა, რომელიც დღეს ჩვენი ღვინის ძირითადი მომხმარებელია - 2019 წელს იქ გაიგზავნა 133 მლნ დოლარის 70 მლნ ლიტრზე მეტი ქართული ღვინო, ანუ მთელი ღვინის ექსპორტის 61.5% (იხ.ცხრილი 1).

რფ-ში „ღვინის“ კანონის მიღებას გარკვეული ნორმატიული ბაზის შექმნა უძღოდა წინ:

ჯერ ერთი, მის მიღებამდე 3 თვით ადრე, 2019 წლის 30 სექტემბერს, გამოქვეყნდა რფ-ს კანონი საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შესახებ, რომლითაც 2020 წლის 1 იანვრიდან რუსეთში გაიზარდა ღვინის აქციზის განაკვეთი. ამ კანონით 2020 წელს ღვინის აქციზი 1 ლიტრზე ნაცვლად 18 რუბლისა შეადგენს 31 რუბლს, 2021 წელს - 32 რუბლს, ხოლო 2022 წელს - 33 რუბლს. აქციზით დაიბეგრება ასევე ღვინო მასალა (გარდა დისტილიტის საწარმოებლად გამოყენებულის) და ყურძენი. 2020 წელს აქციზი 1 ტონა ყურძენზე 30 რუბლი იქნება, ხოლო მომდევნო წლებში, შესაბამისად - 31 და 32 რუბლი.<sup>iii</sup> აქციზის 31 რუბლიანი განაკვეთი 0.75 ლიტრიან ბოთლზე 23.25 რუბლია. ეს ის თანხაა, რასაც იმპორტიორი გადაიხდის. რუსი

მეღვინეები ყურძენზე აქციზის კომპენსაციას მიიღებენ, რაც მათთვის აქციზს ფაქტიურად ძველ დონეზე დატოვებს. ამით ადგილობრივ და იმპორტულ ღვინის აქციზის განაკვეთებში განსხვავება უკვე 20 რუბლი გახდება, რაც სხვა გადასახადების დამატების შემდეგ ბოთლი ღვინის ფასს რფ-ში (მაღაზიის თარომდე) 100 რუბლამდე გაზრდის.

**ცხრილი 1<sup>iv</sup>**

ღვინის ექსპორტი საქართველოდან 2019 წელს		
ქვეყანა	ათასი აშშ დოლარი	ლიტრი
<b>სულ</b>	<b>222,945</b>	<b>70,111,248</b>
რუსეთი	133,252	43,125,769
უკრაინა	23,052	8,194,947
ჩინეთი	18,898	5,214,029
პოლონეთი	9,041	3,224,813
ყაზახეთი	8,493	2,639,480
ბელარუსი	7,223	2,192,294
ლატვია	3,679	1,187,748
აშშ	2,981	475,744
გერმანია	2,146	472,655
ესტონეთი	1,670	516,776
ლიეტუვა	1,661	545,004
მოლდოვა	1,282	441,994
იაპონია	880	127,306
ყირგიზეთი	836	169,151
აზერბაიჯანი	820	136,781
მონღოლეთი	807	211,475
კანადა	732	145,520
გაერთიანებული სამეფო	636	130,905
ისრაელი	596	234,586
ნიდერლანდები	519	71,161
დანარჩენი ქვეყნები	3,742	653,112

ეს რუსეთში იმპორტირებულ უცხოურ ღვინოებს - მათ შორის ქართულსაც, წორედ ამ თანხით გააძვირებს. კერძოდ, ეს საკანონმდებლო ცვლილება საკუთარი ყურძნით მეწარმე რუსი მეღვინეებისთვის შენიღბულ სატარიფო შეღავათებს ითვალისწინებს.

მართალია რუსეთში, ღვინოსთან ერთად, ყურძენიც აქციზური საქონელი გახდა, მაგრამ ფაქტიურად უმნიშვნელო აქციზის გადახდის შემდეგ მეღვინეს შეუძლია მიიღოს გადახდილ აქციზზე მეტი კომპენსაცია. ეს მექანიზმი გეოგრაფიულ აღნიშვნასა და ადგილწარმოშობის დასახელებაზე (ევროპული „აპელასიონების“ სისტემის ანალოგი) აქციზის შეღავათის კომპენსაციისათვის გამოიყენება. ამჟამად რუსეთში დაწურულ ამ კატეგორიის ერთ ბოთლ ღვინოზე აქციზი 3.75 რუბლია, ნაცვლად სხვა

კატეგორიაზე, მათ შორის იმპორტულზე დარიცხული 13.5 რუბლისა. ასეთი „ორმაგი“ აქციზი პირდაპირ ეწინააღმდეგება მსო-ს პრინციპებს. საჭიროა რუსეთში ღვინის იმპორტიორების, ძირითადად ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობების ერთობლივი ძალისხმევა ამ დისკრიმინაციული ნორმის გასაუქმებლად. მეტიც, რუსული „ღვინის“ ახალი კანონის 26-ე მუხლის მე-6 პუნქტით მეწარმეს, რომელმაც რუსული ყურძნით რუსეთში ჩამოსახა შუმხუნა ღვინო, შეუძლია ამ პროდუქციის ეტიკეტზე მიუთითოს სახელწოდება „რუსული შამპანური“ ("росийское шампанское"), რაც ასევე მსო-ს წესების დარღვევაა და ევროკავშირის ნეგატიურ რეაქციას გამოიწვევს.

მეორე, კანონში „რუსეთის ფედერაციაში მეღვინეობისა და ღვინის წარმოების შესახებ“ ისეთი განმარტებები და ტერმინებია, რომლებიც რუსული ბაზრიდან არა მარტო ადგილობრივ და იმპორტულ კონტრაფაქტულ პროდუქციას, არამედ მაღალხარისხიან ქართულ და სხვა იმპორტულ ღვინოებსაც გამოდევნის. კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით „ღვინო“ - ესაა საკვები ალკოჰოლური პროდუქცია, მიღებული ახალი ყურძნის ან დაწურულის დუღილის შედეგად, ეთილის სპირტის 7.5-18%-იანი შემცველობით; „ჩამოსახმელი ღვინო ან შემაგრებული ჩამოსახმელი ღვინო (ღვინომასალა)“ - ესაა საცალო ვაჭრობისთვის დაფასობამდე არსებული ღვინო; ხოლო „რუსეთის ღვინო“ - ესაა ყველანაირი ღვინო, რომელიც მთლიანად (100%) რუსეთის ტერიტორიაზე მოყვანილი ყურძნიდანაა მიღებული.<sup>vi</sup> ეს უკანასკნელი განმარტება იმისთვისაა, რომ სხვა ქვეყნების ღვინოებისაგან განსხვავებით, საცალო ვაჭრობის დარბაზში ან სხვა ადგილას რუსულ ღვინოს გამოყოფილი ჰქონდეს განსაკუთრებული ადგილი წარწერით - „რუსეთის ღვინო“.<sup>vii</sup> კანონის 26-ე მუხლში მითითებულია, რომ თუ ყურძნის შემცველი ალკოჰოლური სასმელების ეტიკეტზე და კონტრეტიკეტზე მითითებული სპირტის მოცულობითი შემცველობა არ აღემატება 22%-ს, მაშინ მწარმოებელმა უნდა მიუთითოს, რომ ეს პროდუქცია ღვინო არ არის - "НЕ ЯВЛЯЕТСЯ ВИНОМ" და უნდა განლაგდეს სხვა ღვინოებისაგან ცალკე მდგომ დახლზე.<sup>viii</sup> მე-3 და 26-ე მუხლებს შორის შინაარსობრივ წინააღმდეგობას თავი რომ დავანებოთ, კანონში „ღვინის“ განმარტებით ქართული ღვინოების უმეტესობა რუსეთში ღვინოდ არ ჩაითვლება, ვინაიდან მათში სპირტის მოცულობითი შემცველობა ამდენი არ არის.<sup>ix</sup> ეს მეორე დიდი პრობლემაა ქართული

ღვინისთვის, რომელიც მართალია 2019 წლის მონაცემებით რფ-ს ბაზარზე წინა წელთან შედარებით 7-8%-ით მეტი გაიყიდა, მაგრამ მას სამწუხაროდ საკმაოდ მაღალი ფასი აქვს და ახალი „მარკეტინგული დისკრიმინაცია“ მას კარგს არაფერს უქადის...

მესამეც, 2023 წლის 1 ივლისიდან მთლიანად აიკრძალება რფ-ს ღვინის მრეწველობაში „...რფ-ში იმპორტირებული ყურძნის, ღვინის, ჭაჭის...“ გამოყენება.<sup>x</sup> ამ დროიდან რუსეთში, ქართული ჩამოსასხმელი ღვინის მსგავსად, აიკრძალება ყველანაირი ჩამოსასხმელი ღვინის შეტანა. მაგრამ დღეისათვის რუსეთში, მიუხედავად მევენახეების სახელმწიფოს მხრივ უპრეცედენტო მხარდაჭერისა, ვენახებს უკავია სულ 93 ათ ჰა, რაც არასაკმარისია არსებული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. კერძოდ, რფ-ში შეტანილი ღვინომასალა საშუალოდ წლიურად 20 მლნ დეკალიტრია და რუსული ღვინის მრეწველობის ჩამოსხმული ღვინომასალის 40% ფაქტიურად არარუსული, არც ისე დაბალხარისხიანი - ესპანური, სამხრეთაფრიკული, მოლდავური „წარმოშობისა“.<sup>xi</sup> აღნიშნული ჩამოსასხმელი ღვინოები 2023 წლის ზაფხულიდან რუსეთში ვეღარ მოხვდებიან, და შესაბამისად, საჭირო იქნება მათი სხვა იმპორტიორებისკენ გადამისამართება. ეს რუსეთში მდებარე იმ ღვინის ქარხნებზე აისახება ნეგატიურად, რომლებიც ჩამოსასხმელ ღვინოს იყენებენ. შესაბამისად, ამ ქარხნების ინვესტორების დღის წესრიგში დადგება 2023 წლიდან მათი რუსეთიდან გადატანა ისეთ ქვეყნებში, სადაც ჩამოსასხმელი ღვინომასალებით შესაძლებელი იქნება ბოთლის ღვინის ჩამოსხმა. ინვესტორებისათვის ამ ქარხნების განთავსება ყველაზე მისაღები იქნება ევრაზ ეკონომიკური კავშირის წევრ ზოგიერთ ქვეყანაში - ვთქვათ სომხეთში, ბელარუსში, სადაც ღვინომასალის შეტანა აკრძალული არ არის, და თანაც, მათ რუსეთთან საბაჟო კავშირი აკავშირებთ. თუმცა ზოგიერთმა ინვესტორმა, ევროკავშირთან DCFTA-ს არსებობის და მეღვინეობის მდიდარი გამოცდილების გამო, შესაძლოა საქართველოშიც გადაწყვიტონ თავიანთი ქარხნების გადმოტანა.

ასეთი გადამისამართება კიდევ იმითაც იქნება განპირობებული, რომ ანექსირებულ ყირიმში ღვინის ქარხნების უმრავლესობას - „მასანდრას“, „ნოვი სვეტს“, „ინკერმანს“, „სევასტოპოლის ღვინის ქარხანას“ უმთავრდებათ ბოთლები. საქმე ისაა, რომ ტარის მწარმოებელ ს/ს „კავშინსტეკლოს“ შეეცვალა მესაკუთრე და ახალმა ამერიკელმა



აქციონერებმა აშშ-ს სანქციების გამო შეწყვიტეს ყირიმის ქარხნებში ტარის მიწოდება. მეორე დიდი ტარის ქარხანა „რუსჯამი“ გადატვირთულია შეკვეთებით და არ შეუძლია ბოთლების წარმოება ასორტიმენტის შეზღუდულობის გამო.<sup>xii</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ღვინომასალის სიმძლავრეები საქართველოში საკმარისადაა და 2023 წლიდან ისინი რუსეთიდანაც დაემატება, მიზანშეწონილი იქნება ამ მასალის ქართულ და რუსეთიდან საქართველოში გადმოსული პოტენციური ინვესტორების ქარხნებში მიღება-გადამუშავება და იაფი მზა ღვინის რუსეთში, როგორც ქართულის, ისე შეტანა.

გარდა ამისა, ზემოაღნიშნული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ კანონით „რუსეთის ფედერაციაში მელვინეობისა და ღვინის წარმოების შესახებ“ ღვინის იმპორტიორებს, მათ შორის ქართულ კომპანიებს, ემუქრებათ სატარიფო და არასატარიფო დისკრიმინაცია, რაც ეწინააღმდეგება მსო-ს (WTO) წესებს. კანონის მოთხოვნები შესაძლებელია გასაჩივრდეს მსო-ს დავების განხილვის საბჭოში. აღნიშნული დისკრიმინაცია გამოიწვევს იმპორტული ღვინოების რუსული ბაზრიდან გამოდევნას არა ჯანსაღი კონკურენციით, არამედ პროტექციონიზმით.

მიზეზი ისაა, რომ სატარიფო თვალსაზრისით, 2019 წლის 30 სექტემბრის საკანონმდებლო ცვლილებებით ლოჯისტიკურ ჯაჭვში მულტიპლიკატორის ეფექტის გათვალისწინებით, აქციზის „რუსეთის ღვინოსა“ და იმპორტულ განაკვეთებს შორის 10 რუბლის სხვაობა საცალო ფასში უკვე 40-50 რუბლის სხვაობის ტოლი ხდება, რაც რუსეთის მაღაზიების უმეტესობაში მასიურად მოთხოვნადი 300-400 რუბლიანი ღვინოების რეალიზაციის შეფერხებას გამოიწვევს. ესაა ბაზრის ის ყველაზე კონკურენტული და მასიური სეგმენტი, რისთვისაც ყოველთვის ბრძოლა მიმდინარეობს. ახალ რუსულ სატარიფო ბარიერს აძლიერებს ის, რომ რფ-ს ახალი საგადასახადო და საბიუჯეტო კანონმდებლობით გეოგრაფიულ აღნიშვნისა და ადგილწარმოშობის დასახელების მქონე რუსულ ღვინოებს იმპორტულთან შედარებით დაბალი, სუბსიდირებული აქციზი აქვთ. ასეთი „ორმაგი“ აქციზი ეწინააღმდეგება მსო-ს პრინციპებს. საჭიროა რუსეთში ღვინის იმპორტიორების, მათ შორის ევროკავშირის წევრების ერთობლივი ძალისხმევა ამ დისკრიმინაციული ნორმის გასაუქმებლად.

არასატარიფო თვალსაზრისით, რფ-ს „ღვინის“ ახალ კანონში ცნების „რუსეთის ღვინო“ შემოღება და ამით მისთვის ქვეყნის საცალო ვაჭრობის ქსელში სავაჭრო პრეფერენციების მინიჭება, აგრეთვე სპირტის მოცულობითი შემცველობის ზღვარის დაწესება და ამ ზღვარზე დაბალი სპირტიანობის სასმელის ღვინოდ არ ცნობა, ეწინააღმდეგება მსო-ს პრინციპებს.

კანონით „რუსეთის ფედერაციაში მეღვინეობისა და ღვინის წარმოების შესახებ“ მე-3 და 26-ე მუხლებით ყურძნის სასმელი, ეთილის სპირტის მოცულობითი შემცველობით 14.5%-დან 20%-ის ფარგლებში, არ არის ღვინო, არამედ ესაა არომატიზებული სასმელი. საქართველოს კანონით „ვაზისა და ღვინის შესახებ“ კი ღვინოდ მიჩნეულია ეთილის სპირტის მოცულობითი შემცველობით მინიმუმ 9%-ის მქონე ყურძნის სასმელი. თანაც ქართული ღვინის ფაქტიური სპირტის შემცველობა მაქსიმუმ 14%-15%-ის ფარგლებშია. ზემოაღნიშნული ქართველ იმპორტიორებს რუსულ ბაზარზე შეღწევას გაურთულებს.

**დასკვნა:** ამრიგად იმისთვის, რომ 2020 წლიდან მოქმედმა რფ-ს ახალმა კანონებმა ქართული ღვინის ექსპორტის შეფერხება არ გამოიწვიოს, საჭიროდ მიგვაჩნია:

- საქართველოს მთავრობამ მიმართოს ევროკომისიას რუსეთის მიერ 2019 წლის ბოლოს მიღებული „რუსეთის ფედერაციაში მეღვინეობისა და ღვინის წარმოების შესახებ“ კანონის დისკრიმინაციულად ცნობის შესახებ. სავარაუდოდ, მიმართვას ევროპის ღვინის მწარმოებელი/ექსპორტიორი ქვეყნების უდავო მხარდაჭერა მოჰყვება;

- საქართველოს საგარეო, ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა მოამზადონ და საქართველოს მთავრობას წარუდგინონ დადგენილების პროექტი „ღვინის ექსპორტის დივერსიფიკაციის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“;

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან ერთად მიმართოს მსო-ს (WTO) დავების განხილვის საბჭოს რფ-ს მიერ 2019 წლის 30 სექტემბრის ფისკალური სფეროს საკანონმდებლო ცვლილებების, ამ ორგანიზაციის პრინციპებთან (სატარიფო/არასატარიფო) შეუსაბამობის შესახებ;

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ღვინის ეროვნულმა სააგენტომ დაამყაროს კონტაქტები

რფ-ში ღვინომასალების მიმწოდებელ ევროპულ კომპანიებთან და ინვესტორებთან, მომავალში მათთან ქართველი მეწარმეების სამეურნეო კავშირების განსავითარებლად და საქართველოში ღვინომასალის ჩამოსასხმელი სიმძლავრეების რუსეთიდან გადმოსატანად;

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ღვინის ეროვნულმა სააგენტომ წარმოადგინოს წინადადებები ქართველი მეწარმეების ლიცენზირებაში რეზერვების გამოსავლენად, რათა მოხდეს რფ-ს აქციზის ახალი, გაზრდილი განაკვეთების კომპენსირება.

**Summary:** Zurab Garakanidze, Ph.D., Giorgi Khvichia, Ph.D. candidate – *The possible influence of the recent RF's wine legislation on the Georgian wine export*

Despite Russia's WTO accession in August 2012, control over imported foodstuffs by Russian agencies

remains complicated and bureaucratic. While the legal framework has improved, in practice, Russia has not yet taken all of the steps expected towards improving the environment for trade. Moreover, since August 2014, Russia has had a ban on a wide range of agricultural products from the United States,

Canada, European Union, Australia, and Norway and several other countries in retaliation for economic

sanctions against Russia. This ban is now extended on the wine import in Russia.

On the one hand, by the end of summer 2019 the Russian President Vladimir Putin signed a law under which the excise duty for wines have significantly increased from January 1, 2020. The document published on the official portal of legal information amends Part 2 of the Tax Code.

As appears from the document, the excise rate by usual wines will increase from 18 rub to 31 rub for liter in 2020, 32 rub - in the 2021st and 33 rub in the 2022nd. On sparkling wines, the rate will increase from the current 36 rubles to 40 rubles/l in 2020, 41 rubles - in 2021 and 43 rubles - in 2022. The financial and economic justification of the law states that its entry into force will ensure the receipt of additional budget revenues in the amount for about 22 billion rubles annually.

At the same time, the law refers to sub-excise goods wine materials and grapes used for wine production. Excise rates on them should be 31 rubles/l and 30 rubles/t respectively, with an increase of 1 ruble in the next two years. At the same

time, wine producers from Russian grapes will be entitled to tax deductions. The excise sums estimated when using the grapes belonging to the taxpayer on the property right for production of wine, sparkling wine, wine materials, and alcoholic drinks on technology of a full cycle will be deductible. The government said the hike is necessary to increase budget revenues.

According to the current code, Russian usual and sparkling wines with protected geographical indication and protected name of origin are subject to a preferential excise rate.

The adopted changes equalize rates on Russian and imported wines, which brings Russian legislation into line with WTO rules, the Ministry of Finance said earlier. At the same time, the amendments allow to silent support Russian winemakers, as beverage producers will be able to receive tax deductions on excise when using their own grapes. As a result, the tax burden on excise for producers of wines from domestic grapes will decrease in times and import duties, for example on Georgian wine, will increase drastically.

On the other hand, the RF State Duma has adopted a bill regulating winemaking and wine trade in Russia in the third and final reading. The bill is aimed to develop the field, produce high-quality goods and protect citizens from fakes. The draft law sets legal, institutional, technological and economic basis of winemaking and winegrowing, determines conditions and order of the state support of this field, fixes powers of state and regional authorities and legal position of people engaged in winemaking and winegrowing.

Currently, Russia has no systematic regulation of winemaking. The legislative proposal stipulates a consistent legal regulation of production and sales of the winemaking and winegrowing products, an explanatory note to the document read.

Moreover, existing legislation concerning alcohol production and circulation is focused on highly alcoholic beverages and doesn't control for the specifics of Russian winemaking and winegrowing that prevents wine producers from development and impedes state supervision, the bill's authors believe.

The draft law envisages state aid to the development of winemaking and winegrowing and determines its possible types.

The initiative also points the protectionist order of creation and activity of self-regulatory winemaking and winegrowing organizations, which would be

established in accordance with the territorial division of vinelands. The rules of wine production and raw materials and supplies requirements are set in the bill as well.

## ბიბლიოგრაფია

---

<sup>i</sup> <http://pravo.gov.ru/search/index.html?action=search&advanced=true&searchPage=1&query=%22%D0%B8&plugin=1001&search.root=%2F>

<sup>ii</sup> [http://cmiki.ru/news/detail.php?SECTION\\_ID=1&ELEMENT\\_ID=10308](http://cmiki.ru/news/detail.php?SECTION_ID=1&ELEMENT_ID=10308)

<sup>iii</sup> [https://www.gazeta.ru/business/news/2019/09/30/n\\_13524661.shtml](https://www.gazeta.ru/business/news/2019/09/30/n_13524661.shtml)

<sup>iv</sup> ცხრილი შედგენილია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით

<sup>v</sup> რფ-ს ზემოაღნიშნული კანონის 26-ე მუხლის მე-6 პუნქტი

<sup>vi</sup> რფ-ს ზემოაღნიშნული კანონის მე-3 მუხლის 6-8 პუნქტები

<sup>vii</sup> რფ-ს ზემოაღნიშნული კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>viii</sup> რფ-ს ზემოაღნიშნული კანონის 26-ე მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტი.

<sup>ix</sup> იხ. მაგალითად: საფერავი. ცხრილი 8. მუკუზანი.

<https://enoteca.ge/ge/variety/87-Saperavi>

<sup>x</sup> რფ-ს ზემოაღნიშნული კანონის 24-ე მუხლის მე-11 პუნქტი

<sup>xi</sup> Съезд победителей. <https://www.forbes.ru/biznes/386459-sezd-pobediteley-kakim-stanet-rossiyskoe-vino-pod-prismotrom-vlasti>

<sup>xii</sup> Вина не будет. <https://sputniksmi.ru/vina-ne-bydet-y-krymskih-vinodelov-konchautsia-bytylki.html>

---

საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი  
სამეცნიერო ჟურნალი

## ეკონომიკა და ფინანსები

სპეციალური გამოცემა „არაჯანსაღი კვება – დანაზოგი თუ ორმაგი ტვირთი  
ქვეყნის ეკონომიკისთვის“

International, peer-reviewed and peer-reviewed scientific

## Economics and Finance

Special Issue “Malnutrition – Saving or Double Burden for the Economics Sector of  
the Countries”

ჟურნალი წარმოადგენს აკადემიურ გამომცემლობას, რომელიც  
ყოველკვარტლურად აქვეყნებს სამეცნიერო სტატიებს ისეთ  
სფეროებში როგორცაა ეკონომიკა, ფინანსები, სოციალური  
მეცნიერებები და ბიზნეს-ტექნოლოგიები

მთავარი რედაქტორი - ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს  
ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი დავით ჩახვაშვილი

<https://www.linkedin.com/in/davit1chakhvashvili/>

<https://www.facebook.com/davit1chakhvashvili>